

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ნიკო გერქენიშვილის ინსტიტუტი

ნანული ნოღაიდელი, ელზა ფუტყარაძე

ხატოვანი სიტყვა-თქმები
აჭარულში



გამომცემლობა

„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“

ბათუმი - 2022

წინამდებარე ნაშრომში სალექსიკონო მასალის დონეზე პირველად და წარმოდგენილი ხატოვანი სიტყვა-თქმანი აჭარულში. კვლევის მიზანი სწორედ, ხატოვანი სიტყვა-თქმების შესწავლაა აჭარულ დიალექტში. მასალა ხალხის ცოცხალ, სასაუბრო მეტყველებაზე ხანგრძლივი, სისტემატური დაკვირვების შედეგადაა მოტანილი მკითხველამდე.

ნაშრომი განკუთვნილია ენათმეცნიერთათვის, ლიტერატორების, ეთნოგრაფების, მხარეთმცოდნეების, მწერლებისა და საკითხით დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორი	შუშანა ფუტყარაძე ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუსი პროფესორი
რეცენზენტი	ციალა ნარაკიძე მეცნიერი თანამშრომელი

ISBN 978-9941-488-45-0

© „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ - 2022

წინასიტყვაობა

ამოუწურავი, მდიდარი, ფერადოვანი და სახეობრივია ქართული სიტყვა. ეს არაა შემთხვევითი. ქართული სიტყვის საცხოვრისი ქართველი ხალხის, ერის შორეული წარსულიდან იღებს სათავეს და, ქართველ ერთან ერთად, უამრავი დიდების მნახველია, დაცემა-ტკივილის, წუხილისა თუ აღორძინება-ძლიერების, სიხარულის მჭვრეტელია. ქართველი კაცის ნააზრევ-ნაფიქრის სამოსია ქართული სიტყვა; ამიტომაცაა „მუხლადი, ბედაური, მადლარი“ ქართული სიტყვა, ტევადი და მრავლისმთქმელი. ქართული ენა სიტყვაქმნადობის კუთხით ხომ ამოუწურავი შესაძლებლობისაა.

სიტყვაქმნადობის დღესასწაული, სიტყვაქმნადობის ზეიმია ქართული ენა. ხატოვანი და ემოციურია ქართული სიტყვა. ქართულ ენას უძლიერესი გამომსახველობითი შესაძლებლობები გააჩნია და, შესაბამისად, სახეობრივია ქართული სიტყვა, ეს კი მისი უნივერსალური, უიშვიათესი ძალაა. სახეობრიობა კი საოცრად ჩანს სიტყვის არაპირდაპირი მნიშვნელობით გამოყენების დროს. სიტყვის გადატანითი შინაარსი ჩვეულებრივი თვისებაა ხატოვანი სიტყვა-თქმებისათვის. ასეთ თქმებში სიტყვის ფერის, ასოციაციის, განწყობისა და, ლამის, დაგემოვნების შეგრძნება შეგვიძლია. მაგალითისათვის: რამდენ ფრთიან გამოთქმაში გვხვდება მზე - მზე დაუბნელდა, მზიები ჩეიდგა თვალში, მზე უცინის თვალებში, გაუფერულდა ჩემი მზე, ჩიმიშავდა მზე... ხატოვან თქმებში, თუ დავაკვირდებით, სიტყვა **მზე**, სხვადასხვაგვარი ასოციაციიდან გამომდინარე, იგი განსხვავებულ დამოკიდებულება-განწყობას ბადებს: მხიარულების, აღფრთოვანების, მწუხარების, სინანულის... შესაბამისად, ფერთა გამაც სათანადოა – ფერადოვანი, ნათელი, მეწამული,

ფერწართმეული, შავი... ორივე ერთად კი, ლამის, დაგვაგემოვნებინებს ამ სიტყვას – გემრიელი, ტკბილი, ზოგჯერ – მწარე... აი, ასეთი საოცარი ძალისაა ხატოვნად ნათქვამი სიტყვა-თქმები; ხალხის ასეთი პოეტური დამოკიდებულება ჩანს მსგავს თქმებში.

ქართული ენა, მისი დიალექტები ხომ მდიდარი და მდიდარია ხატოვანი სიტყვა-თქმებით, ფრთიანი გამოთქმებით. ამ მიმართებით ამოუწურავია აჭარული კილოს სალექსიკონო მასალა. უამრავი სახასიათო ხატოვანი სიტყვა-თქმა მიმოფანტულდაუნჯებული ხალხში და მისი ზნე-ჩვეულების, ყოფის, ტრადიციის, კულტურის გასაღებიცაა. ხატოვანი თქმები ჩუქურთმაა ენისა, მოკაზმვა-მოვარაყებაა ენისა, ხალხის გულის არილია. ხატოვანი სიტყვა-თქმების სალექსიკონო მასალაში ასახულია ხალხის დამოკიდებულება, მსოფლაღქმა... რა უხარია, რა ტკივა, რაა მიუღებელი, რა მოსწონს, რა იწვევს ზიზღს, თუ რას სცემს პატივს.

მოდით, ისევ ხატოვანი სიტყვა-თქმების საშუალებით ვიმოგზაუროთ ხალხის, ერის აზროვნების არეალში და ნათქვამში ადვილად დავრწმუნდებით. მაგ. გარდაცვალება სხვადასხვა ხატოვანი სიტყვა-თქმითაა გავრცელებული ხალხის მეტყველებაში: მძივების აკინძვა, დღეების „ჩამოთესება“, წყლის მოწრეტა... მაგრამ პარალელურად გვხვდება: ჩაძაღლდა, ფეხები გაფშკა. ამ მცირე საილუსტრაციო ფორმებიდან ნათლად ჩანს ხალხის დამოკიდებულება შესაბამისი შეფასებითი ლექსიკური ერთეულების გამოყენებით.

ამოუწურავია ხალხის სიტყვიერი მასალა, ხალხში დაუნჯებული სიტყვა-თქმები. ამოუწურავია პოეტური აზროვნება, ხალხის შემოქმედებითობა და ნაფიქრის ხატოვნად წარმოდგენა, სიტყვის ესთეტიკურად წარმოსახვა და ლამაზ, შთამბეჭდავ, ემოციურ, გააზრებულ ფორმად ჩამოქნა და მოწოდება.

როგორც აღინიშნა, ხატოვან სიტყვა-თქმებზე დაკვირვება ხალხის ყოფას თვალნათლივ წარმოგვიდგენს. უამრავი ასეთი ფორმის მოშველიებაა შესაძლებელი. მაგალითისათვის, „ქალი ხელს არ მოიჭამს“ – ქართველი ხალხი ცნობილია სტუმარმასპინძლობის მდიდარი ტრადიციით. სტუმრის ღირსეულად მიღება და გამასპინძლება იმთავითვე მნიშვნელოვანი იყო ქართული ტრადიციისათვის. მსუყე ოჯახს სტუმრის გამასპინძლებისა არ ეშინია. ამ მხრივ მასპინძელთა შეფასებისას ხშირად იციან თქმა: „სტუმარი რა დროსაც არ უნდა მოუვიდეს, ქალი ხელს არ მოიჭამსო“ – არ შეშინდება და სათანადო პატივს მიაგებს სტუმარს. „სუფრის დაკავება“ – სუფრის დაჭერა, სუფრასთან დიდი ხნით ყოფნა. სუფრასთან მსხდომი დედოფლის მაყრები დიდი უფლებებით სარგებლობდნენ. შეეძლოთ ახალ-ახალი, ძნელად საშოვი ან მოსამზადებელი კერძი ან სხვა რამე მოეთხოვათ. სანამ მოთხოვნას არ შეასრულებდნენ, მაყრები სუფრიდან არ ადგებოდნენ. ამ წესს „სუფრის დაკავებას“ ეძახდნენ.

„თესლის (|| კაკლის) გაყვანა“. მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ჩვეულებაა თესლის (||კაკლის) გაყვანა, რომელიც მიწის საერთო საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებამდე რამდენიმე ხნით ადრე სრულდებოდა. ყანაში წინდაწინ პატარა ადგილს გამოყოფენ, დაამუშავებენ – მიწაში ყველა სახის მარცვალს ჩაყრიან, მათ შორის, უპირველესად – სიმინდს – „ტკბილია და ტკბილად წავიდეს წელიო“.

ეს სამიოდე ხატოვანი თქმა ღრმად გვახედებს ხალხის ყოფა-ცხოვრების არაერთ ნიუანსში.

ხატოვანი სიტყვა-თქმები განსხვავებული წარმომავლობისაა. ზოგი წმინდა ეროვნული რეალიების ამსახველია (ჩაილუ-

რის წყალი დალია, მტკვარი ვერ გარეცხავს, გავიდა მარილზე), ზოგს საფუძვლად ბიბლიური ამბები უდევს (მამა აბრამის ბატკანი ხომ არ ხარ; წითელი კვერცხი ხარ თუ; ხელები დამიბანია ამ საქმიდან...), ზოგს – ანტიკური მითები (განხეთქილების ვაშლი, აქილევსის ქუსლი, სიზიფეს შრომა...).

იმდენად სპეციფიკურია ხატოვანი თქმები, რომ მათი თარგმნა სხვა ენაზე არ ხერხდება, ან მიახლოებითი თარგმანია შესაძლებელი, რადგან ისინი კონკრეტული ხალხის ყოფა-ცხოვრებასთან, ისტორიასთან, ზნე-ჩვეულებებთან, ტრადიციებთანაა დაკავშირებული და ძნელია სხვა ენაზე თარგმნისას ზუსტი შესიტყვების მოძებნა. ამდენად, ღრმაა ერის კუთვნილება, ერის აზროვნების საცნობი ენობრივი სამკაული, ენობრივი აქსესუარები.

ხატოვანი სიტყვა-თქმების შესწავლის ისტორიისათვის

როგორც ცნობილია, ხატოვანი სიტყვა-თქმების შესწავლას იმთავითვე მიეცა ყურადღება. ზეპირსიტყვიერების მასალათა შემკრებმა პეტრე უმიკაშვილმა 1876 წელს გამოცემული ანდაზების წიგნაკის ბოლოს მოათავსა ისეთი სიტყვები და ფრაზები, რომლებიც, ავტორის სიტყვით, „თუმცა ნამდვილი ანდაზები არ არის, მაგრამ ძალიან ხშირად ანდაზასავით ხმარობენ“. ამგვარ ფორმებს პ. უმიკაშვილი „სიტყვის მასალებს“ უწოდებს.

ამასთანავე, ჯერ კიდევ 1903 წელს ჟურნალ „მოამბეში“ დაიბეჭდა ალ. მირიანაშვილის სტატია „ქართული ფრთოვანი სიტყვები“. ავტორი საუბრობს ფრთიანი სიტყვების მნიშვნელობასა და ძალაზე: „ლაპარაკის გასალამაზებლად თვითეულ ხალხს თავის ლექსიკონში მოეპოვება ანდაზები, ეპითეტები, სიტყვები, რომლებიც თავიანთი ფორმით, მნიშვნელობით ანუ დასაწყისით - წარმოშობით უცებ იზიდავენ საერთო სიმპატიას. ასეთი სიტყვები ერთნაირის სიადვილით და სიმარდით გადადის დიდებულის დარბაზიდან საცოდავის ქოხამდე და დადის კიდეით-კიდედ: „დაფრინავს“, ყველა იმეორებს, ყველა ისმენს, სტკბება გაგონებით. რომ იტყვიან, მავანმა „მარილიანი“ საუბარი, „წყლიანი“ ლაპარაკი იცისო, უეჭველად სახეში ასეთი „ფრთოვანი სიტყვების“ ხმარებაც აქვთ“ („მოამბე“, 1903, N4 გვ.2).

ალ. მირიანაშვილი, ასევე, ყურადღებას ამახვილებს ფრთიანი სიტყვებით ენის საშუალებაზე: „საუბრის გაშროიანება, გალაზათიანება წარმოუდგენელია უამისოდ: ანდაზა, მოსწრებული სიტყვამახვილობა და თავის ადგილას ნახმარი ეპიტეტი ლაპარაკისათვის იგივეა, რაც არქიტექტურა შენობისათვის... ენის სიმდიდრეც ამ ფრთოვანი სიტყვების სიმრავლითაც გაიზომება.

ჟამთა მიმდინარეობა თავისს ელფერს ადებს ერთა ცხოვრებას და, მასთან ერთად, მის ენას“.

წერილში ავტორი ეხება ფრთიანი სიტყვების წარმოშობის საკითხსა და მისდამი ინტერესს. როგორც აღნიშნავს, „დღეს სიამოვნებით ვისმენთ და ვხმარობთ ამგვარ სიტყვებს, რადგან არცთუ მათი მნიშვნელობა კარგად გვესმის, არამედ ზოგჯერ დაახლოებით ვიცით მისი წარმოშობა, თავდაპირველი მთქმელი, სრული მისი ისტორია. გავა დრო და მთქმელი, რასაკვირველია, დაგვავიწყდება, დაგვავიწყდება თვით სიტყვის მნიშვნელობაც. ქართულ ენაში ბევრია ამგვარი სიტყვები, რომლებიც ისტორიულადაც უეჭველად აღძრავს მშობლიურ სიტყვიერების მოყვართა შორის ცნობისმოყვარეობას. ვის არ უნდა, გაიგოს, მაგალითად, რა საფუძველი, რა დასაწყისი აქვს ამ თქმულებებს: ციციანთ დავა, მაჩაბლიანთ კატა, ატოცის გლახა, თოროზას გუდა, გაგუნიანთ დერეფანი, ოთოთაანთ ქორი, ალიას დარდი და სხვა“.

ალ. მირიანაშვილი აღნიშნულ წერილში თოთხმეტ სიტყვის მასალას, თქმულებას თუ ფრთოვან სიტყვას ათავისებს და გვაცნობს მათი წარმოშობის ისტორიას. კერძოდ, განიხილავს შემდეგ თქმებს: თავზედ ლაფდასხმული; ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო; როცა ეყარა, ის დრო წავიდა, ეს აბაზიც ყალბია; ეჯიფო, შენს მეფეს გაუმარჯოს; ისეთი გოდორი დასწან, შენს შვილსაც გამოადგესო; მე თუ ბედი მექნებოდა, მაკოია მერქმე-ბოდა; შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვს; მეცამეტე გოჭი; ვინც იცის, იცის, ვინც არა-ცერცვა ჰგონია; ვისაც ღმერთი მისცემს, ავანის ხევშიაც მისცემს; ჩაილურის წყალი დალია; ოთოთაანთ ქორი; ნაცარქექია.

სიტყვა-თქმებით მდიდარია ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობაც. ამ მხრივ საყურადღებო მასალებია მოცემული

სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“, დ. ჩუბინაშვილის „რუსულ-ქართულ ლექსიკონში“, „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“. ფასდაუდებელია და ქართული სიტყვის მკვლევართათვის დიდი განძია თედო სახოკიას „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“. ამ ლექსიკონის მასალა აღებულია კლასიკოსთა თხზულებებიდან, დიალექტებიდან, სასაუბრო ენიდან.

თ. სახოკიას ლექსიკონს დართული აქვს შესავალი წერილი შ. ძიძიგურისა. ენათმეცნიერი საუბრობს ქართული ენის თქმის ხატოვანებასა და მეტაფორულ სახეცვლილებაზე. როგორც შ. ძიძიგური შენიშნავს: „ხატოვანი სიტყვა-თქმანი რამდენადმე ჩვენი წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების ამსახველია. ლექსიკა-ფრაზეოლოგიის არც ერთ სფეროში არა ჩანს ისე მკვეთრად ხალხის თავგადასავალი, ურთიერთობანი, ზნე-ჩვეულებანი, ყოფის რეალიები, როგორც ე.წ. ფიგურალურ სიტყვა-თქმებში. იგივე „თავლაფდასხმული“ სიტყვიერი მოწმეა იმ დროისა, როდესაც სოფელი საზოგადოებრივი ადათ-ჩვეულებისა და ზნეობის დამრღვევს საჯაროდ გამოიყვანდა და ყველა ვალდებული იყო, ლაფი დაესხა დამნაშავისათვის... ძველ დროს დასასჯელს ყურს დანით დაუსერავდნენ, ხოლო სისხლის შესაჩერებლად მიწაზე გართხმულს ხახვს დააჭრიდნენ ყურზე, – აქედან მომდინარეობს თქმა: „ყურებზე ხახვი არ დამაჭრაო“ (ძიძიგური, 1950: 6-7).

შ. ძიძიგური ნაშრომში ერთ საინტერესო დეტალზეც ამახვილებს ყურადღებას. კერძოდ, იდიომატურ თქმას შემოუნახავს ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც აქტიური გამოყენების არაა ან საერთოდ აღარ გვხვდება მეტყველებაში: „იდიომა ხშირად შეიცავს ისეთ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც თანამედროვე საერთო სიტყვახმარებაში აღარ გვხვდება (ან იხმარება მხოლოდ დიალექტობრივ) და შემონახული კია მოცემულ გაქვა-

ვებულ კონტექსტში, როგორც გადმონაშთი ენის ძველი ლექსიკური შემადგენლობისა (შდრ. „ზოგი ალთას, ზოგი ბალთას“; ერთ ბერაში გამოყვანა და მისთ.) [ძიძიგური, 1950:6]. აღნიშნული მსჯელობა ხაზგასმით მიანიშნებს ხატოვან სიტყვა-თქმათა მნიშვნელობაზე ენის ისტორიის კვლევა-ძიებისათვის და არა მხოლოდ ენის ისტორიისათვის. ხატოვანი სიტყვა-თქმები საინტერესო მასალაა ენათმეცნიერის, ეთნოგრაფის, კულტურის ისტორიკოსის, მხარეთმცოდნის, ლიტერატურის მკვლევრისათვის.

როგორც აღვნიშნეთ, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმების შესწავლამ იმთავითვე მიიქცია მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღება და ენათმეცნიერების ერთ-ერთ საინტერესო ობიექტს წარმოადგენს. მისი შესწავლის საკითხს ეხება გ. შალამბერიძის, ქ. კანდელაკის, ა. ფრანგიშვილის, ა. ნეიმანის, თ. შავიშვილის, ი. კიკნაძის და სხვათა კვლევები. საკითხი მონოგრაფიულად შეისწავლა ა. თაყაიშვილმა. მონოგრაფიაში დეტალურადაა საუბარი ქართული ფრაზეოლოგიის არაერთ საკითხზე. ჩვენ რამდენიმე ასპექტზე გავამახვილებთ ყურადღებას. არ. თაყაიშვილი საუბრობს ფრაზეოლოგიის საგანზე, ეხება ტერმინოლოგიის საკითხსა და ფრაზეოლოგიის საზღვრებს. განხილულია იდიომისა და ფრაზეოლოგიური შესიტყვების სემანტიკურ-გრამატიკული და ლექსიკურ-სტილისტური ანალიზი. ფრაზეოლოგიურ მასალასთან დაკავშირებით წარმოადგენს ვ. ვ. ვინოგრადოვის სამწევრიან კლასიფიკაციას (ფრაზეოლოგიური შენაზარდები, ფრაზეოლოგიური მთლიანობები და ფრაზეოლოგიური შესიტყვებები). ა. თაყაიშვილის აზრით, აღნიშნული კლასიფიკაცია „ეყრდნობა სემანტიკურ პრინციპს... გაუმართლებელია, როცა სიტყვასიტყვით იმეორებენ აღნიშნულ დაყოფას, ხელუხლებლად გადააქვთ იგი სხვა ენის მასალის მიმართაც

[თაყაიშვილი, 1961:17]. მისივე დასკვნით, აღნიშნული კლასიფიკაცია გადასინჯვას და კორექტირებას საჭიროებს. ავტორის შენიშვნები ეხება ორ საკითხს: ფრაზეოლოგიაში მოსაქცევი მასალის დაზუსტებას და იმას, თუ რამდენად მართებულია ამ მასალის სამ ჯგუფად დაყოფა. არ. თაყაიშვილი თვლის, რომ „შენაზარდისა და მთლიანობის დაცალკევებას ხელოვნური ხასიათი აქვს... სამართლიანია გაერთიანდეს მყარი შესიტყვების ეს ორი ტიპი და იდიომი ეწოდოს“ [თაყაიშვილი, 1961:20]. შესაბამისად, მკვლევარი ფრაზეოლოგიას წარმოგვიდგენს ორ ჯგუფად: იდიომებად და ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებად.

ნაშრომში მოცემულია ამომწურავი, კონკრეტული მსჯელობა იდიომის სპეციფიკის შესახებ. განხილულია სიტყვათა წყობის მუდმივი რიგის, კომპონენტების სინონიმებით შეცვლის, იდიომის რედუქციისა და გავრცობის შესაძლებლობების, გრამატიკული და ლექსიკური არქაიზმების დაცვის საკითხები და იძლევა მისეულ შეფასება-კრიტიკას. ასევე, გვთავაზობს იდიომის განსაზღვრის კრიტერიუმებს და აზუსტებს იდიომის ცნებას.

მონოგრაფიაში ვრცლად საუბრობს არ. თაყაიშვილი ფრაზეოლოგიურ შესიტყვებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, როგორცაა ფრაზეოლოგიური შესიტყვების შემადგენელი ელემენტები, სიტყვათა კავშირები, ხატოვანება ფრაზეოლოგიურ შესიტყვებაში, ფრაზეოლოგიური შესიტყვების იდიომთან მიმართება. აქვე განიხილავს ფრაზეოლოგიზმების დამოკიდებულების საკითხს მოსაზღვრე ერთეულებთან. ამ საკითხთან მიმართებით მსჯელობს ფრაზეოლოგიზმისა და მეტაფორული სიტყვის, კომპოზიტის, დამხმარე სიტყვების, თავისუფალი შესიტყვების, ანდაზის, აფორიზმის, ფრაზის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

კვლევის საინტერესო ნაწილს წარმოადგენს ფრაზეოლოგიზმების თარგმანისა და ლინგვისტიკაში მისი ადგილის საკითხის შესახებ მსჯელობა.

როგორც ვხედავთ, არ. თაყაიშვილი ქართული ფრაზეოლოგიის არაერთ საკითხს შეეხო მონოგრაფიაში. დავსძენთ, რომ ნაშრომში საილუსტრაციოდ წარმოდგენილი მრავალფეროვანი მასალა დამოწმებულია უძველესი ქართული ძეგლებიდან, კლასიკოსთა შემოქმედებიდან და ცოცხალი მეტყველებიდან.

როგორც აღვნიშნეთ, მკვლევარი ვრცლად საუბრობს ფრაზეოლოგიზმებისა და იდიომების ტერმინისა და განმარტების შესახებ. მოცემულია არსებულ განსაზღვრებათა შეფასება და ავტორისეული ხედვა საკითხთან დაკავშირებით.

ქართული ფრაზეოლოგიზმების ცალკეული საკითხის შესახებ მსჯელობებს ვხვდებით არაერთ სამეცნიერო სტატიაში. ა. ფრანგიშვილი **გულ** კომპონენტის გამოთქმების ანალიზის საფუძველზე, „გულ“ სიტყვისა და მისგან ნაწარმოები სიტყვების სემანტიკის საკითხებს განიხილავს. მათ წარმოქმნას ფსიქოლოგიურ საფუძველს უძებნის. ასევე, საინტერესო დაკვირვებები აქვს იდიომის წარმოშობის შესახებაც.

ა. ნეიმანი „კაცია-ადამიანის“ ქართულ იდიომებს რუსულ შესატყვისებს უძებნის (ნეიმანი, ა., ქართული იდიომები „კაცია-ადამიანის“ მიხედვით და მათი რუსული შესატყვისები, პუშკინის პედ. ინსტ. შრომები, ტ. I, 1941) ქართულ იდიომებს ქართულ იდიომებს „კაცია-ადამიანში“ განიხილავს გ. შალამბერიძეც ნაშრომში – „ფრაზეოლოგიზმები ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანში“ (იკე, ტ. VIII, 1956).

ფრაზეოლოგიური საკითხების კვლევას ეხება ა. ონიანი შრომებში: „ქართულ-სვანური იდიომატიკის საკითხები“ (თბ., 1954) და „ქართული იდიომები“ (თბ., 1966). მკვლევარი საკვლევ

საკითხთან დაკავშირებით ქართულისა და სვანურის მონაცემთა ანალიზს წარმოგიდგენს და, ასევე, იდიომთა წარმომავლობის საკითხზეც მსჯელობს.

ინგლისური იდიომებისა და მათი ქართული შესატყვისების საკითხს ეხება ქ. კანდელაკის „ინგლისური მეტაფორული იდიომები და მათი ქართული ეკვივალენტები“ (თბ., 1955).

ქართული ფრაზეოლოგიზმების შესწავლის ისტორიის განხილვისას გასათვალისწინებელია ლექსიკონებიც: თ. შავიშვილის „ფრაზეოლოგიური ლექსიკონი“ (თბ., 1957), ნ. გამრეკელი, თ. ჰოფმანი, ნ. ქადაგიძე, გერმანულ-რუსული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი“ (თბ., 1973), ნ. გამრეკელი, ე. მაგლობლიშვილი, „ქართულ-რუსული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი“ (თბ., 1966), ნ. გამრეკელი, ე. მაგლობლიშვილი, „რუსულ-ქართული იდიომატიკა“ (თბ., 1956), ც. ბიბილეიშვილი, ლ. დარაშვილი, რ. გაჩავა, „ფრანგულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი“ (თბ., 2010).

ფრაზეოლოგიზმთა კვლევის სხვადასხვა ასპექტს ეხება ნ. ცეცხლაძის მონოგრაფია „ფრაზეოლოგიზმთა კვლევის ასპექტები“ (თბ., 2018). ნაშრომში დეტალურადაა განხილული ფრაზეოლოგიზმები განსხვავებული ასპექტებით. კერძოდ, ცალცალკე თავებადაა წარმოდგენილი მსჯელობა ფრაზეოლოგიზმთა სტრუქტურული, სემანტიკური, გრამატიკული, სემასიოლოგიური, სტილისტიკურ-კონოტაციური და ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზის კუთხით. მკვლევარი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ფრაზეოლოგიზმთა ლინგვოკულტუროლოგიურ ღირებულებაზე. კულტურათმორისი დიალოგის კონტექსტში განხილულია ფრაზეოლოგიურ ვარიანტთა და ლინგვოკულტურემათა თარგმნის პრობლემაც. ამ მიმართებით ისეთი ფრაზეოლოგიზმებია გაანალიზებული, რომლებიც სტრუქტ-

ურიტა და კომპონენტებით მსგავსია ქართულსა და თურქულში, მაგრამ განსხვავდებიან სემანტიკურ-სტილისტური ნიუანსებით.

ავტორის მიზანია, ფრაზეოლოგიზმთა კვლევის ზოგადი ასპექტების შესწავლა ქართულში. საამისოდ მრავალრიცხოვანი საანალიზო მასალა აღებული აქვს ქართული კლასიკური ძეგლებიდან, თანამედროვე მწერლობიდან. საერთოქართველური სურათის შესაქმნელად გათვალისწინებულია ქართველურ ენათა მონაცემებიც. შესადარებლად გამოყენებულია ძველი ქართულის მონაცემები. ნაშრომის ღირებულების განმსაზღვრელია ის, რომ წარმოდგენილია სამხრული მეტყველების ნიმუშებიც. მკვლევრის მართებული შენიშვნით: „ქართული ენის სამხრული კილოების მონაცემების გათვალისწინება პირველ რიგში იმითაა საინტერესო, რომ აქ იკვეთება დიალექტოლოგიური ფრაზეოლოგიზმების დაუყონებლივ დაფიქსირების აუცილებლობაც და მათი ლექსიკოლოგიურ-ლექსიკოგრაფიული თუ სხვა რომელიმე კუთხით კვლევის აქტუალობაც“ (ცეცხლაძე, 2018:10).

მართალია, ქართული ფრაზეოლოგიზმები შესწავლილია, გამოკვეთილია კვლევის სხვადასხვა ასპექტები, თუმცა ამას ვერ ვიტყვით ქართული ენის დიალექტებთან მიმართების კუთხით. ჩვენი კვლევის მიზანი სწორედ ხატოვანი თქმების აღწერა და სალექსიკონო მასალის სახით წარმოდგენაა აჭარული კილოს მონაცემების გათვალისწინებით. ხატოვან სიტყვა-თქმებს აჭარულში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა, მაგრამ საკითხი მონოგრაფიულად არაა შესწავლილი. ცნობილია, რომ 1926 წელს გამოცემულ მ. ხუბუას ნაშრომში „ზემოაჭარულის თავისებურებანი“ გვხვდება ასეთი თქმები. ზოგიერთს დავასახელებთ: პირზე მურის შეცხება–შერცხვენა; ხაჯალური დამაბი კისერზე – დამიჭირე, გამომამაშვარავე; სიტყვას მიე ყური – მოუსმინე; დაპ-

ნეული ვარ ჭკუაზე – უყურადღებო გავხდი; გულში დაჭერა-
დამახსოვრება და სხვა. აქვე დამოწმებული აქვს ანდაზებიც.

კვლევის ამ კუთხით ფასდაუდებელი ღირებულებისაა ჯ. ნოღაიდელის ნაშრომები. უდავოდ განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ჯ. ნოღაიდელს აჭარის წარსულისა და მისი სულიერი კულტურის შესწავლის საქმეში. ის იყო ამ კუთხის მეცნიერთა შორის პირველი, ვინც საფუძველი ჩაუყარა აჭარის ეთნოგრაფი-
ის, ზეპირსიტყვიერების, მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ფოლკ-
ლორისა და აჭარული კილოს თავისებურებათა მეცნიერულად
შესწავლის მნიშვნელოვნად ზედროულ და საშურ საქმეს. მეც-
ნიერი დიდ დროს, ენერგიასა და ყურადღებას უთმობდა აჭა-
რული დიალექტური ლექსიკის მოძიება-ფიქსაციას. განზრახუ-
ლიც ჰქონდა აჭარული კილოს ლექსიკონის გამოცემა. ლექსიკო-
ნისათვის საჭირო მასალები ბარათებზე ჰქონდა გადატანილი,
მაგრამ ვერ მოასწრო ჩანაფიქრის განხორციელება. 4000-მდე
ლექსიკური ერთეული დარჩა მის არქივში. ბათუმის შოთა რუს-
თაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის
ინსტიტუტის მესვეურთა: ინსტიტუტის დირექტორის ბატონ
როინ მაღაყმადის, სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელის ბატონ
ნოდარ კახიძისა და ფოლკლორისა, დიალექტოლოგიისა და
ემიგრანტული ლიტერატურის განყოფილების ხელმძღვანელის
ქალბატონ შუშანა ფუტკარაძის თანადგომა-ხელშეწყობით, 2015
წელს „აჭარული კილოს სალექსიკონო მასალა“ გამოიცა იმ სა-
ხით, რა სახითაც იგი ჯ. ნოღაიდელმა დატოვა. წიგნი გამოსა-
ცემად მომზადდა ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მეცნიერ-
თანამშრომელთა – ნანული ნოღაიდელის (ბატონ ჯ. ნოღაი-
დელის ქალიშვილი) და თამილა ლომთათიძის (ბატონ ჯემალ
ნოღაიდელის შვილიშვილი) მიერ. წიგნში არაერთი საინტერესო
ხატოვანი სიტყვა-თქმა გვხვდება. მაგალითისათვის: სულო

ამოდ და წად – არაჩვეულებრივი, შეუდარებელი; პირში წვერის ჩადება – ჩაფიქრება; აღმართ-დაღმართის დამინდვრება – ძალიან სწრაფად, უთავბოლოდ სირბილი; ნალების დამძრობა – მოულოდნელად ზიანის მიყენება; ღრმა ქართულით ლაპარაკი – ლიტერატურული ქართული ენით საუბარი. საილუსტრაციოდ ასეთი უამრავი სიტყვა-თქმის დასახელება შეიძლება. შევნიშნავთ, რომ ჯ. ნოღაიდელის სალექსიკონო მასალებში დიდი როდენობითაა შესული მის მიერვე პირველად დაფიქსირებული ფრაზეოლოგიზმები, ხატოვანი გამოთქმები, რომლებზეც პროფ. ვარლამ თოფურია ხაზგასმით მიუთითებდა ჯ. ნოღაიდელისადმი გამოგზავნილ წერილში: სხვა სიტყვიერ მასალასთან ერთად, „ფრაზეოლოგიაა საჭირო“-ო.

ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუ დავსძენდით, რომ აჭარული კილოს სალექსიკონო მასალის დიდ ნაწილს იცნობდა ცნობილი მეცნიერი ვ. თოფურია. აქვე სრულად გთავაზობთ ლექსიკონის გამოცემაზე ჯ. ნოღაიდელისადმი გამოგზავნილ წერილს: „პატივცემულო ჯემალ!... ამას წინათ ქიზიყური ლექსიკონი გამოგიგზავნეთ გასაცნობად. უთუოდ მიიღეთ და გაეცანით კიდეც. ახლა ჯერი თქვენია. უნდა გავაკეთოთ აჭარული ლექსიკონი ისე, რომ ჩვენც მოგვეწონოს. გიგზავნით თქვენს მასალებს (ძველსა და ახალს). უნდა შევავსოთ ახალი სიტყვებითა და, რაც აქ არის, განვავრცოთ. ლექსიკონში შევა ყველა სიტყვა, რომელიც ახსნას საჭიროებს (ყოფა-ცხოვრებითი, ეთნოგრაფიული, სამუშაო იარაღები და მათი ნაწილები, სადგომები, ცხოველები, ფრინველები, მცენარეულობა, თამაშობანი, ბავშვის მეტყველება და სხვადასხვა). ფრაზეოლოგია საჭიროა. აღწერა რაც შეიძლება, ვრცელი უნდა იყოს. ერთი სიტყვით, ქიზიყური ლექსიკონის უკეთესი უნდა გამოვიდეს. უნდა შევუდგეთ ახლავე. მომავალი წლის ბოლოსათვის მზად უნდა

გვექნეს. დრო არც ისე დიდია, მაგრამ კარგი მუშაობით შევძლებთ მოთავებას. თუ მივლინება საჭირო იქნება აჭარაში (და უსათუოდ საჭირო იქნება), მოგიხერხებთ ჩვენ ან ჩვენი შუამდგომლობით.

მაცნობეთ თქვენი თანხმობა და ისიც, რაც გჭირდებათ“... 6. IX. 44 წ. (ნ. ნოლაიდელი, წერილები წარსულიდან, ბათუმი, 2015)

სამწუხაროდ, ჯ. ნოლაიდელს არ დასცალდა ლექსიკონის გამოცემა. მისი დანატოვარი სალექსიკონო მასალა მრავალმხრივი მეცნიერული ღირებულებისაა.

ასევე, აღსანიშნავია ჯ. ნოლაიდელის მიერ 1940 წელს გამოცემული წიგნი „აჭარის ზეპირსიტყვიერება“. აქაც მრავლადაა წარმოდგენილი კუთხისათვის დამახასიათებელი ანდაზები: წისქვილი ზეიდან ყრის, ამა ძალა ქვეშედან აქო; ფერებაში დათვს ბელი შემოაკვდაო და სხვ.

ხატოვანი სიტყვა-თქმების სახასიათო ნიმუშების სიუხვით გამოირჩევა შ. ნიჟარაძის მონოგრაფია „ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა“ (ბათუმი, 1971 წ.). მან ეს თქმები ნაშრომის სალექსიკონო ნაწილში კიდევ შეიტანა. ასევე, მკვლევარი ნაშრომის შესავალ ნაწილში განიხილავს აჭარულის დიალექტური ლექსიკის შესწავლის მნიშვნელობას, გვიხასიათებს დიალექტს ლექსიკური კუთხით და საუბრობს გამოვლენილ იდიომებზე. თვალსაჩინოებისათვის ზოგიერთ ნიმუშს დავასახელებთ ლექსიკონიდან: კუდი ღლიას, გზა ბარაქას-გადაკრული სიტყვა იმის მისანიშნებლად, რომ მთქმელი ვისიმე დაყვედრების, დამუნათების ქვეშ არ ექცევა; ჭვანის გათათრება მახსოვს – ძალიან დიდი ხნისა ვარ; ყიყვების გასივება – გაკადნიერება, ყოყოჩობა; ბზიკის ბუდე – ფიცხი, ანჩხლი, ცხარე; გვარის მამაგი – გვარის შემარცხვენელი; ცას გამიეკვერება – დიდხანს არ მოკვდება; წყი-

ლისთვინ ტყავის გაძრობა – სიძუნწე, უკიდურესი მომჭირნეობა და სხვ.

ხატოვან სიტყვა-თქმებს აჭარულ კილოში განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ნ. ნოლაიდელმა. აღნიშნულ საკითხს ის არაერთ სტატიაში განიხილავს. ცალკე თავი უძღვნა აჭარულის ხატოვან სიტყვა-თქმებს მონოგრაფიაში „ლექსიკური ძიებანი“. წლების განმავლობაში, აჭარული კილოს დარგობრივ ლექსიკაზე მუშაობამ მკვლევარს საშუალება მისცა აღენუსხა ის სიტყვა-თქმები, რომლებიც ხატოვნად, სახეობრივად, სხარტად გადმოგვცემენ აჭარელთა შემოქმედებით აზროვნებას და კულტურულ-ეთნოგრაფიულ, საერთოდ, მათ მდიდარ სულიერ სამყაროს, მაგალითისათვის: „სიტყვა სიტყვის მაკინარია“, „ღომის ამონათვლა“, „იაილამ პირი დაიბანა“, „ეტირება რჯულის კენწერი“ და სხვა უამრავი.

თუმცა, აღნიშნული კვლევები ვერ ამოწურავს აჭარელთა მეტყველებაში, მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში უნებლიეთ თქმულ ხატოვან თქმებს. უშრეტია ქართველი კაცის ნაფიქრ-ნააზრევის მხატვრულად წარმოსახვა–აღქმის შესაძლებლობები. ამ მიმართებით კვლევა-ძიება დროული და საშური, გადაუდებელი საქმეა.

ჯერ ერთი, რომ ხალხური სიტყვა-თქმების შესწავლა რთულია, რამდენადაც ამ სახის ლექსიკა ხალხის ცოცხალ მეტყველებაზე სისტემატურ, ხანგრძლივ დაკვირვებას მოითხოვს. აღნიშნული მასალის მოპოვება-შეგროვება ხალხთან უშუალო ურთიერთობისას იჩენს ხოლმე თავს, რადგანაც სამეურნეო თუ სოციალური ყოფის ყოველდღიურ საქმიანობას უხვად ახლავს ისეთი ლექსიკა, რომელიც სპონტანურად, ძალდაუტანებლად ვლინდება ხოლმე და, ამდენად, არცთუ ისე იოლია მათი აღნუსხვა.

გარდა აღნიშნულისა, ბევრი სიტყვა თუ გამოთქმა თანდათან დავიწყებას ეძლევა და ისტორიის კუთვნილება ხდება. საზოგადოებრივი ცვლილებები, ბუნებრივია, აისახება ენაში. პოლიტიკური, ეკონომიური, სოციალური, კულტურული ცვლილებები ყველაზე მეტად კი, ენის ცვალებად ნაწილში – ლექსიკაში იჩენს თავს. ლექსიკიდან კი „სწორედ ის ნაწილია მოძრავი და ცვალებადი, რომელიც საზოგადოების კულტურას ასახავს“ (ნებიერიძე, 1991:246). სწორედ, ეს მომენტიცაა დროულად გასათვალისწინებელი. ასეთი ლექსიკური ერთეულების ადგილს ახალი ენაცვლება. ლექსიკის აღნიშნულ ცვალებადობას თან მოჰყვება ხატოვანი თქმების გადავიწყება და თანდათანობით – გაქრობაც. ამიტომაც მოსასწრები ასეთი თქმების აღნუსხვა. ამასთანავე, ამგვარი სიტყვა-თქმების დავიწყება ენის გაღარიბებას იწვევს. პარალელურად, საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებების შესაბამისად, ჩნდება ახალი ხატოვანი სიტყვა-თქმებიც. ბუნებრივია, ასევე, გადაუდებელი და აუცილებელია მათი შესწავლა და სათანადო ადგილის მიჩენა.

ამდენად, სალექსიკონო მასალის შეგროვებისას ჯეროვანი ყურადღება ამ რიგის მასალის შეკრებასაც უნდა დაეთმოს და აისახოს კიდევ ქართული ენის დიალექტთა ლექსიკონებშიც. თუმცა, ენათმეცნიერებაში ნაკლები ყურადღება ექცევა დიალექტური ხატოვანი თქმების შესწავლას. ასეთი დიალექტური თქმები საერთო-ქართველური ფრაზეოლოგიის შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია, რამეთუ „დიალექტური ფრაზეოლოგია არ წარმოადგენს სალიტერატურო ენის უბრალო ვარიაციებს, არამედ მასში ჭარბობს ლოკალური, საკუთრივ დიალექტური ფრაზეოლოგიური წარმონაქმნები. აქ აისახება მომიჯნავე ენათა კონტაქტები სესხების, კალკის და ნახევრად კალკის სახით“ (სურმავა, 2012:156).

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და საგულისხმო იქნება დიალექტთა ხატოვანი სიტყვა-თქმების ლექსიკონის ცალკე გამოცემა. ამით უფრო სრულყოფილად წარმოჩნდება ხალხის სოციალურ ყოფაში გავრცელებული ხატოვანი თქმები. ამ სახის დიალექტურ მონაცემებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ენაში მომხდარი პროცესების დასადგენად და, განსაკუთრებით, ეთნოკულტურული ასპექტების მართებული გააზრებისათვის.

შევნიშნავთ, რომ აჭარულ კილოში მრავლადაა მიწათმოქმედების, მესაქონლეობის, ქორწინებისა თუ სხვა სამეურნეო თუ ყოფით მხარესთან დაკავშირებული ხატოვანი სიტყვა-თქმები. რა თქმა უნდა, მათი ერთად თავმოყრა კონკრეტულ წარმოდგენას შეგვიქმნის დიალექტში გავრცელებული ამ სახის მასალის შესახებ და უფრო ღრმად ჩაგვახედებს ხალხის სულიერ სამყაროში.

როგორც აღვნიშნეთ, დიდია ზემოთ დასახელებულ ნაშრომთა მეცნიერული ღირებულება, თუმცა ხალხური სიტყვა-თქმები მაინც ნაკლებადაა შესწავლილი. ნაკლებადაა ყურადღება გამახვილებული მის შესწავლაზე ქართული ენის დიალექტების მიხედვით. ჩვენი მოკრძალებული მცდელობა სწორედ ესაა: უფრო სიღრმისეულად წარმოვაჩინოთ ხალხური სიტყვა-თქმების ეს მხარე აჭარულ კილოში. ნაშრომში ჩვენ მიერ მოძიებულ მასალასთან ერთად შევიტანეთ ჯ. ნოღაიდელისა და შ. ნიჟარაძის სალექსიკონო მასალებში წარმოდგენილი თქმებიც.

წინამდებარე ნაშრომში ხალხის ცოცხალი მეტყველებიდან მოძიებული მასალა, იქნება ეს ფრაზეოლოგიზმები თუ იდიომები, არ გავმიჯნეთ, გავაერთიანეთ და მოვიხსენიებთ ხატოვან სიტყვა-თქმებად, იმის გათვალისწინებით, რომ ექსპრესიულობა-ხატოვნება ამგვარ სიტყვა-თქმათა ერთ-ერთი არსებითი, სპეციფიკური, განმსაზღვრელი ნიშანია.

ბუნებრივია, წარმოდგენილი მასალა სულაც ვერ ამოწურავს ხალხში გავრცელებულ ხატოვან თქმებს. ამოუწურავია ეს საკვლევი ობიექტი. კიდევ ბევრი, სიბრძნით, სინატიფით ნათქვამი ნიმუშის მიკვლევაა შესაძლებელი. ვფიქრობთ, წარმოდგენილი მასალა ნათლად გვახედებს აჭარელთა ყოფაცხოვრების, აზროვნების შინაგან სამყაროში და კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რამდენად ძარღვიანია, ტევადია, მოქნილი და ფერადოვანია ქართული სიტყვა.

აათიხა ეზო-განი – ბევრი მისვლით ეზო-კარი აატალახა (გად).
ბევრჯერ მივიდა, რომ საწადელისთვის მიელწია. „არ მინ-
დოდა მაგის შუამავლობა, მარა, არ მეისვენა, იმდენი იარა,
აათიხა ეზო-განი“.

აალაპარაკა ცეცხლი – კარგად დაანთო, გააჩაღა ცეცხლი. „ნენემ
ისე დაანთო, ცეცხლი აალაპარაკა“.

აბუზანკლებული ინსანი – მსუბუქი ყოფაქცევის ადამიანი. „შე-
იცვალენ, აშული გახდენ. ყველაფერი სააშკარაოზე გამო-
აქვთ, ბუზანკალნაჟამი, აბუზანკლებული ინსნები“.

აბუნდული გორგალი – დაბნეული, გაუწონასწორებელი, მოუ-
წესრიგებელი ადამიანი: „მაგიდან არაფერი არ გამოვა,
აბუნდული გორგალია“.

ადრეხის დაგება – ანდერძის დატოვება (შდრ. გლ., ანდერძად
დადებული).

ავარდნილი ტკივილი – ძლიერი, გაუსაძლისი ტკივილი: „თია
ან კუე თუ ექნება და ავარდნილი ტკივილი აქ, ლერწმის
ფაფას დაადებენ“.

ავაქანებიე ჩენგე – 1. გავაკვირვე. „იმფერი ამბები მუასმენიე,
ავაქანებიე ჩენგე“. 2. სიმართლის თქმით გავამწარე.
„ცხვირპირში მივახალე, შენ წედე მეთქი. ვეფერი ვეღარ
თქვა, – ავაქანებიე ჩენგე“.

ავშარის მიშვება – თავის ნებაზე გაშვება. „მშუშა ბალანას ავშარა...
„იგიც გეძეცა. ახლა სახშიც ვერ მოყავს“ (შდრ. ონიანი აღ-
ვირის აშვება, აღვირის წახსნა).

აზრის დაკლიტვა – დავიწყება: „ბირემედენაჲ დემეკლიტვის
აზრი, აღარ გამახსენდება“.

აკვანი ხომ არ მირწია – აკვანი ხომ არ მირწევია, შრომა არ და-
მიხარჯავს, არ შევწუხებულვარ: „რამე დიემართება?! ჯავ-

რი არ მაქ, ახლა მაგიც ვიდარდო. მაგისტვის აკვანი ხომ არ მირწია!“.

ალაღება ყანისა – ყანის კარგად, თამამად გაზრდა, გახარება: „გაფხევის მერე ყანა რომ გეიხარებს, გამარნალდება, ალაღებულია ყანააო, – ვიტყვით“.

ალესტეთ დადგომა – მზადყოფნა, დადარაჯება: „დავუყრიდი, გაძლებოდა, ალესტეთ იყო დამდგარი“.

ალიბანდურათ ლაპარაკი – არეულად, გაუგებრად ლაპარაკი: „ისე ალიბანდურათ ლაპარაკობს, ამთავე ჭკვის არ უნდა იყოს“.

ალიყურზე ძინავს – უმოქმედოდაა: „რამეს არ აკეთებს სახელმწიფო, ალიყურზე ძინავს“ (ალიყური – ალის ყური, ლოკოკინას ნიჟარა).

ამბის აკრეფა – გახსენება, მოგონება: „ჭექიები (ზღაპრები) კი ვიცოდი, მარა გადამამიწყდა, ძველ ამბებს ველარ ვკრეფ ახლა“.

ამ მიწიდან ვართ ამოსული (ამ მიწიდან ვართ გაჩენილი) – ამ ადგილის, ამ კუთხის, მიწა-წყლის უძველესი, თავდაპირველი მცხოვრებლები ვართ; ეს კუთხე, ეს მიწა ჩვენს წინაპართა უძველესი საცხოვრისია.

ამთავე ჭკვის – სრული ჭკუა-გონების: „ჯერ ამთავე ჭკვის ვარ, აფერი არ მამიწყდება“.

ამოიშვა არტახებიდან ხელი – თავის თავს ყველაფრის უფლებას აძლევს, რაც უნდა, იმას აკეთებს, ამბობს (შდრ.: ავშარის მიშვება. სახოკია – არტახში მიბია ხელი– ძალიან მიჭირს, ხელი თავისუფალი არ მაქვს სამოქმედოდ; გლ., თავი აიშვა, აფრა აუშვა).

ამოღსულო და წაღ – „ქალი ყავს, თურმე ღდეღს იმისთანა, ამოღსულო და წაღ“.

ამ ქვეყნიდან წასვლა – გარდაცვალება. „ბედნიერია–ისე წევდა ამ ქვეყნიდან, სიმწარე არ უნახავს“.

ამ ქვეყნის არაა– 1. შდრ. მაგი დედამიწაზე არაა. 2. სიკვდილის პირასაა (შდრ. გლ., სააქაოს პირი აღარ უჩანს).

აპოხტში ჩავარდნა – დამჭლევა, მჭლედ გახდომა: „ეს რა გამხდარა, რაფერ დამჭლობილია, აპოხტში ჩავარდნილა პირდაპირ“ (ნ. ნიჟ. აპოხტი–გამხმარი ქათამი).

არ ამოვა გულიდანა – არ დაგავიწყდება.

არასაქმე საქმედ გახდა – არაფრისაგან პრობლემა შექმნა: „მიზეზიანი ქალია, არასაქმეს საქმედ აქცევს“.

არ უჭამა კატამ ნიორი – არ გაუმართლა, ჩანაფიქრი ვერ შეისრულა. „რა ეგონა აბა, ყველთვინ ხომ არ გაუმართლებდა?! არ უჭამა კატამ ნიორი!“

არ შეგჭამოს ქირმა! – ცუდი არაფერი დაგემართოს, არ გაგიჭირდეს.

არც აქეთაა, არც იქით – მძიმე ავადმყოფზე იტყვიან. „ძალიან შეწუხებულია, არ აქეთაა, არც–იქით“.

აღამებს – 1. დროს ფლანგავს, უსაქმურადაა: „რა ტყვილადა მთელი დღე, მთელ დღეს აღამებს“.

2. არ თხოვდება. „ზის ტყვილაჲ გოგო და აღამებს“.

აღაფერ თავში აღარაა – აღარაფერი შეუძლია. „ისე ავათაა, აღაფერ თავში აღარაა“.

აღმართ–დაღმართის გამინდრება – სწრაფი სირბილი; ისეთი სირბილი, როცა ადამიანი ყურადღებას არ აქცევს არავითარ დაბრკოლებას, არც აღმართს, არც დაღმართს. „არავინ არ მიზღევდა, მარა ისე მირბოდა, რომ აღმართ–დაღმართი გამინდრებული ქონდა“ (ნ. ჯ. ნოღ.; შდრ. ონიანი, მთა და ბარის გასწორება).

აჩულზე დადგომა – გამოსაჩენ ადგილზე, ყველას დასანახად დადგომა. „ დადგებოდა დედოფალი აჩულზე“ (აჩული – აშკარა, სააშკარაო).

აცვირისწვერება – უკადრისობა, ამპარტავნობა: „ბევრი იშოვა და აცვირისწვერებულია? მახსოვს, დახეული შარვლით დადიოდა“ (შდრ. გლ., ცვირის აზზევა, ცვირის აწევა).

აწონილი ლაპარაკი – დაკვირვებული, მოზომილი საუბარი: „კაი ქალი იყო, აწონილი ლაპარაკი იცოდა“.

აჭარისწყალი ვერ გარეცხავს მაგას – შერცხვა, გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა. „მამისხელა კაცს ხალხში ხელი შეუბრუნა, თავი შეირცხვინა. აჭარისწყალიც ვეღარ გარეცხავს მაგას“.

ახალ-ახალ შვიდობაში – ასე იტყვიან ახალშემოსული ხილის ხილვისას – შეჭმისას ან ახალი ტანისამოსის ჩაცმისას: „ახალ-ახალ შვიდობაში, ეს ძველი და სხვა ახალი“ (შდრ. ქავთ. იმერ., ახალ-ახალ, სუქ-სუქ. ნ. ნიჟ.).

ახალპირა ძროხა – ძროხა, რომელმაც პირველად მოიგო ხბო. „ი ძროხა ჯერ ახალია, შარშან ახალპირა იყო“ (ნ. ჯ. ნოღ.).

აჯილის ამოყრა – ნ. გლ., ჯავრის ამოყრა.

ბ

ბაზ და მოგცემ ყურის ძირში – დაგარტყამ, სილას გაგაწნავ: „ბაზ და მოგცემ ყურის ძირში, გამეხედავ და ვეღარ მიცნობ“.

ბაიანზე გატანა – გამოაშკარავება, მხილება, გამომჟღავნება: „თუ დრო ან ადგილი გინახა, არ დიგინდობს, გამოგიტანს ბაიანზე“ (ნ. ნიჟ. შდრ. ონიანი, მზეზე გამოტანა).

ბაირამობს – უხარია: „მარტოკად დარჩა სახში, არვინ ყავს უმფროსი და ბაირამობს“.

ბაირამი აქ – გახარებულია: „დღეს მაგას მაგრათ გჷმართლა. ყველაფრის გაკეთება მუასწრო და ბაირამი აქ“ (შდრ. ბაირამოზს).

ბაირადის ამართვა – (ეთნ.) სახლის მშენებლობის დამთავრების დროს სახლის სახურავის შუა ბოძზე ბაირადის, დროშის, საზეიმოდ დაკიდება. ბაირადი, სახლის გადახურვის შემდეგ, ჩვეულებრივ, სახლის მშენებელ მთავარ ოსტატს რჩე-ბოდა. ბაირადი დიდი ზომის ქსოვილი იყო.

ბალზეა და ტყემალს ჭამს – ვერაფერს ხვდება, საქმეში ვერ ერკვევა; ჰგონია, ყველაფერი კარგადაა!“

ბარჯგების გადგმა – ნ. ბოკონების ჩაყრა.

ბაღნის დუნიაზე მოსვლა – ბავშვის დაბადება, ბავშვის შობა. „ბაღანაჲ რომ დუნიაზე მუა, ერთს მაგრათ შეიკივლებს“ (ნ. ჯ. ნოღ.).

ბაღნის მოყვანა – ნ. ბაღნის დუნიაზე მოსლა: „ბაღანაჲ რომ მეფე-ვანე, რამდენი დღეჲა მას მერე?“ (ნ. ჯ. ნოღ.)

ბაღნის ჩაგორება – (ეთნ.) დედოფლისთვის კალთაში პატარა ვაჟის ჩაგორება. ეს საქორწინო რიტუალია. როცა დედოფალი შემოდგამს ფეხს ქმრის სახლში და მისთვის განკუთვნილ სკამზე დასვავენ, მაშინვე პატარა ვაჟს ჩაუსვამენ კალთაში. ამას იმიტომ აკეთებდენ, რომ პატარძალს პირველი შვილი ვაჟი შესძენოდა და გამრავლებულიყო. „გელინ, დედოფალი რომ დაჟდება, ბაღნის ჩაგორება არ დაგავიწყდეს!“ (ნ. ჯ. ნოღ.).

ბაღნის ჩაჟდუმლება – (ეთნ.) ნ. ბაღნის ჩაგორება. „ბაღანას ჩჷჟ-დუმლებენ, რომ პირველათ ბიჭი ეყოლოსო“ (ნ. ნიჟ.).

ბდღვირის ადენა – მტვრის კორიანტელის დაყენება. ნ. ბუღის გადენა.

ბედაური ქალი – ყოჩაღი, საქმიანი, ენერგიული ქალი, ცოლი:
„ბედაური ქალი ყავს ხუსიკას, ყველა რძლებს ჯობია!“

ბედგერა – ბედის „გერი“, უნიათო, მოუხერხებელი. „იმფერი
ბედგერაჲ ხარ, გიცვი (გიცვივა) ხელიდან ყველაფერი“.

ბედის გამონაწილება – ბედით, თავისი ცხოვრებით დამსგავსება
(მაგ., ქალიშვილისა დედაზე). „საცოდავი აიშეჲ; ახალი
ქალია და რაფერი ქმარი დაკარგა! დედამისიც ასე არ იყო?
მისი ბედი გამჟნაწილდა“.

ბედის გაცინება – გამართლება: „ზოგს ბედი დუუყივლებს, ზო-
გი მწვალებაშია, ბედმანა გიგიცინოს“ (შდრ. ონიანი, ბე-
დის გაღიმება).

ბედის დანახშირება – გაუმართლებლობა, უბედობა: „ჯერ არა-
ფერში გამართლებია, მაგის ბედი დანახშირებულია“
(შდრ. გლ., ბედის კვერმა უთაფა).

ბედის დაყივლება – მიზოვნელის გამოჩენა. „მამიდა, ბედმა დი-
გიყივლა, წაყევო, – უთხრა მამიდაჲ“ (შდრ. ონიანი, ბე-
დის კარზე მოდგომა).

ბედის შეყვარება – გამართლება: „ზოგს ბედი დუუყივლებს,
ზოგი მწვალებაშია, ბედმანა შეგიყვაროს“.

ბედმა უსაქმა – ბედმა გაუღიმა. „რაღაცა ბედმა უსაქმა“.

ბედუჭავრაჲ, ბადუჭავრაჲ – უგერგილო, მოუხერხებელი (შდრ.
ბედგერა).

ბელაღი დღე – ხიფათიანი, უბედური დღე (შდრ. ბელა- ხიფა-
თი, ფეთერაკი) .

ბელაში გაბმა – ხიფათში, ფათერაკში ჩართვა, გახვევა: „მაგ შენი
ლაპარაკით გინდა მეც ბელაში გამაბა?“ (შდრ. გლ., ხიფათ-
ში ჩავარდნა).

ბელაში მეწიკები – ხიფათს მიმზადებ. „რას მერჩი, ბელაში რას
მეწიკები?!“

ბერეშმაკი – ძალიან მიუხვედრელი, მიამიტი. „ბერეშმაკას ტყულაჲ არ ეძახიან, იმფერი აბდალია“.

ბეწვათ გადარჩენილი – შემთხვევით გადარჩენილი. „ბაღანას ხეჲ დიეცა თავზე. კტარი მეგონა. რომ მივირბინე, ბოლებში ქი იყო გაჩუმებული. ბეწვათ გადარჩენილიყო“ (ნ. ჯ. ნოლ.).

ბეწვის ხიდზე სიარული – სიფრთხილით, დაფიქრებით ცხოვრება. „ცხოვრება ისეთია, რომ ბეწვის ხიდზენა იარო“.

ბეჰის წინდა – (ბეჰი-თანხმობა, პირობა) სასიძოსათვის განკუთვნილი ლამაზსახეებიანი წინდა. „თანხმობის მიღების შემდეგ ქალის ოჯახი სასიძოს გაუგზავნიდა ბეჰის წინდას“.

ბზიკი აქ ნაჭამი – ძალიან ბრაზიანია, ავი. „ჩვენში ლეკვს რომ მოიყვანენ სახლში, ბზიკს შეაჭმევენ, ბრაზიანი იქნებაო, და ეს ნათქვამიც აქიდან მოდის“... „ბზიკი აქ ნაჭამი მაგ ანტერს (ოხერი), ვეფერი რომ ვერ ვკითხე?“.

ბზიკმა უკბინა – გაავებუღია, გაბრაზებუღია. „რა ჭირს, რა ბზიკმა უკბინა?!“

ბზიკნაკბენი – ავად, მწარედ მოსაუბრე, ენაგესლიანი: „მაგი ბზიკნაკბენია, იგესლება მთელი დღეა“.

ბითევი დაკარგვა – ყველაფრის დავიწყება. „ბითევი ვიკარგვი. რომ ჩავვარდები ჭკვაში, მომაგონდება“.

ბინის გადგმა – ნ. ბინის გაწყობა (ბინა – არაბ. შენობა, მშენებლობა. ბინა საძირკველი ან საძირკველისათვის გამოყენებული დიდი ზომის ქვა). „ბინის გადგმამდე კარქათ შეარჩევნ ადგილს“ (შდრ. გლ., საძირკველის გადგმა).

ბინის გაწყობა – სახლის საძირკველის გამზადება. „სახლის აშენების დროს ბინის გაწყობაზე ვიცით ნადი“.

ბინის გველი – (ეთნ.) გველი, რომელიც, ხალხის რწმენით, ეზო-კარმიდამოში ან სახლის ფუძეში ბუდობს და „ოჯახს

იცავს“. მისი მოკვლა, ჩვეულებრივ, ცოდვად ითვლება, რადგანაც ის ხალხს უვნებლად მიაჩნია“ (შდრ. გლ., მენთ. ფუძის ანგელოზი; ნ. ნიჟ.).

ბინის დასკვნა – 1. (ქობ.) სახლის საძირკვლის კეთების დაწყება.

2. აბრეშუმის ზრდასრული ჭია, აბრეშუმის პარკი რომ დაახვიოს, ობობასავით ქსელს გააკეთებს, გაბანდავს, ბინას დასკვნის, რომელშიც თვითონვე მოთავსდება და თავის წრიული მოძრაობით იწყებს თავის გარშემო პარკის ხვევას – ბინის კეთებას. „ყაჭი დაბანდავს, ბინას დასკვნის და მერე დეიწყებს ბინის კეთებას“.

ბინის ჩაგდება – საძირკვლის ჩაყრა, ქვის ან კირის ჩაყრა საძირკველში (შდრ. მენთ. საძირკვლის ჩაგდება გლ., საძირკვლის ჩაყრა, საძირკვლის ჩადგმა).

ბლის წვერზე – ვერ ერკვევა, სხვაზე ფიქრობს. „შენ ხებერი არ გაქ, ბლის წვერზე ხარ“ (შდრ. -ბალზეა და ტყემალს ჭამს“ სახ., ტყემალზე ზის. ნ. ნიჟ.).

ბოზოლაჲ ქალი – მოუქნელი, ზანტი. „მერიკოჲ ცოტა ნელია, ბოზოლაჲ ქალია“ (შდრ. ბედგერაჲ).

ბოკონების ჩაყრა – ნ. ბინის გადგმა, „ქვემო აჭარაში მიწაში ქვის ბინების გადგმის ნაცვლად იცოდნენ მუხის, წაბლის ან აკაციის ბოკონების ჩაყრა – ბარჯგების გადგმა“ .

ბორდაში გამორება – ლამაზად მორთვა-მოკაზმვა. „დედოფლის ცხენი თეთრი უნდა ყოფილიყო, აკაკბული, ბორდაში გამორებული“ (ბორდა-ცხენზე გადასაფარებელი ლამაზი ქსოვილი).

ბოსტნის შემთვარვა – პირველი მოსავლის შერჩევით მოკრეფა „ივლისის დადგომამდე, ძველ თვარეზე, ქალი უნდა ჩავიდეს ბოსტანში და ბოსტანი უნდა შემთვაროს (ნ. ნიჟ. შემთვარვა).

ბოლოზის დაცლა – ერთმანეთში ჩასმული ფიცრების გახმობის შედეგად ფიცრებს შორის ბოლოზის – ყელის გასრულება და შიგ ჭუჭრუტანების გაჩენა.

ბოხრიკი გუფრინდება – არაფერი გამოვა, არ გაკეთდება. „მე რომ მაგას წავყვები, ბოხრიკი გუფრინდება“ (ბოხრიკი-საქონელი).

ბრალის გამოსყიდვა – (ეთნ.) დანაშაულის, ჩადენილი ცოდვის გამოსყიდვა; პატიება. თუ ოჯახს შვილები უკვდება, ფიქრობენ, რომ ოჯახის რომელიმე წევრს, შეიძლება, წარსულში, მძიმე ცოდვა აქვს ჩადენილი და ყველაფერი ამ დანაშაულის შედეგია. ეს ცოდვა რომ მოიცილოს ოჯახმა, ბრალი უნდა გამოისყიდოს: მსხვერპლი შესწიროს, საკლავი უნდა დაკლას. „როცას გვარს ბავშვები უკვდებოდა. შვილმა დაკლა ცხვარი. გაატყავეს, შეახვიეს თეთრ ქსოვილში, გაუკეთეს ჭურჭელი და დამარხეს. თუ წინაპრებს ჰქონდათ ბრალი, თუ ხატზე დაიფიცეს და სიმართლე არ თქვეს, საჭირო იყო ამ ბრალის გამოსყიდვა“ (ჯ. ნოღაიდელი, პირადი არქივი).

ბდღუნად არ ღირს – არ ღირს თავის შეწუხება; უსარგებლოა; შედეგი მცირე იქნება.

ბრეს გადაყრა – ჯობნება, უკეთესად გამოჩენა (ბრე-ბრელო, ფქვილის გამონაცარი). „მერიემი ქორწილში ისე ლამაზათ იყო, რომ ყველას ბრე გადააყრა“ (ნ.ჯ. ნოდ. შდრ. გლ., ბრეს გადაყრის).

ბრინჯს არ გამოვფენ თოვზე – არ გამოვამჟღავნებ, არ ვიტყვი. „თქვენ თუ არ იტყვით, ჩემგან ჩემი ოჯახის სიავეს ვერვინ გეიგებს – ბრინჯს არ გამოვფენ თოვზე“.

ბრინჯს ნაყავს – თვლემს, თავს აკანტურებს. „ნენეჲ ისე დეჲლა-
ლა, დაჟდა და უკვე ბრინჯს ნაყავს“ (შდრ. ძილი თვალს
მოსტაცებს).

ბრინჯს ცეხავს – ნ. ბრინჯს ნაყავს.

ბრძანება თქვენია! – (ფამ.) მოკითხვისას, შეკითხვაზე, როგორ
ბრძანდებით? პატივისცემის ნიშნად, პასუხობენ – ბრძა-
ნება თქვენია! და შემდეგ აგრძელებენ საუბარს.

ბ(რ)ძანება შენი (თქვენი) – თავაზიანობის გამომხატველი გა-
მოთქმა „ქორწილში მობ(რ)ძანდები? – ბრძანება თქვენი!
თუ დავახერხე, წამუალ!“ (ნ. ნიჟ.; შდრ. ბრძანება თქვენია).

ბუდის მორთვა – 1. მომყოლის დაბადება. „განსაკუთრებული
ყურადღება ექცეოდა მომყოლის მოცილებას ანუ ბუდის
მორთვას“ (ნ. შამ.). 2. ქათმისთვის კვერცხის დასადებად
ბუდის მოწყობა.

ბუდის მოყვანა – მშობიარობისას მომყოლის დაბადება (ნ.
ბუდის მორთვა).

ბუზანკალნაჰამი– მსუბუქი ყოფაქცევის ადამიანი: „შეიცვალენ,
აჩული გახდენ, ყველაფერი სააშკაროზე გამოაქვთ, ბუზან-
კალნაჰამი, აბუზანკლებული ინსნები გახდენ“ (ნ. აბუ-
ზანკლებული ინსანი).

ბუჟულებში ჩაცინება – სხვის შეუმჩნეველად გაღიმება. „მიხთა,
რომ მისი ნათქვამი კარქათ გევგე და ბუჟულებში ჩიეცინა“.

ბუდის გადენა – მტერის კორიანტელის დაყენება. „იმფრათ გაან-
თო ყურის ძირში, რომ ბული გაადინა“ . ნ. ბდღვირის ადე-
ნა

ბღეზი თორბაში გამოკოჭა – გაბრაზება, გულისწყრომა დამალა,
არ გამოამჟღავნა. „ახლა აფერს არ ვიტყვიო; ბღეზი თორბა-
ში გამოკოჭა და შევდა ოთახში“.

გააბზიკა ტაფიტარსავით კუდი – გაყოყოჩდა, გაამაყდა: „ფული ნახა და აღარ გვიკადრა, გააბზიკა ტაფიტარსავით კუდი“.

გააყაყაჩოვა თვალეზი – გაანათა, თვალეზი გაუცისკროვნდა. „გასინათლა, გააყაყაჩოვა თვალეზი“ (შდრ. გლ., თვალეზს გადაანათებს“).

გაბმულია გზა-შარაში – სულ გარე-გარე დადის. „ოჯახი მიტოვებული ყავს, გაბმულია გზა-შარაში“.

გაბნელებული ჰქონდა ეზო – ყველაფერი ბევრი ჰქონდა. „ეზოში რომ შეხვიდოდი, მიხთებოდი, რომ ამ ოჯახს ყველაფერი ქონდა, გაბნელებული ქონდა ეზო“.

გაბოროტებული ჭრილობა – დაინფიცირებული, ძნელად მოსარჩენი ჭრილობა. „თუ დროზე კარქათ არ მჟარეს, გაბოროტებული ჭრილობის მორჩენა ძნელია“.

გადაბმული სიმღერა – როცა ორი გუნდიდან ერთი მღერის, ხოლო მეორე იმავეს იმეორებს, მაშინ სიმღერა გადაბმულია. „რამე გადაბმული სიმღერა დეიწყეთ და ჩვენ ჩამოგართუმთ“ (ნ. ჯ. ნოდ.).

გადაბრუნდა ენიდან – მოიქცა სარწმუნოებიდან. „ამიტომ გადაბრუნდა შავშეთის ხალხი ენიდგან“ (ნ. ნიჟ.).

გადაბრუნდა სჯულიდან ნ. გადაბრუნდა ენიდან. „იგინი, ბატონო, გვიან გადაბრუნებულან რჯულიდან, მიტომ არ იტყვიან თათრულს“.

გადანადება – ვინმეს ნადი რომ ეყოლებოდა ყანაში, თუ ადრე მორჩებოდნენ, მაშინ მასპინძლის სურვილით, ხდებოდა ამ ყანის ახლომდებარე, მასპინძლის ახლობლის ყანაში გადანადება - მთელი ნადის გადასვლა და მიხმარება. „გუშინ ნადი მყავდა. ყანა ადრე გადავმარგლეთ და მემრე ქამილ ბუძიას გადავანადეთ“ (ნ. ჯ. ნოდ.).

გადაკფვა გულზე – გემრიელი საჭმლით სიამოვნების მიღება:
„ორი დღეა საჭმელი არ მიჭამია. დღეს ძმრიანი ლობიე
ვჭამე და გულზე გადამკაფა“ (ნ. ჯ. ნოღ.).

გადაფერხვა – (ეთნ.) ახალ წელს დილით, ვინც ოჯახში პირვე-
ლად ფეხს შემოდგამს, ის არის სახლის მფერხავი – მეკვ-
ლე. მას არა აქვს უფლება იმ დღეს სხვაგან წავიდეს. თუ
სხვა ოჯახში მივიდა, ეს სახლის გადაფერხვაა. ხალხის
რწმენით, მფერხავს სახლის მთელი წლის ბარაქა სხვაგან
გადააქვს, გადაფერხვავს (ნ. ჯ. ნოღ.).

გადაქართულება – დავიწყება. „ვიცი, მარა რაცხა ახლა გადამ-
ქართულდა“, ვერ ვიხსენებ“ (შდრ. ონიანი, გულზე გადაგ-
დება).

გადიჭრა იქით – გარდაიცვალა: „რავარც კი ბეჭედი გაუკეთა დე-
დაბერმა, გოგო გადიჭრა იქით“.

გაკიდებულათ თქმა – ნელა, გაჭიანურებულად საუბარი. „ჯემა-
ლამ გაკიდებულათ იცოდა თქმა. ისე ნელა ლაპარაკობდა,
მოსმენა შეგეზარებოდა“.

გაკნაჭულ ვირზე შეჯდომა – დაჟინება, ახირებულობა, გაჯიუ-
ტება: „თუ დეიჩემა რამე, ხომ ვეღარ გადაათქმიებ, შეჟდე-
ბა გაკნაჭულ ვირზე“ (შდრ. ბერ., ვირზე შეჯდომა, ფეხის
მისობა. ნ. ნიჟ.).

გალსტუხის მოგლეჯა – უარის თქმა; „ვთხოვე რაღაც და გალს-
ტუკი მეიგლიჯა“ (გალსტუხი-ჰალსტუკი, ყელსახვევი“).

გამეპარა ტვინი – დამავიწყდა (შდრ. გადაქართულება).

გამეპარა ჩემი დროი – ბევრი დრო დავკარგე: „მთა და ბარი გა-
დავჯეკნე, გამეპარა ჩემი დროი“.

გამოსათავი (არ) ჰქონდეს – (ქობ.) მოსასწრები, საშური, უკანასკ-
ნელად გასაკეთებელი (არ) ჰქონდეს, არ მოკვდეს... „გამო-
სათავი არ ჰქონდეს, ორი კვირაა ღვინო არ დაუღევია“. „გა-

მოსათავი ხონდა მამ საცოდავს, ისე რომ მიაკალიზა (მია-
ლაგა, მოაწესრიგა) ყოლიფერი?!“

გამოსარკვევა – დასუფთავება, დაწმენდა: „გამოაკრიალა ყვე-
ლაფერი, გამოსარკვეა“.

გამოღამება – დროის წვალეებით, ტანჯვით გავლა, გაღევა. „ხუ-
თი წელი ორი ბაღვის მარტო გაზდაში გამომიღამდა“.

გამოყო კატის ჭვანკები – თითქოს რაიმეს აკეთებს. „რაცხას
ებადუნება, გამოყო იმანაც კატის ჭვანკები“.

გამოცხოვრდა – ოჯახს გამოეყო, ცალკე ცხოვრება დაიწყო. „ეს
ობოლი ყოჩალი დარჩა, იშრომა, იბრძოლა და გამოცხოვრ-
და“.

გამტვერება – (გად) 1. პაპიროსის გაბოღება. 2. მაგრად თოვა,
თოვლის მტვრის დაყენება, ქარბუქი: „გახსოვს, მამუდავ,
შარშან ამ დროს რაფერ გჷმტვერა, რამხელა თოვლი მოვ-
და?!“

განიავდა იქიდან – სწრაფად წავიდა, გაქრა. „რომ მიხთა, გლახა-
თაა საქმეო, ვერც დევნახეთ, ისე განიავდა იქიდან“.

გაპტყელებული ლაპარაკი – გატყლარწული, მეტისმეტად გაპ-
რანჭული ლაპარაკი. „სიქიბრისაგან ცოტა გაპტყელებული
ლაპარიკი რომ არ იცოდეს, კაცი ვერ აჯობებდა მაგას!“ (ნ.
ნიჟ. შდრ. გაციდებულათ თქმა).

გარეთ ცხვირი არ გეიყოფა – გარეთ არ გაისვლება. „ისეთი ამინ-
დია, გარეთ ცხვირი არ გეიყოფა“ (შდრ. გლ., ძალლი არ
გაიგდება გარეთ).

გასასტიკება – ნ. გამოსარკვევა.

გაყაყჩებული ღამე – მთვარის შუქით კარგად განათებული ღა-
მე: „იმფერი გაყაყჩებული ღამეა, დღეა გეგონება“ (ნ. ჯ.
ნოლ.).

გაყინული ურუბა – მდიდრული, ოქრო-ვერცხლით მორთული და მოოქროვილი ტანსაცმელი: „კაჲ დოდოფალი ვიყავ, კაჲ გაყინული ურუბა მქონდა, საყბავრი-ყიაში“.

გაშპა ქეიფში – გაიხარა: „ჩიეფლო ალთუნში, გაშპა ქეიფში და იმცხოვრა და იმცხოვრა“.

გაჩვენებ მაგის სეირს – დავსჯი, სამაგიეროს მივუზღავ. „აჲ გამორებული აღარ დევნახო, თჳარა გაჩვენებ მაგის სეირს“ (შდრ. გლ., სეირს აყურებინებს).

გაძვერიაჲ კაცი – გაიძვერა, უნდო ადამიანი. „ოსმანას ყველაჲ ერიდებოდა. იცოდენ, რა გაძვერიაჲ კაციც იყო“.

გადირული ყანა – სარეველამორეული ყანა: „ბალახი რო ძალიან მიერევა ყანას, იტყვიან, – გადირული ყანა მაქო“.

გაწბილებული ყანა – ნათესი თუ არ ამოვიდოდა, ყანას გაწბილებულს ეძახდნენ. „ხან გაწბილებოდა ყანა, არ ამოვდოდა. გაწბილებულ ყანას ხამათ (ისევ) დათესავდენ“.

გაწოლილია ბეგის ბაჯანალივით – ისვენებს. „ცოლი საცოდავათ წვალობს. მაჲ, ვითომ აფერიაო, გაწოლილია ბეგის ბაჯანალივით“ (ბაჯანალი-ქვისლი).

გაჯალღული ყანა – სარეველამორეული ყანა. „ყანა დროზე თუ არ გამარგლე, ბალახი დიდზე გეიზდება და გაჯალღული ყანის გათოხნა ძნელია“ (შდრ. გადირული ყანა).

გეიჭიტინა ფეხის თითებში – გაიხედა, გაიჭვრიტა ფეხის თითებში, მოკვდა. „მუშაობ, მუშაობ და, აფერი! ბოლოს გეიჭიტინებ ფეხის თითებში“ (შდრ. გადიჭრა იქით).

გელქარის ჩავარდნა – დაფრთხობა, შეშინება. „ალბათ, რაცხა დეჲნახეს და თრიხინ-თრიხინით გეჲრბინეს პროხებმა. გეგონებოდა, გელქარი ჩავარდა“.

გელის გაფუშვილი – (ვულგ.) სამგლე, მგლის კერძი. „ხედავ შენ, კიდევნ შემოსულან ბაღაში მაჲ გელის გაფუშვილი ბოხ-რიკები“ (ბოხრიკი–საქონელი) (ნ.ნიჟ.).

გემოს გაღება – გამორჩენის, სარფიანობის, ანგარების გრძნობის გაჩენა, რისამე დაუფლება-შენარჩუნების სურვილის აღძვრა (ნ. ნიჟ.).

გენიის ნიჩაბი – (ძვ. ეთნ.) გენას ნიჩაბი – ჯოჯოხეთის ნიჩაბი, ჯოჯოხეთის ცეცხლი: „შავი (რწყილი) შინაა? – არც შინ არი, არც გარ არის, გენის ნიჩბით სახვეტი (ნ. რწყილის დაყვერვა. ჩუბ., გლ., გენია, გენა (ნიჟ.).

გვარიმაძაგი – გვარის მაძაგი – გვარის შემარცხვენელი, უჯიშო, უზრდელი. „თითო გვარიმაძაგი ყველა გვარში იქნება“ (ნ.ჯ. ნოდ., ნიჟ.).

გველს მიწაში დაწამლავს – ენამწარე, ენაგესლიანი: „იმფერი ენა აჲ, გველს მიწაში დაწამლავს“.

გვერდებიდან მისტრის – ვერაფერს ფარავს, გულდიაა. „ეთერად გრუბია. აბა კაკანას გვერდებიდან მისტრის“.

გვერდებს იბდღენის–||გვერდებს იგლეჯს– ჯიუტობს.

გველის ნაკბენივით მახსოვს – მწარედ მახსოვს. „მაგის სიტყვები გველის ნაკბენივით მახსოვს, „გესლიანი, ენამწარე“.

გვერდშეცეულად (||გვერდაქცეულად) კეთება – გულაგდებით, მოუნდომებლად კეთება. „ჯემალას ვერ ვენდობი, ჯო, ვერ წევყვან... ყველაფერს გვერდშეცეულად აკეთებს“.

გვეხა გააყრევია – ძირს დასცა, ბრაგვანი გაადენინა, „გამოკრა უცფათ კვანტი და ამხელა კაც გვეხა გააყრევია“ (ნ. ნიჟ. შდრ. გლ., ბრაგვანს გაადენს).

გვეხა გააყრია – მოწყვეტით მაგრად დაეცა. „წამოვდა, წამოვდა და გვეხა გააყრია მიწაზე“ (ნ. ჯ. ნოდ. შდრ. გლ., ბრაგვანს გაადენს).

გვირაბში ცხვირის გაყოფა – უცაბედად დასრულება. „უცბათ გევიარე, გვირაბში ცხვირი გავეყავ“.

გზაზე გაკიდება – გზაზე გაყოლა: „ამ გზას გვეკიდე და ხამან სკოლასთან მიხვალ“.

გზას სიმღერა ვუთხრათ – „მგზავრული“ ვიმღეროთ, რომ გზა მხიარულად და მშვიდობიანად, სიმღერით გავლიოთ. „წევდოდით, წევყვანდით დედოფალს. გზაში იტყოდენ, – გზას სიმღერა ვუთხრათო, – და ვიმღერებდით „მგზავრულს“.

გზაშარაში გაგონილი – ყურმოკრული ამბავი, აქეთ-იქეთური, ზოგი ტყუილი, ზოგი მართალი. „გზაშარაში გაგონილზე კაცმა ხოხოლაჲ არ უნდა ააშენო“ (ნ. ნიჟ.).

გზის გაბზარვა – გზის გაკვალვა: „თვე და ხუთი დღე შუახევდან გზა არ გაბზარულა“.

გზის გადაღობვა – (ეთნ.) სასიძოსთან მიმავალი მაყრიონისთვის გზის გადაკეტვა გარკვეული ფულადი საჩუქრის მიღების მიზნით. საჩუქრის გაღებას, ჩვეულებრივ, სიძის მაყარი კისრულობს (ნ. მაკალ. ნიჟ. შდრ. გლ., გზას უკრავს).

გზის გაწარბვა – გზის გაკვალვა (შდრ. გზის გაბზარვა).

გზის მიცემა – გატარება; გზის დათმობა.

გზის მოჭრა – ნ. გზის გადაღობვა, გლ., გზის ჩაკეტვა.

გიერჩია ტირილში – ტირილისაგან დაოსდა, ძალა გამოეცალა. „მიეცი, ცავ, ბაღანას ემზუქი (საწოვარა) ხომ ხედავ, გიერჩია ტირილში“.

გიკითხოს ღმერთმა – ღმერთმა დაგლოცოს. „რაფერ ხარ, ბი-ბილაჲ? (მამიდა) – ეჰ, გიკითხოს ღმერთმა, რა მიშავს!“

გიწყოს ხელი წყალობამ – ღმერთმა დაგლოცოს. „გიწყოს ხელი წყალობამო, – დალოცა და ისე გუუშვა“.

გოგზე შედგომა – მუხლზე შედგომა, დამუხლიანება: „სიმიინდის მცენარე მუხლებით იზრდება. თითო მუხლი გოგია. პირ-

ველ მუხლზე რომ გაიზრდება, იტყვიან, – „სიმინდი გოგ-ზე შედგაო“.

გოგო გავხდები – თავდაპირველ სახეს დავიბრუნებ: „ეს ქვაბი ისე დამწვარია არ გეიხეხება, მაგ რომ გეიხეხება, მე გოგო გავხდები“.

გომბიაჲ მიწაში იმალება – დიდი გასაჭირია, ცუდი დროა, უსახსრობა, ნაკლებობაა საკვებზე. „ახლა რა დროჲს ქორ-წილის გადახდაა, გომბიაჲ (ბაყაყი, გომბეშო) მიწაში იმა-ლება“.

გომფაკი (გომბაქი) ყავს მუცელში – გაუმადლარია, შდრ. ლორ-თელი ყავს მუცელში“ (გომფაქი–ქოფაკი).

გუგუმივით წვიმს – ძლიერ წვიმაზე იტყვიან: „საშინელი წვიმაა, გეგონება, გუგუმით ასხამენ ზეიდან, გუგუმივით წვიმს“.

გუდაში ფქვილი მიხვდება – ეშმაკობს, მაგრამ გასაგებია: „მატყ-ვილებ? შენ რანდა მომატყვილო. მაგას გუდაში ფქვილიც მიხთება“.

გუდის წახსნა – წამოროშვა, წამოყრანტალება, „დაფქვა“ (ნ. ნიჟ.). „ველარ მეითმინა, წახსნა გუდას თავი და ყველაფერი ჩა-მოთქა“ (შდრ. გლ., ხმას გააგდებს).

გულზე აპენტვა – ცუდად გახდომა, გულის დასუსტება: „რაცხა გულზე ამპენტა, კაპლი დამალევიე, გო!“

გულზე აყოლა – გაბრაზება. „ნუ ჩამდგომიხარ ფეშინში, ნუ აკ-ყოლიხარ გულსაო“ (ფეშინი-ჯიბრი).

გულზე გადაკაფვა – ყელის ჩაწმენდა, ცხიმოვანი საკვების ან ბევ-რი ჭამის შემდეგ საამო საჭმლის დაყოლება: „მჟავე კაპუს-ტო ვჭამე და გულზე გადამკაფა“ (ნ. ნიჟ. ჯ. ნოდ.).

გულზე გახეთქვა – ძალიან გაბრაზება: „გუშინ რომ საქმე ვერ მუათავე, გულზე ვსკტები“ (ნ. ჯ. ნოდ.).

გულზე დადგომა – ყელში ლუკმის გაჩერება (ნ. ნიჟ.).

გულზე დაღამება – შიმშილისაგან გულზე წასვლა, ილაჯის გაწყვეტა: „კურდღლის კვალმა ისე შორს გაგვიტყუა, გულზე დამაღამდა. ხვიტები რომ არ გვენახა და არ გვეჭამა, სახში ვერ მუაწევდით“ (ნ. ჯ. ნოდ.).

გულზე ეკლის მოხვევა – გამწარება: „ისე ვარ, რამნა გამახაროს, გულზე ეკალია მოხვეული“ (შდრ. ონიანი, გულზე გველმა უკბინა).

გულზე მეტოშა – მეუცხოვა, მეუცნაურა, გულმა არ მიიღო: „ყური მოვჰკარი, რომ ლაპარაკობდა და მაგის სიტყვა გულზე მეტოშა“ (ნ. ჯ. ნოდ.).

გულზე მიცინცილებს – ძალიან მშია, შიმშილით გულზე მიმდის: „წუხელს აქეთ აფერი არ მიჭამია და გულზე მიცინცილებს“ (ნ. ჯ. ნოდ. შდრ. გულზე დაღამება).

გულზე მრენჩხა – გულმა მიგრძნო: „წუხელის რომ ძაღლმა ყმუილი დეიწყო, ხელათ გულზე მრენჩხა... რა ვიცოდი, აჲ უბედურება მოხტებოდა (შდრ. შარაშ. ნ. ჯ. ნოდ.).

გულზე ნემსის წასობა – წყენინება, გულის დაწყვეტა: „მობძანდით, ნევ, მიირთვით. ნუ დიმიწუნებთ სიღარიბეს, გულზე ნემსი არ წამასოთ“.

გულზე ქვის დაკიდება – გასაჭირის გადატანა, მოთმენა: „ვთქვი, გულზე ქვას დევკიდებ, მარა ბაღანას უმაღლესს მაინც დავამთავრებიეზ–მეთქი“ (შდრ. გლ., პირზე ტყავს აიხდის).

გული მეთანადრება – გული არ მიმიწევს, ვორჭოფობ: „თავრობაში მოდიო, მირჩევდენ, მარა რაცხა გული მეთანადრებოდა“ (ნ. ჯ. ნოდ. ონიანი).

გულის აგორება – მონატრება. „ხანდახან, რომ მომენატრებიან, გული ამიგორდება და დევწყებ ტირილს (შდრ. ონიანი, გულის აგორება–შეძულება).

გულის ათითიზება – გულის არევა, შეზიზღება. „ისე მაქ გული ათითიზებული, მგონი, ყოლიფერი ამევლო უკან“ (ნ. ჯ. ნოდ.).

გულის ამორეცხვა – მწუხარების, საიდუმლოს ან სამდურავის გამჟღავნება, თქმა: „იმდენი იტირა, რა არ მოყვა, ამეირეცხა გული“.

გულის ამოქნა ნალიასთვის – ნალიაში, შეყრილი სიმინდის ტაროების კარგად გახმობის მიზნით, ტაროების სასიმინდის კედლებზე მიყრა და იატაკის შუა ადგილის გათავისუფლება: „ნალიას გულს ამუქნიდენ – კოტებს კედელზე მიაყრიდენ“ (კოტა-ტარო).

გულის ამოღება – 1. ტანსაცმელზე საგულის ამოჭრა. „გული დიდზე არ ამეღო, სირცხვილია“. 2. ტირილით დაოსება. „იმდენი იტირა, კინალამ გული ამეღო“ (შდრ. გულის ამოსკვნა).

გული სამსე აქ მერაყით – დადარდიანებულია. „რომ ვერ გხედავ, საყვარელო, გული სამსე მაქ მერაყით“.

გულის ასუყება – ცხიმის მიღების შემდეგ ჭამა რომ აღარ გინდა „ქონიანი ხორცი ვჭამე ბევრი და გული ამისუყდა“ (ნ.ჯ. ნოდ. გლ.).

გულის აფართოება – განცდით გულის აჩქარება: „რომ არ მიელოდი, ისე უცვათ გევგე ძმის დაბრუნება და სიხარულით გული ისე ამიფართოებდა, კადამ წევეცი“ (ნ. ჯ. ნოდ.).

გულის გადანარვა – სიამოვნება, გულის დაწყნარება. „ძალიან მეცოდებოდა... რძალმა რომ მითხრა, ახლა პაწაჲ კარგათააო, გულზე გადამნარა“.

გულის გადაფორჩხვა – ცხიმოვანი საჭმლის მიღების შემდეგ სიმსუყის გრძნობის, შეგრძნების გადალახვა, ყელის ჩაწმენ-

და. „მაიხოში საჭმელია მაწონი, გულს გადაფორჩხავს“ (ნ. გულზე გადაკაფვა).

გულის გადაშლა – საიდუმლოს განდობა: „ბოლოს და ბოლოს, ამერიეცხა გული, გული გუდუშულა ვინცხას“.

გულის გამოკოჭვა – დამწუხრება: „გული გამოკოჭვილი მაქ, გულში ლეშტერი წვიმს“.

გულის გაქარვება – ჯავრის გადაყრა, მწუხარების განღება. „გულის გაქარვება თუ გინდა, ხალხში გეერიე, საქმე აკეთე“ (ნ. ჯ. ნოდ.).

გულის დაცხავენა – დადარდიანება: „ამდენი ფიქრით, ამდენი დერდით დეიჭვირთა, დაცხავდა გული“ (ცხავი-ცხრილი, საცერი).

გულის დაწვა – შებრალება. „ისე წვალობს, გული დემეწვა“ (შდრ. გლ. გული დაეწვება).

გულის დაჭვირთვა–დამწუხრება, დადარდიანება: „ახლა ისე ვარ, მეტირება, გული დაჭვირთული მაქ, ჰაცხაა გასკდება“.

გულის კაკლის მოკვდენა – შეწუხება, დამწუხრება, ტკივილი: „მოკდა ახალგაზდა და მაგის სიკდილმა თლათ გამტეხა, გულის კაკალი მომიკლა“.

გულის მოწურვა – გულის ტკენა, წუხილი, ტანჯვა: „ისე საცოდავით მიყურებდა, გული მომეწურა, კინაღამ ავტირდი“.

გულის ტირილი – მისწრაფება, ლტოლვა, ნდომა. „ამ მთაში რა მინდა... ბარში მიმიგორავს, მიმიტირის გული!“ (შდრ. გლ., ონიანი, გული უტირის).

გულის ფანცქალი – გულის აჩქარებული ტოკვა: „ამ ბოლო ხანებში გულის ფანცქალი დამჩემდა“ (ნ. ჯ. ნოდ.).

გულის შეგორება – მოწონება, შეყვარება: „ვინმეზე თუ გული შეუგორდა, არ იფიქრო, მემრე იმას მოაშორო!“ (ნ. ონიანი).

გულის შექანება – გულის შეტოკება: „იმხელა შიში ვჭამე, იმხელა, რომ ახლაც რომ გამახსენდება, გული შემიქანდება“ (ნ. ჯ. ნოდ.).

გულის შევარდნა – მოწონება, შეყვარება. „ნადირობაზე ისე შემივარდა გული, დღე-ღამე ვინადირო, მინდა“ (ნ. ჯ. ნოდ. შდრ. გულის შეგორება).

გულის ჯიგარის ამოგლეჯა – დამწუხრება (შდრ. გულის დაჭვირთვა).

გულის ფეხებში ჩავარდნა – შეშინება. „ისე დიეცა, ვიფიქრე, ველარ ადგებო, გული ფეხებში ჩამივარდა“.

გულს მიეყრება – ეწყინება, დაღონდება (ნ. ნიჟ.).

გულში ბაყბაყდევი უზის – ბოროტია, ავია: „მაგი არ იცი, რა ცუდი ვინმეა, გულში ბაყბაყდევი უზის“.

გულში დაჭრა – გაფიქრება. „ბეჭედს ალოკა და გულში დეიჭირა, მშიაო, საჭმელი მინდაო“.

გულში ეკლებია ჩარჭობილი – ნაწყენია, გული აქვს დაწყვეტილი (შდრ. გულზე ეკლის მოხვევა. გულზე ნემსის წასობა).

გულში ლემტერი წვიმს – შეწუხებულია: „გული გამოკოჭვილი მაქ, გულში ლემტერი წვიმს“.

გულში მდუღარე ჩასდის – ძალიანაა შეწუხებული; დადარდია-ნებულია (შდრ. გლ., გულში საკირე ანთია).

გულში მორევი დუღუღუბია – ცუდი, შავი, ავი საქმის მზრახველია: „მაგაზე არ ინდობა, გულში მორევი აქ დაგუბებული“.

გულში ტყვიები ცვივა – ნ. გულში მდუღარე ჩასდის. „დერდებმა შემეჩვია, გულში ტყვიები ლაწალუწით ცვივა“.

გულში ჩამეიდვა სევდა – დადარდიანდა; ჯავრს, მწუხარებას არ ამჟღავნებს. „არ ამჟღავნებს, გულში ჩამეიდვა სევდა და

დადის ასე გუხარებელი“ (შდრ. გლ., გულში დარდს ჩაიდებს).

დ

დაბადებული კაცი – არავინ, არც ერთი ადამიანი (გვხვდება უარყოფითი ნაცვალსახელის შინაარსით უარყოფით წინადადებაში): „ხემწიფემ გასცა გამკარგულობა, რომ ორმოც დღეს დაბადებულმა კაცმა ახლოს არ უნდა გიეკაროსო“ (ნ. ნიჟ.).

დაგამდერებს ყველგან – შენზე ყველაფერს იტყვის, გაგცემს, გამოგააშკარავებს: „შენი ნალაპარაკები ყველაფერი მაგან ლეჩაქის ყურში გამოკრა და დაგამდერებს ყველგან“.

დავალი ქალი – (ქობ.) სადაო ქალი: „თუ ქალს ბევრი მთხოვნელი ყავდა, ასეთი ქალი დავალი ქალი იყო“.

დაგნებული ლაპარაკი – ნ. აწონილი ლაპარაკი.

დავალამებიებთ მიწას – მოვაცდენთ მიწას: „იმ ცუდი კარტოფილისთვის როგორ დავალამებიებთ მიწას!“

დავლზე ქამარი გამიწყდა – (ეთნ.) დავლი-დაფი, დასაკრავი, დასარტყმელი ინსტრუმენტი. ქორწილში ძველად აუცილებლად მიჰყავდათ დავლსა და ზურნაზე დამკვრელები. ქორწილის დასრულებისას დავლზე დამკვრელი მოიხსნიდა მხარზე გადაკიდებულ დავლს, დადებდა და განაცხადებდა, – „დავლაზე ქამარი გამიწყდაო“. ეს ნიშნავდა, რომ ქორწილი დასასრულს უახლოვდებოდა და მექორწილეებს დამკვრელებისათვის ფული უნდა მიეცათ, გადაეხადათ.

დავჯაგში ამოსხმული – საუცხოოდ ჩაცმული, ნატიფი გარეგნობის თუ მიხვრა-მოხრის, კობტა – შნოიანი, მოხდენილი (ადამიანი) „მაგ შეხედულების დელიყანლი (ახალგაზრ-

და) მეორე არ მეგულება, პირდაპირ დავჯაგშია ამოსხმული (ნ. ნიჟ.).

დათვი ჭლე და შენ სუქანი – (ძვ.) ბავშვს რომ აბანავებდნენ, ბოლოს თავის ნაბან წყალში ფეხს ჩააყოფინებდნენ და ეტყოდნენ: „დათვი – ჭლე და შენ – სუქანი“ (ნ. ნიჟ.).

დამდგარი წყალი – მოჩვენებითი წყნარი, უწყინარი, თან მოხერხებული: „იმფერი წაყურიადა, გგონია დამდგარი წყალი, ჰამა ბიჭის შეყვარება მოახერხა“.

დამკაში გასვლა – ბოლომდე მისვლა, მიღწევა. „ეგონენ, ვერ მოახერხებსო, მარა, იმდენი იბრძოლა, მისი გეიტანა – დამკაში გევდა“.

დამშაშვებული – წამოზრდილი, წამოჩიტული, შაშვის ოდენა ვარია ან ზრდადაუსრულებელი წიწილი: „ორი იმფერი დამშაშვებული ჭუჭული მომტაცა გუშინ ქორმა, რომ თვალი ზეთ დაქებოდა“ (შდრ. გლ., დარჩიხული).

დამშიერება – (სამშენებლო ტერმინი) მშენებლობის დროს ნედლი ფიცრის გამოყენება არ შეიძლება. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ფიცარი ხმება, სიგრძე-სიგანეში მოკლდება. ეს კედელსა თუ იატაკში იწვევს ღრიჭოების გაჩენას, კარ-ფანჯრების ჩარჩოების დეფორმირებას (შდრ. კბილების დაკრეჭა).

დამხვირული (დედაბერი ...) – ღრმად მოხუცებული (დედაბერი...) „სახლის წინ ერთი დამხვირული დედაბერი იჯდა“ (ხვირი, მხვირი-მტვერი).

დანა პირს არ უღებდა, დანა პირს არ უხსნიდა–ღუმდა, დადარდიანებული, კრიჭაშეკრული იყო: „მიდიოდა გზაზე და ბენტერებული. ისეთ ხასიათზე იყო, რომ დანა პირს არ უღებდა“ (ნ. ჯ. ნოდ.).

დარდის დაბერება – ჯავრის, დარდის განელება: „მერიემს გული სულ ტკივა, მარა ამდენი წელი გევდა, დარდიც დაბერდა და ახლა იმდენს აღარ ტირის“.

დარიგებაში დოსტოვა – შერიგების მიზნით დამოყვრება: „შუაში თუ მტრობა იყო, მაშინ შეიძლებოდა მომხთარიყო შვილების დაქორწილება-დარიგებაში დოსტოვა“.

დარმადაღინად გახტომა – მილეწ-მოლეწვა, მინგრევ-მონგრევა... „რამიზას უთხარი, ღობეზე ალაგე გააკეთოს, თჳარა, წავალ და იქავრობას დარმადაღინათ გაეხთი“ (ნ. ჯ. ნოდ.).

დასაყურებლათ ღირს – კარგი მოსასმენია. „თელი ოჯახი ისე კარგათ მღერის, დასაყურებლათ ღირს“.

დაშხამფალება – (ქობ.) განადგურება, ერთბაშად ბევრის დახოცვა „ციაშპლავამ დააშხამფალა თებზი“.

დახურდავებული ვარ – ფული გამომელია: „ისე დავჩი, არ დიმიჯერებ, დახურდავებული ვარ“.

დგიმში მოსვლა – ჰორიზონტალურ საქსოვ დაზგაზე ქსოვის დამთავრება: „მაფი დგიმში მევიდოდა, პირ აღარ გააღებდა, დამთავრდებოდა ქსოვა“.

დედაბრიქორწილაჲ – (გად.) წიწვებით, ბურბუშელათი და მისთ. აგიზგიზებული ცეცხლი. ასეთ ცეცხლს ნაკლები ძალა აქვს და სიმხურვალე აკლია. „შჳნთე ცოტა წიფლი შიშა. ამ დედაბრიქორწილაზე რა გამათფოფს?! (ნ. ნიჟ.).

დედამიწა გამეთხარა– შევრცხვი. რაღა ბევრი გავაგრძელო, დედამიწა გამეთხარა (შედ. გლ. ცოცხლად დამარხვა, ონიანი, თავის მოჭრა).

დედომიწას ემძიმება – ამპარტავანი, უკადრისი, თავისთავზე გადაჭარბებული წარმოდგენის მქონე (ნ. ნიჟ.).

დედომიწის სამძიმარი – უცნაური, განსაკუთრებული: „აჲ პაწაჲ ბაღანაჲ იმფერს გეტყვის და გააკეთებს, გაგაკვირვებს,

მართლა დედომიწის სამძიმარია (ნ. ნოდ. შდრ. შარაშ. მიწის სამძიმარი).

დედოფლის ნახვა – (ეთნ.) პირის ახდის შემდეგ, დედოფალი ფეხზე დგას, მანდილიანი ხელი პირზე აქვს აფარებული. მნახველები რომ მომრავლდებიან, დადე დედოფალს ხელს ჩამოაწევენ პირიდან. ამ მომენტში დედოფალს თვალები დახუჭული აქვს და გაუნძრევლად დგას (ნ. ჯ. ნოდ.).

დეიკავე მჭადი ხელში – სიმართლე თქვი. მჭადი, ისე, როგორც პური, ადამიანის აუცილებელი საზრდოა. ისინი სათაყვანო, კულტის საგნად იქცნენ ადრიდანვე. ახლაც, პურის ან მჭადის ნატეხი თუ ძირს დავარდა, მშრომელი კაცი მას აიღებს, მტვერს გააცლის, ეამბორება და მაღალ ადგილზე შემოდებს... იმდენად ძლიერია მშრომელ ადამიანში პურისა და მჭადისადმი პატივისცემის გრძნობა, რომ ადამიანი, რომელიც საუბრისას ამ გამოთქმას გამოიყენებს, უტყუარ სიმართლესაც იტყვის. ეს ფრაზა ყველა ფიცზე უფრო მტკიცე და წმინდაა სიმართლის გამოსახატად. „იგი მეტყოდა... მეც ცუდს ვკადრებდი რაცხას. დეიფიცე მერე, რომ მართალი ხარ, დეიკავე მჭადი ხელში!“

დიდი დღე არა აქვს – დიდხანს ვერ იცოცხლებს. „ნურიკოჲ გამოსულიყო და სახლის წინ იჟდა, მარა იმვერი ფერი ხონდა, მგონი, დიდი დღეჲ არ აქ“ (ნ. ონიანი).

დო თბილინა გააყურუთო! – დროზე, თავიდანვე უნდა მიხედო. „მაგას ახლა შენს გემოზე ვეღარ გაზდი. დაგავციანდა. დო თბილინა გააყურუთო!“ (ყურუთი – ხაჭოს გამხმარი კვერი).

დოხონდორიკე ქალი – ძალიან მაღალი და ძვალმსხვილი ქალი.

„კაი ქალი ყავს შუქრის, საქმიანი, კად მიღება იცის, მარა რაცხა დოხონდორიკე ქალია“ (ქალი – ცოლი).

დროს კარებს ვერ მუუხურავ – დროს ვერ შეაჩერებ. „რაფერ ცისარტყელას ვერ გადაახტები, ისე დროს კარებს ვერ მუუხურავ!“.

დუბარას მოწყობა – ოინბაზობა, ხრიკის მოწყობა: „მელამ ამ-დონი დუბარა მოუწყო მაგათ“.

დუნიაზე მოს(ვ)ლა→(თ. Dünyaya gelmek) დაბადება. „მე რომ დუნიაზე მოვსულვარ, შვიდჯერ დუუცლია ყაფაღლი თო-ფი ბაბუაჩემს“ (შეად. ბაღნის მოყვანა).

დუუჟდა დუშაში – გაუმართლა (შდრ. ონიანი, დუშაშის მოსვ-ლა) „დროზე მუსტრა მაამისმა, თჳარა მოკლავდენ, დუჟდა დუშაში“.

დღე ერთია და... – ყოველდღე, დღენიადაგ, ყოველთვის. „დღე ერთია და... სამჯერ შამეიარს სოფელს“ (ნ. ნიჟ.).

დღეში ჩამდგარი – მშობიარობამოახლოებული. „მაკე ძროხა, მოგებამდე ათი დღით ადრე, უკვე დღეში ჩამდგარია“.

დღის მიწაში წაღება – უდროოდ, უხანოდ სიკვდილი, ახალ-გაზრდის გარდაცვალება. „მართალი ყოფილა, დღეს ინსა-ნი მიწაში არ წეღლებსო, რამდენი იავანტყოფა და მაინც მოკტა“.

მ

ეზიეთის მიცემა – (კალკი თურქ. არაბ.) საფიქრელის გაჩენა.

„უკაცრაულათ ვართ, ცოტა ეზიეთი (საწუხარი, საფიქრა-ლი) მოგეცით, მარა, რა ვქნა, გაჭირვებამ ყველაფერი დამა-ბიწყა“ (ნ. ნიჟ.).

ეზიეთის წევა – ტანჯვა-წამების გამოვლა.

ილუდის (თურქ. – ამაგი, პატივისცემა, სიკეთე,) **გაწევა** – პატივისცემა.

ილუღი ქოთლუგია – „პატივისცემა, სიკეთის კეთება ზრმა“.

ილუღს კარს უკან უტორია – სიკეთე არ დაფასებულა.

ეკლის დედოფლობა – ეკალი რომ შეესობათ, თუ ვერ გამოიღეს, დატოვებენ, ეკალს „ადედოფლობენ“. ღამე რომ გაივლის, მეორე დღეს ადვილად გამოიღებენ (შდრ. მენთ. დაქორწილება ეკლისა. ნ. ნიჟ.).

ენაჩაქნეტილი – გაჩუმებული, გაყურებული: „ტყვილაი გგონია, რომ ენა აქ ჩაკნეტილი, ენას ილესავს, ნახე შენ!“

ენა გატეხე – დაილაპარაკე (შდრ. ონიანი, ენის გატეხვა; ნ. ენის ამოღება, ენის გაჭრა გლ., ენას აიდგამს).

ენაზე კლიტეს დადება – გაჩუმება: „ისე ჯობია, ენაზე კლიტე დეიბა, რამე არ თქვა“.

ენაზე მოსვლა – ალაპარაკება, ამეტყველება. „გველმა მოვდა ენაზე და უთხრა“ (ნ.ჯ. ნოდ.) „იმ ლაგამს რომ ამოდევ პირში, ცხენი ენაზე მუა“ (ნ. ნიჟ.).

ენაზე მოყვანა – ენის ამოდგმევინება, ალაპარაკება: „იმფერი მოსაყვარლება იცის, საქონელს ენაზე მოიყვანს“.

ენაზე საბელინა მოხვიო – გააჩუმო. „მაგას ენაზე საბელინა მოხვიო და ხანდახან მოქაჩო; იქნება გააჩუმო“.

ენაზე შაქარი დაიყარე – ტკბილად ისაუბრე: „ენაზე შაქარი დაიყარე და ისე ილაპარაკე, უფრო კაი გამოვა“.

ენა მუცელში ჩუგდო – შეაშინა, ხმა გააკმენდინა. „იმხელა დუყვირა, რომ შიშით ენა მუცელში ჩუგდო“ (ნ. ჯ. ნოდ.).

ენა მხარზე აქვს გადაკიდული – ბევრი ლაპარაკის მოყვარული, ზედმეტად მოლაპარაკე: „პასუხს იმფერ გეტყვის, რა გააჩერებს, ენა მხარზე აქ გაკიდული“.

ენა მხარზე აქვს გადებული – „მოურიდებელი, ენაგრძელია; „მაგას ვინ მშეებს, ენა მხარზე აქვს გადებული“ (ენა მხარე აქ გადაკიდებული; ონიანი).

ენა პილპილში აქვს ამოვლებული – მწარე, ავსიტყვიანი მოსაუბრეა. „მაგფერზე იტყვიან, ენა პირპილში აქ ამოვლებულიო“.

ენას ამათრახებს – არაფერს შეგარჩენს. „ენას ისე ამათრახებს, ვერვინ მშეებს“.

ენას ილესავს – სათქმელად, საპასუხოდ ემზადება. „ტყვილაი გგონია, რომ ენა აქ ჩაკნეტილი, ენას ილესავს, ნახე შენ!“

ენას იფხანს – ზედმეტად, ბევრს საუბრობს, ტყუილად საუბრობს. „მაღ მთელი დღეა მასე ემაგუნება, ენას იფხანს“.

ენას მათრახად ხმარობს – მოურიდებელი, ენაგრძელია; დიპლომატიური ლაპარაკი შეუძლია. „მაგას ვინ მშეებს... ენას მათრახად ხმარობს“.

ენას ჩაკნეტიებს – გააჩუმებს, დაადუმებს, ხმას ჩაკმედიანებს. „ბევრს ნუ ლაპარიკობ, თჳარა ენას ჩაკკნეტიებ, ვიტყვი ყველაფერს“ (ნ. ნიჟ. შდრ. გლ., ენას ჩაკგდებინებს, ენის ჩაკკნეტა).

ენა ფურცლად მექცა – ბევრი ისაუბრა: იმდენი ილაპარაკა, ენა გაუშრა. იმდენი ვილაპარაკე, ენა ფურცლად მექცა“.

ენა-ყბაში ჩავარდნა – ჭორობის ობიექტად ქცევა . „ხალხის ენა-ყბაში ჩავარდნას სიკტილი ჯობია“ (შდრ. ონიანი, ყბაში ჩავარდნა; გლ., ვისიმე ყბაში ჩაგდება).

ენა შერბეთწყალშინა ამოავლო– ნ. ენაზე შაქარი დაიყარე. ენა შერბეთწყალშინა ამოავლო, რომ კაი დეილაპარაკო.

ენა წყლად მექცა – ბევრი ვისაუბარე: „ენა წყლად მექცა და ვერ გავაგებიე მაიც, აზრი არაფერი“.

ენების მოთლა – ამბების ტირილით თხრობა: „ენების მოთლა ცოდვაა. კდარი წუხდებაო, – იტყვიან“.

ენით არ ითქმება – არ აიწერება, არ მოიყოლება. „იმფერები უთხრა, იმფერები, რომ ენით არ ითქმება“.

ენის ამოღება – 1. აღაპარაკება. „ისე დიელაპარიკებოდა ძროხას, ენას ამოაღებიდა“. 2. სიმინდის ტაროს ჩანასახის გაჩენა. „ტოდს (ტარო) რომ ამეიღებს პატარას, ვიტყვით, – სიმინდმა ენა ამოიღო“ (შდრ. გლ., ენის ამოგნება).

ენის გატეხვა – ლაპარაკის დაწყება, „ლიანაჲს ბადიშმა გვიან, სამი წლის იყო, ენა რომ გატეხა“.

ენის გაჭრა – 1. ლაპარაკის დაწყება, ამეტყველება. „ჩემმა ბადიშმა ენა ადრე გაშჭრა“. 2. ბილწიტყვაობა. „რას იგინები, გასჭარი ენა, ხომ?“ (შდრ. ონიანი, ენა უჭრის).

ენის მოკალვა – ლამაზი, რიგიანი საუბარი: „ჩემ დედამთილმა იმფერი ლაპარიკი იცოდა, ენას მოკალევდა“.

ენის მომურწვა – ლაქლაქის შეწყვეტა. „დროზე მიხთა, ბევრს ვლაპარაკოფო და ენა მომურწა“ (შდრ. გლ., ენა მუცელში ჩაიგდო, ენას წაიკვნეტს).

ენის ფხანა – ტყუილუბრალოდ ლაპარაკი, „საქმეს არ გააკეთებს, თჳარა, ენის ფხანა, იცოცხლე, შეუძლია“ (შდრ. ონიანი, ენის მოფხანა).

ენის წვერზე მიგორავს – ვერ ვიხსენებ, დამავიწყდა. „კი, ვიცი, ვიცი, ენის წვერზე მიგორავს, მარა რომ ვერ ვამბობ?“ (შდრ. ონიანი, ენის წვერზე ადგას, ნ. ენაზე აკერია).

ენის წვერზე პირპილაი აქ მოყრილი – ენამწარეა: „მაგისგან ტკბილ სიტყვას ვერ გეგონეფ; ენის წვერზე პირპილაი აქ მოყრილი“ (შდრ. ენა პილპილში აქვს ამოვლებული).

ენის ხმაღსავით ლესვა – ბასრი, მწარე ენა: „ენას ხმაღსავით ლესავს და ისე ლაპარიკობს, უყურე ერთი“.

ეჟვანის შებმა – დათანხმება: „ეჟვანი შემაბეს და როის ავარაჟღუნებ, არ ვიცი“.

ერთ დავჯაგში გატარება – ყველას ერთნაირად მიჩნევა, ერთნაირად გამოწრთობა, ერთნაირად გამობრძმედა (ნ. ნიჟ.. დავჯაგი-ყალიბი, კალაპოტი).

ერთი ნაჭერი (ქალია... კაცია) – ვარგებული, მოსაწონი (ქალია... კაცია...) „ხატიჯეჲ, ცავ, ერთი ნაჭერი ქალია... მაგის განაკეთებს ვერაკაცი ვერ გაკეთებს“.

ერთი პარასკევის დარჩენა – სიცოცხლის მცირე დროის დარჩენა, სიკვდილის პირას ყოფნა. „რაღა დარჩენია, ავადაა, ისეა, მგონი, ერთი პარასკევი დარჩენია“ (ნ. გლ.).

ერთი სიკტილია ადამიანი – ადამიანი ერთხელ კვდება. „ერთი სიკტილია ადამიანი და იგიც სანატრელი გამიხდა“.

ერთი სული აქ – ესწრაფვის, ეჩქარება. „სული უკაწკაწებს“, მოუთმენლად ელოდება. „ერთი სული აქ, როდის გამოსწევს ბადეს“ (შარაშ. ერთი სული მაქ. ნ. ნიჟ.).

ერთი ღერი კაცი – უნათესაო, უმახლობლო, ერთიღა: „ღმერთის მეტი არავინ მყავს დამხმარე; ერთი ღერი კაცი ვარ“ (ნ. ნიჟ.).

ერთ სიმზე მღერა – თანხმობა, ერთიანობა: „ერთ სიმზე მღერა ნუ მოგიშალოთ ღმერთმა“ (მდრ. ერთ ფურცელზე სიარული).

ერთ სოფელს ერთ ხიდზე გაატარებს – ძალიან ეშმაკია, მოხერხებულია. „შენ მაგას რას უყურეფ. იმფერია, ერთ სოფელს ერთ ხიდზე გაატარებს“.

ერთ ფურცელზე სიარული – მეგობრობა, დიდი სიახლოვე (ფურცელი-ფოთოლი). „თქვენ კაჲ ამხანაგები ხართ, გაგიმარჯოთ! ერთ ფურცელზე სიარული არ მოგაწყინოთ გამჩენელმა ღმერთმა!“ (მდრ. ერთ სიმზე მღერა).

ერთ ხიდზე განარები – შორეული ნათესავი. „მაგინი ერ ხიდზე განარები თუ არიან, თვარა ისე ნათესავები არ არიან“ (ნ. ჯ. ნოლ. შდრ. გლ., ყვავი-ჩხიკვის მამიდა).

ეს ძველი და სხვა ახალი – ახალი ხილის პირველად დაგემოვნების ან ახალი ტანსაცმლის დალოცვის დროს სათქმელი, დღეგრძელობის ფორმულა: „ეს ძველი და სხვა ახალი, ღმერთო, ყველას მოგვასტარი“ (ნ. ნიჟ.).

ეტირება რჯულის კენწერი – (ქობ). გამწარდება, გაწვალდება, ცუდ დღეში ჩავარდება. „თვითონ სულიკომ დედამისი რაფერ ამწვალა! ნახოს ახლა... იმფერი შვილი ეხდება, ეტირება რჯულის კენწერი!“ (კენწერი-კენწერო, წვერო, მწვერვალი).

ემმაკზე ადრე დაბადებული – მოხერხებული. „მაგას რას მწგეფ, ყველაფერი გათლილი აქვს, ემმაკზე ადრეა დაბადებული“.

ემმაკზე წინ გამშპარი – მოხერხებული (შდრ. ემმაკზე, შეითანზე ადრე დაბადებული; ონიანი, – ემმაკს ნემსის ყუნწში აძვრენს).

ემმაკის გადაჯდომა – შეცდომის დაშვება, შეცოდება. „გადა-მაჟდა ემმაკი და დამავიწყა ყველაფერი“ (შდრ. შემიჩნდა ემმაკი; ონიანი, ემმაკს სული მიჰყიდა; შემიჯდა ემმაკი).

ემმაკების მხარეზე ყოფნა – შდრ. ემმაკის გადაჯდომა. „ემმაკების ფხარზე გნახო, შენ თუ ჩემთვის არ იტირო“.

ეწერია ამოსული – განადგურებულია, გაპარტახებულია. „ეწერია ამოსული გაღმიების სახლ-კარში“.

3

ვაჟ-ყიამეთის დადგომა – ჩხუბი, აყალმაყალი: „სიძე-ყაინმა ერთმანეთი მესრით დაბეგვეს, ვაჟ-ყიამეთი დადგა“.

ვარსკვლავებს არ წყვეტდეს ცაზე – საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა აქვს. „რა გონია მისი თავი, ვარსკვლავებს არ წყვეტდეს ცაზე“.

ვერ გაძლები ყურებით – თვალს ვერ მოაშორებ, მზერას ვერ მოწყვეტ. „კად ბადიშები ყავს ხუსიას, მარა პაწად რაცხა იმფერია, ვერ გაძლები ყურებით“.

ვერ ვკავდები ტანში – ვერ ვითმენ: „აირია ხალხი ხალხში, მეც ველარ ვკავდები ტანში“ (შდრ. გლ., შენს ქერქში დაეტიე).

ვერ ჩამომგლიჯავს კალთებს – ვერაფერს მიზამს, ვერაფერს დამაკლებს. „რამდენიც უნდა, იმდენი მიჩივლოს, ვერ ჩამომგლიჯავს კალთებს“..

ვირიდან ჩამოსვლა – ჯიუტობის მოშლა, მოთვინიერება: „რაცხაფერ იქნა ჩამოვდა ვირიდან“.

ვირის ბაგაზე გაცინება – გაკვირვება, გაოცება: „ვირის ბაგაზე გააცინებ, ისე ბოდილალობ, გამოშტერებულხარ“.

ვირის ბოგაზე ააჭიხვინებს – ნ. ვირის ბაგაზე გაცინება „იმფერ რაცხას დააბრეხვებს, ვირის ბოგაზე ააჭიხვინებს“ (ბოგა–1. პატარა ხიდი; 2. ბაგა).

ვორი კაცი ერთ კაცზე ნადია – „შენთან ერთად ველარ ვივლი, რადგან შენ ქალი ხარ და ყაჩაღები რომ დაგვესხან, ვორი კაცი ერთ კაცზე ნადი არის“ (ვორი-ქობ.– ორი).

8

ზაფხულის ხილსავით ადრე ილევა – ძალიან ადრე მთავრდება. – „თანამდებობა დღეს გაქ, ხვალ არ გექნება, ზაფხულის ხილსავით ადრე ილევა“.

ზემ პირი კრა – მზე ამოვიდა, ამოიწვერა. „ზემ პირი კრა, შენ კიდო ლოგინში ხარ?“

ზენგინის თვალი გუუშაძლარია – მდიდარს კიდეც მეტი უნდა (ზენგინი (თურქ.) – მდიდარი, შეძლებული).

ზეპა გააყრევია – დასცა, მიწაზე დაანარცხა. „წამეილო და ზეპა გააყრევია ძირში ლომის შვილმა“ (შდრ. გვება გააყრევია).

ზეცას (ცას) ემძიმება – ამპარტავნობს, ქედმაღლობს, მედიდურობს. ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა – ქალამნად (ნ. ნიჟ.).

ზეცა ჩამოწვა – ძალიან ცუდი ამინდია. „ისეთი საშინელი წვიმა მოვიდა, ზეცა ჩამოწვა და დედამიწა წალეკა“ (ნ. ნიჟ. შდრ. გუგუმივით წვიმს).

ზითვალი გამჩენმა – მზის თვალის გამჩენმა – ფიცი, რომ ნამდვილად ასეა და ტყუილს არ ამბობს „ზითვალი გამჩენმა, მე არ წიმიკარებია ხელი“ (ნ. ნიჟ.).

ზნის შეშლა – ხასიათის, ჩვევის შეცვლა. „ორმოცი დღის მერე ჩვილი ბაღანა ზნეს შეიშლის“.

ზორი ხათრზე ვარესია – ზორი (თურქ.) – გასაჭირი ხათრზე უარესია. „ზორი ხათრზე ვარესია. შეიძლება, გლახაც გაგაკეთებოის!“

ზრუგის აწკნელება – გაწკეპლვა, გამათრახება, ცემა. „ფეხზე წამოდგომამდი გააკეთე, თჳარა, ზრუგს რომ იგიწკნელებ, მერე რაღა ფასი აქ“ (ნ. ნიჟ.).

ზრუგის დადრეკა – ზურგის შექცევა, მიტოვება. „მშობლებს უმტყუნა, ზრუგი დაადრიკა და თავის ნებით გამიევიდა ვინცხა კაცს“ (ნ. ნიჟ.).

ზურგზე აკიდება: ზედმეტი ტვირთის ტარება. „მთელი ცხოვრება ზურგზე აკიდული მაქ“.

ზღვამ გული ამოირეცხა – დიდი წვიმის შემდეგ გამოიდარა. „ერ კვირეს განუწყვეტლათ იწვიმა და მემრე, რავარც იქნა, ზღვამ გული ამოირეცხა“ (ნ. ჯ. ნოღ.).

ზღვაში წვეთი – მცირე: „ეს არაფერია, ზღვაში წვეთია“.

თავი კუდს ვერ მეიქნეს – სივიწროვება, სამყოფი ადგილი არ არის, რომ კაცი მიტრიალ-მოტრიალდეს, იმოდრაოს „იმფერი პაწად ადგილია, თავი კუდს ვერ მეიქნეს“.

თავზე გადაძრობა – 1. პასუხისმგებლობაზე უარის თქმა; უსიამოვნების თავიდან აცილება, „ექიმი ჩვენი სოფლის კაცი იყო და საქმეში არ ჩაერია, გედემდრო თავზე“. 2. ქალისათვის ქმრის გარდაცვალება. „კაცი ადრე გადასძრა თავზე, მარა ივარგა, ოჯახი არ დაანგრია“.

თავზე დაჩეჩება – (ეთნ.) დასაქორწინებელი ვაჟის ოჯახში ქალის მისვლა და თავისი თავის მის ცოლად გამოცხადება. „ციალამ მაღნც გეტანა მისი: თემურაჲ ჩემი მომყვანი არააო და თავზე დააჩეჩთა“ (შდრ. ოჯახზე დაჯდომა; შდრ. გლ., ცოლად დაუჯდება).

თავზე კალოს გალეწვა – წვალება, უბედურება: „რა არ გადამხდა, ჩემ თავზე კალო არ გალეწილა მარტო“.

თავზე მიწის წაყრა – გარდაცვალება, სიკვდილი. „ასეთი ამბის მოსწრებას, ჯობდა, თავზე მიწა წამეყარა“.

თავზე შემორება – (ეთნ.) ავადმყოფი რომ მორჩეს, მას თავზე შემოავლებენ ძროხას, თხას, ცხვარს, მამალს ან ქათამს. შემდეგ დაკლავენ და ხორცს ღარიბებს და ობლებს დაურიგებენ. ამით ავადმყოფის სახელზე ღმერთს მსხვერპლს სწირავენ და სწამთ, რომ ავადმყოფი გადარჩება. „კაცო, წადი, ერთი ცხვარი იყიდე, ბალანას შამუაროთ თავზე, ბელქი, მეიხედოს“ (ნ. ჯ. ნოღ. შდრ. შარამ. გლ., თავზე შემოვლება).

თავზე წისქვილის ქვის დატრიალება – გაუბედურება: „იმდენი ჯაფა, ვაი-ვუი გამევიარე, რა არ გადამხდენია, თავზე წისქვილის ქვა არ დამტრიალებია ერთი“ (შდრ. თავზე კალოს გალეწვა).

თავზე ხორუმის ცეკვა – გამასხარავენა, აბუჩად აგდება: „დამა-
ჯდა და თავზე ხორუმს ცეკვობს“.

თავი არ გამოეყოფა – შერცხვენილია. „დამნაშავეა; იცის, აქ თავი
არ გამოეყოფა და ვერც მოდის“.

თავზე ჯინის მოხთა – თვითგვემა, საკუთარ თავზე ჯავრის
ამოყრა, გაბრაზება, საქმით ან ჯავრით თავის თავზე
ზიანის მიყენება. „დილიდან დაღამებამდი არც სვამს, არც
ჭამს. მუშაობს და მუშაობს. თავზე ჯინს იხთის, ნეტად?

თავითავე მოსვლა – თავთავის ადგილზე მოთავსება. „თავი-
დან რაც გითხარი, ახლა თავითავე მოვდა“.

თავის ამოხოვა – თავის ამოხვევა, მოქსოვილი გოდრის ან კა-
ლათისათვის ელასტური ტკეჩით ან სუროთი თავის ისე
მოღობვა, რომ არ მოირღვეს. „გოდორი მოვექსუე, ახლა თა-
ვის ამოხოვა უნდა მარტო“ (ნ. ჯ. ნოღ. შდრ. თავის მო-
თიკრვა).

თავის აჩენა – სატკეჩე მასალაზე იმ ადგილის პოვნა, საიდანაც
ტკეჩის ახდა უნდა დაიწყოს. საწყისი წერტილის პოვნა.
„ამ ტკეჩს თავი თუ უჩინე, მერე გახდა ადვილია“ (ნ. ჯ.
ნოღ.).

თავის გადასკვნა – საქმის გადაწყვეტა, დასრულება.

თავის გადაქნა – 1. საქმის გადაწყვეტა, დასრულება (ნ. თავის
გადასკვნა). 2. ნ. თავის მოთიკვრა.

თავი მოსაკლავათ მაქ – გამოუვალ მდგომარეობაში ვარ.

თავის დადგმა – 1. თავთავის გაკეთება. „პური ამოვდოდა, თავს
დეიდგამდა, ოდოში გახდებოდა“. 2. საქმის მოწესრიგება.
„რავარც იქნა, თავი დაადგა მის ამბავს და გოგო სახში მე-
იყვანა“.

თავის დადელეზა – საქმის გადაწყვეტა, დასრულება.

თავის დახიზნა – დამალვა, მორიდება. „შენ უუხსენი, – პაწა ხანს, უკეთესია, წავიდეს, თავი დაიხიზნოს“.

თავის დუღილი – მოუცლელობა, მოუსვენრობა, გადაღლილობა. „იმდენი საქმეა, იმდენი, დუღს თავი“.

თავის კანში ვერ ეტევა – მოუსვენრადაა, ფორიაქობს... „გუუში ბაღანაჲ, ითამაშოს, ხომ ხედავ, ვერ ეტევა თავის კანში“ (შდრ. ონიანი, თავის ქერქში ვერ ეტევა).

თავის მიდება – ცოტა ხნით დამძინება, წამძინება: „აგერ თავს მივდე პაწას; შეიძლება წემეძინოს“ (ნ. ნიჟ. შდრ. წაკურდღლვა).

თავის მოთიკრვა – 1. ნ. თავის ამოხოვა. 2. საქმის საბოლოოდ გადაწყვეტა, დასრულება. „ილაპარაკებენ, ილაპარაკებენ... ბოლოს რაცხაზე შეთანხმდებიან, საქმეს თავს მჭთირკვენ“.

თავის მორთმევა – რმეზე ნაღების მოხდა: „რმეს მეორე დღეს თავს მუართუმენ და ცალკე შეინახავენ“ (ნ.ჯ. ნოდ.).

თავის მოსწრება – ზრდასრულ ასაკში შესვლა: „ი ვაჟი გაზდილია ახლა, უკვე თავს მიესწრა“.

თავის მოქონვა – შექება, წაქეზება, მოთაფლვა: „იმფერები ველაპარაკე, რომ გადავრიე, მჭქონე თავი და დავტი“ (ნ.ჯ. ნოდ.).

თავის მოყრა – 1. მოგროვება (ნ. გლ.,) 2. ბავშვის განსაზღვრულ ასაკამდე მისვლა (შდრ. თავის მოსწრება).

თავის მოხდა – ნ. თავის მორთმევა (ნ. ჯ. ნოდ.).

თავის შექცევა – გართობა: „თავს ვიქცევ ამ ზამთარში, სხვაი რა უნდა ვაკეთო“ (ნ. ჯ. ნოდ.).

თავის ჩაქოლვა – 1. თავისთავის დაგლახება, დაჩაჩანაკება. „პაწაჲ გამოჲ გარეთ, გეახედ-გამეახედუ. ჩაჯექი, აბა, სახლში, ჩეჲქოლე თავი ძალით!“ 2. საქმის გაფუჭება და შერცხვენა.

„ენა რომ გაგეჩერებია, რამე არ მოხთებოდა, ტყულად ჩემ-
ქოლე თავი“ (შდრ. თავზე მიწის წაყრა).

თავის ძაგუნი – თავის კანტური: „დამჟდარიყო ქვაზე, ხელები
მუხლებზე დიეწყო, დასძინებოდა და თავს აძაგუნებდა“
(ნ. ჯ. ნოლ. შდრ. შარაშ.).

თავის ძვლებში ჩაძვრომა – 1. დარცხვენა. 2. შეშინება: „ისე შე-
შინდა, რომ თავის ძვლებში თვითონ ძვრებოდა“.

თავის წასაგრება – თავის დაღუპვა, გაწირვა. „რა ესაქმებოდა,
ტყუილად რომ წასაგრა თავი“ (ნ. ჯ. ნოლ.).

თავის წახდენა – შერცხვენა, შეურაცხყოფა (შდრ. თავის ჩაქოლ-
ვა).

თავი ქვას შუშვირა – სასტიკი უარი თქვა: „ბევრი ვეხვეწეთ, მარა
თავი ქვას შუშვირა, აფერის გულიზა არ ქნა“ (ნ. ჯ. ნოლ.).

თავი ხელათ არ მაქ – 1. აღარაფერი შემიძლია, თავისი თავის
ტარებაც მიმდის. „ისე ვარ დადლილი, თავი ხელათ არ
მაქ“. 2. არ მცალია, ბევრი საქმე მაქვს: „თავი ხელათ არ მაქ,
ისე ძალიან დაჭკირთული ვარ ამ დღეებში (ნ. ქდ, ნიჟ. ჯ.
ნოლ., შდრ. ონიანი, თავი არ აქვს).

თავსალამეთაჲ კაცი... ქალი – თავშეუწყებელი. კაცი... ქალი.

თავს ვერ გადაახტები – შეუძლებელს ვერ გააკეთებ; უსინდი-
სოდ არ მოიქცევი; არ იკადრებ. „თავს ვერ გადაახტები,
თჷარა, რა ეკადრებიან, კი ვიცი. მაგენისკენ არც უნდა
გეახედო“.

თავს/ტვინს მიბურღავს – თავს მახეზრებს: „მაგის ლაპარაკი და
მიეთ-მოეთი აღარ თავდება, თავს მიბურღავს“.

თავლია დარჩენა – ქალის დაქვრივება. „ქმარი მომიკტა, დავრჩი
თავლია (შდრ. თავზე გადამრობა).

თავში პეპლები უფრინავს – მსუბუქად აზროვნებს, იოლად მოქ-
მედებს: „ვერ ხარ შენ, თავში ისევ პეპლები გიფრინავს“.

თავში ფუტის ასლა – გაბრაზება: „ისე ვარ, რომ ფუტები ამდის თავში“ (ფუტი – ბოლი, კვამლი).

თავში ჭიანჭველები მილოდავს – ვერ ვაზროვნებ, ვერ ვფიქრობ. „ახლა თავი დამანებე, ისე ვარ, თავში ჭიანჭველები მილოდავენ“.

თეთრი კბილების ჩვენება – ცუდი განზრახვის დაფარვა, მოჩვენებითი კეთილგანწყობილების გამოჩენა: „თეთრი კბილები მაჩვენეთ, დამიმალეთ შავი გული“ (ნ. ონიანი, შდრ. გლ., თეთრი კბილი – შავი გული).

თეთრი ლაჩაქით დაბერება – დალოცვა. დღეგრძელობის, ხანგრძლივი სიცოცხლის სურვილის გამოხატვა (შდრ. ქდ. ინგილ., თეთრათ დაბერება. ნ. ნიჟ.).

თეთრი წვერით დაბერება – მამაკაცის დალოცვა, დღეგრძელი სიცოცხლის სურვილის გამოხატვა (შდრ. თეთრი ლაჩაქით დაბერება. ნ. ნიჟ.).

თემელის დასჯნა – ნ. ბინის გადგმა (თემელი –სამირკველი).

თერბიეს (თურქ.) მიცემა – ზრდა, წვრთნა. „კაი თერბიე რომ მიცა, იმიზა კად შვილიც ყავს“.

თესლის გაქნევა – (ეთნ..) თესვა, თესვის დაწყება: „აპრილის პირველ სამშაფათ ახალ თვარეზე ბოსტანში თესლ გეიქნევენ“ (ნ. ნიჟ.).

თესლის (// კაკლის) გაყვანა – (ეთნ.) ყანაში, ბოსტანში წინასწარ გამოყოფილ ადგილზე, ხვნა-თესვის დაწყებამდე, სხვადასხვა სახის მარცვლეულის დათესვა.

თესპასავით ვიცი – კარგად, ნამდვილად ვიცი (თესპა–კრიალოსანი): „თესპასავით ვიცი, მაჟ კაცი მისი ქმარი არაა“.

თვალდახელშუა დაკარგვა – მოულოდნელად დაკარგვა, გაქრობა: „ამ წუთში აქ იყო დასობილი დანა და თვალდახელშუა დეიკარქა, გაქრა საცხა“ (ნ. ჯ. ნოდ.).

თვალზე ვარსკვლავები აქ გამოსახული – უხარია, გახარებულია (შდრ. თვალები უცინის).

თვალში გზაში აქვს – მოლოდინშია: „მისი კაცი წათრევლია და ქალ დღე-ღამ თვალები გზაში აქ“.

თვალებიდან არ იხედება – ვერარ ხვდება: „მიხდი და, რაფერი საქმეა, მის თვალებიდან არ იხედება“.

თვალში უცინის – გახარებულია. „რომ მიხვალ, მიხთები, გახარებულია – თვალში უცინის“.

თვალის ამოღება – მოლოდინი. „დედაბერ თვალები ამუჟ-ღამდა ბადიშეითვინ“.

თვალის პრაწვა – თვალის ბრიალი. „ნამეტარი თავგასული ბაღანაჲა, თვალის პრაწვა უყვარს“ (ნ.ჯ. ნოღ.).

თვალის შუბლზე ასვლა – გაცემა, გაკვირება. „რომ დედნახა, თვალში შუბლზე ჟედა“.

თვალის წათხრა – დაბრმაება. „ამდონი ტირილით თვალში წეთხრა“ (შდრ. გლ., თვალის დათხრა).

თვალის წაჩქეფება – თვალის დაცემა, დაბრმაება. „რეჲზა მჟმრა კარები, მაგას წიჩქეფია მისი თვალში!“ (ნ.ჯ. ნოღ. შდრ. თვალის წათხრა).

თვალში გაჩერა//თვალში ამოსვლა – თავის მობეზრება. „თვალში ამომივიდა, მომაშორეთ თვალში მაქ გაჩხერილი მთელი დღე“.

თვალზე აღება – თვალთ გაზომვა, თავდაჯერება. „მაგი აღებული მაქ თვალზე. ერთი მოქნევით წავაქევე“ (ნ. ჯ. ნოღ.).

თვალთან ჩამომივარდა – (კალკი. თურქ. gözden düsti) შევიძულე, ავითვალწუნე. „ის კაცი მიყვარდა, მარა ახლა თვალთან ჩამომივარდა“ (ნ. ნიჟ.).

თვალი დიმიყენოს ღმერთმა – ფიცი სიმართლის დასამტკიცებლად: „თუ მე ჩავამუხე, თვალი დიმიყენოს ღმერთმა“ (ნ. ნიჟ.) (ჩამუხება – ჯაშუშობა, დასმენა, დაბეზლება).

თვალი თვალზე არ დამიდება – სულ არ მიძინია: „ავატყმოვს გათენებამდე უთიე, თვალი თვალზე არ დამიდება“ (ნ.ჯ. ნოლ.).

თვალი თვალში გაუყარა – თვალებში შეხედა (ნ.გლ.).

თვალით სიკვდილის დანახვა – დიდ განსაცდელში, გასაჭირში ჩავარდნა. „მანქანა გადაბრუნდა, კინალამ ხრამში გადავცვინდით... თვალით სიკვდილი დევნახეთ, მარა, ღმერთს შუქური (მადლობა) გადავრჩით!“

თვალი მიძებნის – მენატრება, დანახვა მინდა. „სხვისი რა ვიცი და, ... ერთხანს გამოსლა თუ დააგვიანდა ჩემს მულს, მერე თვალი მიძებნის, რახან მუა-მეთქინ“ (ნ. ნიჟ.).

თვალის ამოღება (//გამოღება) – საქსოვი ჩხირებით მარყუჟის, თვლის, გაკეთება, ამოქსოვა. „წინდას დევწყებთ... ჯერ ოთხ ჩხირზე ამოვღებთ ექვს თვალს“ (შდრ. გლ., თვალებს ამოკრეფს, თვალს ამოიღებს).

თვალის ასიორება – თვალთახედვის გაბუნდოვანება. „თვალი მაქ რაცხა ასიორებული“ (ნ. ჯ. ნოლ. შდრ. ჟღენტი, აფსიორება).

თვალის აღება – ნ. თვალისცემა. „ბაღანად თვალს თუ ეძღებს, ნათვალევისას შულოცავენ“.

თვალის ახოვა – შეცდომაში შეყვანა, გზა-კვალის აბნევა. „თვალს რომ მიხვო, მე ხომ ვიცი ყოლიფერი“ (ნ. ჯ. ნოლ.).

თვალის ბატონი კაცი არაა – ადამიანი თავის თვალს ვერ აკონტროლებს. „შენ უნდა მოერიდო, თუარა სხვამ რა იცის! თვალის ბატონი კაცი არაა! იქნება, არც იცის, რომ თვალცემარაა“ (ნ.თვალისცემა).

თვალის გაქცევა – 1. ვინმეზე ან რაიმეზე უნებლიეთ შეხედვა „ახლანდელ გოგვებზე, რომც არ გინდოდეს, მაინც გეგექცევა თვალი, ნახევრად შიშვლები დადიან“. 2. ნაქსოვში

ამოქსოვილი მარყუჟის – თვალის ჩავარდნა. „წინდაზე თვალი თუ გეგექცა, დაშალო და თავიდანდა მოქსუო“.

თვალის დადგომა – დაბრმავება. „ყირიმლიოლლი ასტე ჩივა, – ოი, თვალი დიგიდგა შენა“ (შდრ. გლ., თვალი დაუდგება).

თვალის დადგმა – შერჩევა, გამორჩევა „მაგ საქმეზე თვალი აქ დადგმული, გააწყობს“.

თვალის დაღანდვაზე – მოულოდნელად, თვალის დახამხამე-ბაში. „ახლა აქ იყო ბაღანაჲ და საცხა თვალის დაღანდვა-ზე გაქრა, გეჲპარა“ (ნ. ჯ. ნოდ.).

თვალის დანაღლება – თვალის ჩაშავება. „თვალი რატომ გაქ დანაღლებული, ვინმემ ხომ არ დაგარტყა?“ (ნ. ჯ. ნოდ.).

თვალის დატანება – ყურადღების მიქცევა: „ბაღანას თვალი დაა-ტანე, არსა არ გეგეპაროს“ (ჯ. ნოდ. შდრ. გლ., თვალს დაადგამს).

თვალის დატება, თვალს დაატებს – თვალს დაადგამს, თვალს მიაპყრობს, თვალს ვერ აცილებს, თვალმოუშორებლად, მოურიდებლად უყურებს, უმზერს. „მაგხელა შვილიშვი-ლი შექფერის, ბიძავ, რაფერ დაატეხე თვალი მაგ გოგოს, ჰა?!“ (ნ. ნიჟ. შდრ. თვალს ჩააშტერებს).

თვალის დაყენება – 1. თვალის დავსება, დაბრმავება 2. გაოგნება, გაოცება.

თვალის დახატვა – წინდისჩხირებით ქსოვის დაწყება, რამდენი-მე თვალის ამოყვანა. „დევწყებთ ქსოვას. წინდიჩხირზე დახატავთ ექვს თვალს“ (შდრ. თვალის ამოღება).

თვალი დაუდგეს – წყევლა: თვალის ჩინი, მხედველობა დაეკარ-გოს. „თვალიც დაუდგა მაქფერ დახმარებას, ორმოზდაათ-ჯერ თუ დამამინნეთე!“ (ნ. ნიჟ.) (დამინნეთება – დამად-ლება, დაყვედრება)..

თვალის მიცემა – 1. თვალყურის დევნება. (შდრ. თვალის დატანება) 2. ახალდამწიფებული ხილის (ბლის...) მარცვლების გამოჩენა ხეზე. „კაჟ ჯიშის გამოდგა ჩვენი ბალი. ჯერ რაფერ ადრეა და უკვე თვალი მწცია“ (შდრ. სახ. თვალის დაჭერა-თვალის დევნება, მოწონება).

თვალის მოღზნა – თვალის დაწყეცა. „მოადგა კარზე. მოაღზნა თვალი“ (ნ. ჯ. ნოდ.).

თვალის პანწკური – თვალის ჩაკვრა, თვალით რაიმეს ნიშნება. „რას მიპანწკურებდი თვალს, რა გინდოდა?“ (ნ. ჯ. ნოდ. შდრ. გლ., თვალის ჩაკვრა).

თვალის შერთვა – ხილის, ყურძნის მწიფობის დაწყება. „ყურძენს თვალი შურთავს, მწიფება დუნყოს“ (შდრ. თვალის მიცემა).

თვალის ჩავარდნა – ქსოვის დროს ნაქსოვის თვლის, მარყუჟის გამოტოვება „წინდის ქსოვის დროს თვალი ჩავვარდნია. იმიზაა ასე თვალჩავარდნილი“ (ნ. გლ.).

თვალის ჩაჭუჭყა – თვალის ჩაკვრა. ნ. თვალის პაწკური (შდრ. გლ. იმერ., გურ. – ჩაპაჭუნება).

თვალის ცემა – (ცრურწმ.) ავი თვალით ზიანის მიყენება ადამიანზე, ცხოველზე... ადამიანის თვალის მაგიური საზიანო ზემოქმედება. „ზოგი ბავშვი ისეთია, თვალი სცემს... თვალნაცემს შულოცავენ“. „ძროხას, თვალი რომ არ ეცეს, რქაზე წითელ ნაჭერს შემოაკრავენ და ნათვალევისას შულოცავენ“ (შდრ. გლ., თვალი ეცემა)

თვალის წაკვრა – „ავი“ თვალის ზემოქმედება. „ხსენის გადაქცევა არ ვარგა. რძეს თვალ წაკრავს და გეიქცევა“.

თვალის წასვლა – ნ. თვალის ჩავარდნა.

თვალის წატება – ნ. თვალის დატება.

თვალის წყურვილი – ნახვის სურვილი: ჰა დეიკარგე, თვალეზი გეძებდა, თვალს წყუროდა შენი ნახვა“.

თვალი ჭამს და თვალი სვამს – გარეგნულად მოსწონთ, აფასებენ: „ხომ იცი, თვალი ჭამს და თვალი სვამს, კაჟ-კაჟ ჩეხვი და ისე მოჟ“.

თვალსა და თვალს შუა – ამ წამს, აგერ ახლა. „ახლა აქ იყო, ვხედავდი; თვალსა და თვალს შუა გაქრა“ (ჯ. ნოდ. შდრ. გლ. თვალსა და ხელს შუა).

თვალს წყალი დააღვინა – ისიამოვნა. „იარა, იარა... თვალს წყალი დააღვინა... რომ მოწყინდა, მოვიდა“.

თვალ-ყურის დატანება – მუდმივად ყურადღების მიქცევა. „აბა, შენ იცი, შენ უმუდზე (იმედი) ვტოვებ ამ ბაღნებ. ამათ თუ თვალ-ყური არ დაატანე, მათთვისაჟ გზა-კვალს ვერ გეიგნებენ“ (ნ. ნიჟ.).

თვალში ამოღება – ამორჩევა ზიანის მიყენების მიზნით. „კაცმა თუ თვალში ამოგიღო და გაგიმეტა, ყოლისფერ სიავეს წაგვიდებს“ (ნ. ჯ. ნოდ.).

თვალში მერცხლები უხტის – ძალიან გახარებულია, თვალეზი უციმციმებს: „ბაღანას თვალში მერცხლები უხტის“ (შდრ. გააყაყაჩოვა თვალეზი; თვალეზი უცინის).

თვალში შესვლა – ნ. თვალის მიცემა, თვალის შერთვა.

თვეში ფეხჩადგმული//ფეხჩამდგარი – მეცხრე, ორსულობის ბოლო თვეში მყოფი ქალი ან საქონელი. „მოლოგინების დრო რომ მოდის, თვეში ფეხჩადგმული რომ იქნება, მერე ქალმა გარში აღარ უნდა იაროს, სავსე ჭიქასავითაჟ“, „თვეში ფეხჩამდგარია ძროხა, ძუძუს ცურები დჟსივდა, ძუძუმოკითხულია“ (ნ.).

თითიკიდან მოშლა – უილაჯობა, უძლურება. „ჯანი არ მაქ, თითიკიდან მევეშალე“ (თითიკი – თოფის სასხლეტი).

თითის გამოლოკვა – ცარიელზე, „მშრალზე“ დარჩენა. „მარობამდინ არ მოშორეზია, ჰიდამდი არ დარწმუნდა, რომ აღააფერი არ გამჟაო და თითი არ გამეილოკა“ (ნ. ნიჟ.).

თითის მოზღუნკვა – მარცხის აღიარება. „თუ არ შეგიძლია, მოზღუნკე თითი. ჩვენც დევჯერებთ და თავს დაგანებებთ“ (ნ. ჯ. ნოდ.).

თითის მოკაკვა – დამარცხების აღიარება (ნ. თითის მოზღუნკვა; ონიანი).

თითის პირში ჩადება – ჩაფიქრება. „კაცმა ჩეიდვა თითი პირში და იფიქრა ნახევარი საათი“ (შდრ. წვერის პირში ჩადება).

თის მოშლა – საზაფხულო მთის სამოვრებიდან, აიილებიდან დამსვენებელთა და საქონლის დამვრა ბარისკენ. მემთევრობის სეზონის დამთავრება. იწყება აგვისტოს მეორე ნახევრიდან (ნ. ნიჟ.).

თმებს იპუწკავს – ბრაზობს, თმებს იგლეჯს. „ისე იყო გაკუჭებული, რომ თმებს იპუწკავდა“.

თოვლის ადგომა – თოვლის დადნობა, გაქრობა. „წლევანდელი თოვლის ადგომას არ ეშველა არაფელი. გაყინული იყო“.

თოვლმა მიწა მოწათბა – თოვლმა მიწა დაფარა (წათხვა-დამარილება, მარილის ბლომად მოყრა ხორცზე, ყველზე... წათხი – მარილწყალი).

თოკზე ფქვილი გაუშალა – საქმის გაზვიადება. „აფერი არ გამუა. გინდა მაგასთან გქონია საქმე, გინდა ფქვილი გაგიშლია თოკზე“.

თორბაზე თავის წახნა – ყველაფრის თქმა. „სხვა დროს ვეტყვი. ახლა არ ღირს თორბაზე თავის წახნა“ (თორბა – პატარა ტომარა, ტომსიკა).

თოფი გადაგვაწვა მაყარმა – (ეთნ.) საქორწინო ცერემონიალის ერთ-ერთი აუცილებელი და არასასურველი მომენტის აღმნიშვნელი გამოთქმა: „როცა რაიმეთი უკმაყოფილო, დედოფლის „დატოვებით“ გულნაკლული მაყრები წასვლისას თოფების სროლას ატეხენ, მასპინძლები იტყვიან, –

„თოფი გადაგვაწვა მაყარმაო“ – და ეს მასპინძელთა სირცხვილია. შეიძლება, იფიქრონ, არასაკადრისი მასპინძლობა გაუწიეს სტუმრებსო. „წასლიხან იციან, დედოფლის მაყრები, თუ რამეზე გული ეტკინათ, თოფს ისრიან. იტყვიან, თოფი გადაგვაწვა მაყარმაო. ეწყინებათ, მარა რა უნდა ქნა?...“

თოხარიკი ცხენივით სირბილი – მოუცლელობა: „თოხარიკი ცხენივით სირბილი გიგიგონია? ისე ვარ თელი დღეა“.

თხუთმეტი წლის ხომ არ გგონივარ – გამოუცდელი ხომ არ ვარ „მე ხომ ვერ მომატყუებ, 15 წლის ხომ არ გგონივარ, ვერ მივხვდე?“

თხილამურის მირეკვა – ბრალის დადება, ცილისწამება, ცუდი მოქმედების დაბრალება. „შენ ისე იქცევი, რომ ბოლოს თხილამურებს შენ მოგარეკავენ, ყველაფერი შენ დაგბრალდება“ (ნ. ნიჟ.).

0

იაილამ პირი დაიბანა – მთაში, ზაფხულის სიცხის შემდეგ, თუ წამოწვიმდა და, ასევე, უცბად გამოიდარა, ცა საოცრად მოისარკება, ჰაერი შემსუბუქდება, ბალახი გამოცოცხლდება. საცხოვრებლების – იაილების – ირგვლივ და იალალებზე სისუფთავე და სიმყუდროვე დაისადგურებს. ამაზე იტყვიან, – ცოტა ნამი იყო და ის ეყო – იაილამ პირი დაიბანა (შდრ. გლ., მზე პირს იბანს).

იანვარი აქ პირში – ძალიან ცხელს მიირთმევს. „ასე ცხელს რაფერ სვამ, იანვარი ხომ არ გაქ პირში“.

იატაკის მოტენვა – იატაკის ფიცრების ერთმანეთზე მჭიდროდ მიკვრა.

იალი ჩამდინდა გულში – მესიამოვნა. „ისე ეფერებოდა, მესიამოვნა, ძალი ჩამდინდა გულში“.

იახა დამარეკიეს: „ისე იქცეოდნენ, ისე, რომ იახა დამარეკიეს მაგათმა“ (იახა–საყელო).

იდარეს იეს – შეენაცვლება. „მაქხელა კარდალი არ მაქ. ეს იდარეს არ იეს?!“

იელნაჰამ თხასავით სირბილი–წყენა: „იელნაჰამ თხასავით რას დარბიხარ“.

იზინის მიცემა – ნებართვის მიცემა „ქალმა მისცა იზინი, შამეყყანეთ მაღ ბაბუაო“ (ნ.ჯ. ნოღ.).

იმ დალანდვაზე –იმწამსვე, მალე, მაშინვე: „იმ დალანდვაზე გაჩნდა ძვირფასი ტანისამოსი და ბედაური“.

იმედის ძაფი გამიწყდა – იმედი დავკარგე, „იმედის ძაფი გამიწყდა, აწ სიცოცხლეს აღარ ველი“.

ინათის გაბმა – გაჯიუტება: „ძალიან დამაძალა, მარა მეც გულები ინათი და არ წავყევი“.

ინათის გაწევა – (არაბ. ინათი – ჯიუტობა), ქიშპობა, „ინათის გაწევა ძალაზე კიდია“ (ნ. ნიჟ.).

ინათში ჩადგომა –ჯიბრში ჩადგომა, ჯიუტობა, ქიშპობა (ნ. ნიჟ.).

ინის დადება (ფეხზე) – უხასიათოდ ყოფნა, ინდიფერენტულობა; შინ ჩაკეტვა. „გამოე კარში ერცულულზე, რა მოხდა, ფეხზე ინა ხომ არ გაქ დადებული!“ (ნ. ნიჟ.).

იუზს არ აძლევს – ერიდება, არ ელაპარაკება: „რამდენი ხანის გაბრაზებული ყოლია დედაბერი, იუზს არ აძლევს“ (შდრ. პირის არმიცემა).

იქამც იყოს – (გრურწ.) თუ სადმე რაიმე მოხდა და ვინმე ყვება ამ ამბავს, თან ამბობს: „იქამც იყოს“, ე.ი. ცუდი, სადაც მოხდა, იქ დარჩესო. „ცეცხლადისას, იქამც იყოს, ბალანა ჩაშჸრიან ცეხლში და დასწვიან“ (ნ.ჯ. ნოღ. შდრ. ხეს და ქვას ველაპარაკები).

იღრინება—ცუდ ხასიათზეა. „მთელი დღეა, ღიმანი არ მოსვლია, იღრინება“ (ღიმანი – ღიმილი).

იშკილის აღება – დაეჭვება, მიხვედრა. „ბიჭმა იშკილი ეიღო, რომ აქ რაცხა ეშმაკობას მიწყობენო და გაშორდა იქავრობას“ (ნ. ჯ. ნოდ.).

იხტიბარს არ იტებს – არ იმჩნევს, ეჭვობს, „გოგოს ეშინია, რაცხას მიწყობენო, მარა იხტიბარს არ იტებს და მაინც მიყვება“.

პ

კაბაში გაშტვერა – გალანდვა: „ქვედაკაბა თუ არ ჩეცვი, გაშტვერს კაბაში, აბა, რა იქნება!“

კაბიანი შეერია ყანას – დატარებული სიმინდის ყანაში პირველი მწიფე, თეთრფუჩეჩიანი ტაროს გამოჩენა: „კოტა გათეთრებულა, კაბიანი შეერია ყანას“.

კაკლის გაძღომა – მარცვლოვანი მცენარის მარცვლის გავსება გულით (ნ. მენტ. ნიჟ.).

კალო შამობრუნდება – დიდია, ფართო, ვრცელი: „იმისიფართეა, რომ კალო შამობრუნდება“ (ნ. ნიჟ.).

კანიდან ამოსვლა – აბრეშუმის ჭიის კანის გამოცვლა: „ყაჭი სამოთხ დღეში ამოვა პირველი კანიდან“ (ნ. ნოდ.,) 2. გაჭირვებისაგან თავის დაღწევა დიდი ძალისხმევით.

კანის გამოცლა – ნ. კანიდან ამოსვლა.

კანის მოხდა – ნ. კანიდან ამოსვლა.

კანულის გაღება – სამეურნეო საქმის პირველად წამოწყება: პირველად მოხვნა, სიმინდის დათესვა და სხვ. „პირველი თესლის გაქნევას კანულის გაღებას ვეტყვით ჩვენ“ (ნ. ნიჟ.).

კაჲ დაგემართოს – მოწონების გამომხატველი შესიტყვება, კარგია, მშვენიერია. „კაჲ დაგემართოს, კარგათ გაგიკეთებია, მარა, პატრონი რას იტყვის?“ (ნ. ჯ. ნოდ.).

კადმაგას – (შორისდ.) ყოჩად; აბა, შენ იცი! „კად მაგას, ჩემო ქალო, მოიხმარე შენი გვარი. გაჭირვებული ახლა ვარ, მოდი და გამილე კარი“ (ნ. ჯ. ნოდ.).

კადმალის ფეხი – დვრიტად გამოყენებული მჟავე, ნარჩენი ნაღები: „მაწნის დედო თუ არ გაქ, კადმალი რომ ამჟავდება, ძირში, ფეხქვეშ გამოიღებ და კაიმალის ფეხს იხმარ დედოდ“.

კად პირი უჩანა – კარგი დასაწყისია, კარგი მოსავალი იქნება; კარგი, მზიანი ამინდი იქნება. „თუ კად დარები იქნა, ყანას კად პირი უჩანა“.

კად რძალი და ცუდი ამინდი – კარგი სურვილის გამომხატველი შესიტყვება–„იტყვიან, კად რძალი და ცუდი ამინდი. ცუდი ამინდი გამოსწორდება, მაგრამ ავ რძალს არაფერი ეშველება“.

კად შენს ცხვირს მშვედა! – შესიტყვება, რომლითაც მიმართავენ საქმის ცუდად გამკეთებელს. „კად შენ ცხვირს მშვედა, მად კად გაკეთებული არ იყოს!“ (ნ. ჯ. ნოდ.).

კად ჭკვაზე ვარ – ნორმალურად ვაზროვნებ. „ახლა კად ჭკვაზე ვარ, ხანდახან ვიცი, გამევთიშები“.

კარგად წავა წველა – კანაფის ან სელის ღეროები ადვილად გაირჩევა. „მოჭრილ კანაფს დავალბობდით და მერე გავარჩევდით... კარგათ წავა წველა (წველა – საბა, წუელი – ბეწვი).

კარგ ვარსკვლავზეა გაჩენილი – უმართლებს, გამართლებული ცხოვრება აქვს.

კარგი ფეხის – ფეხბედნიერი, ბედნიერი ფეხის: „აკი ვამბობდი, მად ქალი კარქი ფეხის არ დარჩება-მეთქინ“ (ნ. ნიჟ. შდრ. შარაშ. კაი ფეხის).

კარგი ჩიტის დაჭერა – საწადელის ვერასრულება. – „მაგფერი საქმით კარგ ჩიტს ვერ დეიჭერ“.

კარებში გვიდგანა თოვლი – დიდი თოვლი მოვიდა: „წელს იმდენხან ითოვა, ახლაც კარებში გვიდგანა თოვლი“.

კარის დაგდება – კარის დახურვა, დაკეტვა: „კარის დაგდება არ დაგავიწყდეს, კარქა დუუგდე და ისე დაწევი“ (ნ. ჯ. ნოდ. შედრ. კარის დაყრა).

კარის დაკეტვა – (ეთნ.) დედოფლის სახლში ქორწილის დასრულებისას, როცა სიძის დადე გამოვა გარეთ, დედოფლის ერთ-ერთი ახლობელი კარებს ჩაკეტავს. ეს იმას ნიშნავს, რომ მაყრებმა უნდა მოითხოვონ დედოფლის გათავისუფლება. სიძის ხნიერმა, საპატიო ახლობელმა, კარის ჩამკეტ პიროვნებას საჩუქარი უნდა გაუგზავნოს, მაგ., 100-300 ან მეტი მანეთი. ამის შემდეგ კარს გააღებენ და დედოფალს გაუშვებენ (ნ. ჯ. ნოდ.).

კარის დატენვა – ახლად დამზადებული კარის წნეხში მოთავსება, რომ კარის ნაწილები კარგად და მტკიცედ მოერგონ, მიესადაგონ ერთმანეთს.

კარის დაყრა – კარის დაკეტვა, ჩარაზვა (ნ. ნიჟ.).

კარის დაჩეხვა – (ეთნ.) საქორწინო რიტუალი. ნეფის სახლში მოყვანილ დედოფალს გადაჯვარედინებულ ხმლებში გაატარებენ, რომ დედოფალს ახალ ოჯახში ავი სულები, ეშმაკები არ შეჰყვეს, რომ დედოფალი ყოველგვარი ბოროტებისაგან იქნას დაცული. როგორც კი შეაბიჯებს დედოფალი კარებში მარჯვენა ფეხს, ხმლებს ჩამოიღებენ და კარის თავს დაჩეხავენ. ხალხის წარმოდგენით, რაც უფრო მეტად დაიჩეხება კარის თავი, მით უფრო ნაკლები ბოროტება შეჰყვება პატარძალს ოჯახში (ნ. ჯ. ნოდ.).

კარის მიძვრა – ნ. კარის დაგდება: „ძალვანი სიცივეა შამოჲ და მიძარ კარი“ (ნ. ჯ. ნოდ.).

კარის შეკვრვა – ცალ-ცალკე დამზადებული კარის ნაწილების შეერთება, კარის აგება.

კარის ჩამოყრა – 1. კარის მიხურვა, დაკეტვა, ჩარაზვა. 2. (ეთნ.) მამის სახლიდან დედოფლის წაყვანისას დედოფალს კარს ჩაუკეტავენ. სასიძოს მაყრები დედოფალს მანამ ვერ წაიყვანებენ, სანამ ფულს არ გადაიხდიან. ამ წესს „კარის დაყრას, „კარის ჩამოყრას“ ეძახიან; „ჩამოყრილი კარის“ გაღებისათვის მიცემულ გასამრჯელოს კი – „კარდასამყრელოს“ (შდრ. კარის დაკეტვა).

კარში გაშვობა – გარეთ გავარდნა: „გაშპა კარში, გეჲრა და წევდა“ (ნ. ჯ. ნოღ.).

კასეტის ჩადგება– ამოჩემება, დაჟინება: „ერთ რომ კასეტას ჩაადებს, რამე აღარ ეშველება“.

კატა არ გჷმღება – ღარიბია: „თავს ისე მოგაჩვენებს, ვითამც დულს და გადმოდულს. ისე კი, კატა არ გჷმღება სახლში მაგ ხრუკს“ (ნ. ნიჟ. შდრ. კატა უჭყავა თაროში).

კატა გახლიჩა –საქმე თავიდანვე გადაჭრა, გაარკვია: „მაგ ქალმა მის დროზე გახლიჩა კატა“.

კატა ზურგით არ დაეცემა – არ გამოტყდება, არ აღიარებს, მართალი არაა, მაგრამ არ იტყვის. „მაგის ნაქნარია, ვიცი, მარა არ გატყდება, კატა ზურგით არ დიეცემა“.

კატამ კუდს დჷსაქმა – თავისი გასაკეთებელი გასაკეთებლად სხვას მიანდო, დავალება შესასრულებლად სხვას გადააბარა: „წყალი მომიტანე-მეთქი, ვუთხარი. იმან ციალას უთხრა, – შენ მოიტანეო... კატამ კუდს დჷსაქმა“.

კატარ-კოტაში შესვლა – ყანაში სიმიდის მცენარეზე კატრის – წვეროს გამოღება და ტაროს ჩანასახის გაჩენა.

კატას ჭლიკი მოსტეხე – მოიცალე, ყველანაირი საქმე გადადე, ძალად გააკეთე: „მოსტეხე ერთი კატას ჭლიკი და გვესტუმრე“.

კატა უჭყავა თაროში – 1. ძალიან ღარიბია, გაჭირვებულია: „კაჲ ბიჭი თუა, საქმით დაგვანახოს და მემრე მივცემ ქალს! კატა უჭყავა თაროში“ (შდრ. სახ. კატა მოუკვდება ხელში, - კატა ვერ გაძლება მის ოჯახში. 2. ვერ მივართვი, ვერაფერს მიაღწევს: „მზდიოს ახლა, რამდენიც უნდა, მე მაგას მაჲ არ მივსცე. კატა უჭყავა თაროში!“

კატინაღეჭაჲ – უსუსური, ძალიან სუსტი: „რა კატინაღეჭაჲ ბაღა-ნაა“.

კაცდაკაც მოტანა – ხელიდან ხელში გადაცემით მოტანა. „უწინ ბინის ქვების კაცდაკაც მოტანა იცოდენ“ (ნ. ჯავახ.).

კაცი არ წააფურტნის – შეუხედავი, ულამაზოა: „ზედაც არავინ შეხედავს, იმფერი ქალი მეიყვანა, მუნიანი, რომ კაცი არ წააფურტნის“.

კაცი პატრონს ვერ ცნობს – არეულობაა. „ისე ეისვარა ხალხი, კაცი პატრონს ვერ ცნობდა“.

კბილდახვანული – უმწო, დიდ ტუჩკბილებიანი, ბაგემალალი ადამიანი.

კბილდახრემილი – (ნ. ჯ. ნოდ. შდრ. კბილებდახვანული).

კბილების ათელა – აუგი საქციელის გამო სხვისგან გაკილვა. „სულ გეხვეწებოდი, ვინმეს კბილები არ აათლიოო... ახლა იტირე, რამდენიც გინდა!“

კბილების დაკრეჭა – 1. გაჭირვების დამალვა: „კრიჭე, რამდენიც გინდა, კბილები; დეჲნახავს ვინმე თუ?“ 2. ნ. დამშვიერება. „თავანის ლამფა პირშესმული უნდა იყოს, თუ არა, რომ გახმება, კბილებს დაკრეჭს“.

კბილი დაასო//კბილი კრა – აითვალწუნა: „ისე დაასო კბილი იმ ქალს, რომ რამე აღარ გამოვა“ (ნ. ონიანი).

კბილის გადაყრა – ხერხის კბილების გაღესვა. „ხერხს კბილები კარქათ თუ არ აქ გადაყრილი, ტოგონს (მორს) ვერ გახერხავ“.

კბილის მატლი – ადამიანი, რომელიც ზედმეტად ერევა ყველაფერში: „მაგი მივდა ოჯახზე. ჩეხისა და ახლა კბილის მატლივით ხრავს მთელ ოჯახს“ (ნ. ჯ. ნოღ.).

კბილის მოგვეთა – მუავე საკვების მიღებით გამოწვეული უსიამოვნო შეგრძნება კბილებში (გად.) კბილს მოგვეთს – არ გერგება, არ გეკუთვნის. „მართალია, კად გოგოა, მარა შენ კბილს მოგვეთს (ნ.გლ. ონიანი).

კბილს მთხოვს – დაბლაგვებულია: „ეს დანა კბილებს მე მთხოვს“.

კდრის ბუხრიდან ატანა – რაიმე საქმის იძულებით, ძალდატანებით გაკეთება. ისეთი რაიმეს გაკეთება, რაც შესაძლებლობებს აღემატება, სურვილს ეწინააღმდეგება: „მე თუ ჩემსას ვერ გევტან, თვალეებში მაფურტნეთ. კდარს ბუხრიდან ავატანიეფ ჯელაღას და ამ საქმეს მწგვარებელს არ დავტეებ“ (ნ. ნიჟ.).

კდრის მიწიდან ამოღება – მოხერხება, შეძლება, მიზნის მიღწევა. „აბღაი იმფერია, კდარს მიწიდან ამეიღებს, რას ვერ შეძლებს“.

კერას ნახშირი – მიმართავენ სასურველ სტუმარს, რომელიც დიდი ხნის მიუსვლელობით სასიხარულო განცვიფრებას იწვევს მასპინძელში, – როგორც იქნა! ძლივს გვეღირსა! მაღლობა ღმერთს! „კერას ნახშირი! ბეგრუმს, ბიძავ! რაფერ მოტეხე შეითანს ფეხი, რაფერ გადმოგიცდა ჩვენკენ ფეხი! (ნ. ნიჟ. შდრ. ონიანი, კერას ნახშირი).

კერე-კუჩხე გაანედღა: ოჯახი გააძლიერა, ოჯახი გააცოცხლა. „იმფერი რძალი მეიყვანა, კერე-კუჩხე გაანედღა“.

კერკეტი კაკალი – ძლიერი, ამტანი, შეძლებული: „კერკეტი კაკალია ნენეი, ჯანიტარი“.

კეცი ცეცხლში ჩავარდება – საქმე გაფუჭდება: „ბლავცი... სანამ მაღ რამეს მეიფიქრებს და გააკეთებს, კეცი ცეცხლში ჩავარდება“ (კეცს გასახურებლად აგიზგიზებულ შუშაზე დაამხოვნ. თუ კეცი დროულად არ აიღეს, შუშა ჩაიწვება და კეცი, მართლაც, ცეცხლში ჩავარდება).

კების დადგმა – თამაშობებში წაგებულისათვის წანაგები ქულების მიცემა, დათვლა (კები – სახედრის უნაგირი, უნაგირის ხის ჩარჩო; ნ. კუდის მიხედვით).

კების მოხდა – თამაშში წაგებულისათვის ქულების ჩამოწერა (ნ. კუდის მოხსნა).

კვალის კლოვა – კვალის ძებნა: „კვალს გიკლოვს მაღ მონადირეო, – უთხრენ აფხანაკებს“.

კვერნის ხიდი – ვიწრო, საცალფეხო ხიდი, ბოგირი.

კვერცხის გულზე ბეწვს ეძებენ – იქ ეძებენ, სადაც არ იქნება, სადაც მოსალოდნელი არაა!

კვერცხის მოწყება – კვერცხის დების დაწყება. „კარქა ხანს არ დებენ დედლები კვერცხს. ჯაჭვა დედალმა მუასწრო ყველას კვერცხის მოწყება“ (ნ. ჯ. ნოდ.).

კიბილების დათვლა – გამასხარავება: „შენ კიბილები დიმიტვალე მე უკვე“ (კიბილი-კბილი).

კიბილში გემეკვტა – იტყვიან, როცა რაიმე საქმელი არ ყოფნით, ძალზე ცოტაა. „აბა, რას გავძლებოდი ერთი ფუნჩხი შაქმლით. პირიც არ წიმიფქვილა, კიბილში გემეკვტა“ (ნ. ნიჟ. შდრ. მენტ. კბილის ქირათ არ ეყო) .

კისერი გიტეხია, კინჩხი მიგიყოლებია – რაც გინდა, ის გააკეთე! (შდრ. ონიანი, კინჩხი და კისერი უტეხია!“).

კისერს იტებს ჭურჭლები – ბევრი ჭურჭელია, იმდენი ჭურჭელია, სათავსოში აღარ ეტევს: „ძალს ქოთანში ჩავდებდი, აბა, მეტი სად იყო!... ახლა კისერს იტებს ჭურჭლები“.

კისრით დაკიდება –მოუცლელობა: „ამდენი საქმიმგონე, კისრით ვარ დაკიდებული“.

კისრიკუნტაზე შედგომა – სიხარულით ყირაზე დადგომა, დიდად გახარება. „შენ თუ მაგას მახარებ, კისრიკუნტაზე შევდგები“.

კისრიკუნტით გაგდება – კინწისკვრით გაგდება.

კისრის გადაგდება – 1. შეხვეწება, შევედრება. 2. გულზე წასვლა. 3. გარდაცვალება

კლავის მიცემა – 1. დახმარება, „ხელის გამართვა“ 2. ხის ჩარჩოს კიდეებში მინის ჩასადგმელ-ჩასამაგრებელი ღარობის ამოჭრა.

კლავის მოწევა –დადასტურება. „სამი სოფელი კლავს მოგიწევს, რომ მაგინმა არ იციან სიმღერა“ (ნ. ჯ. ნოდ. კლავი – მკლავი).

კლავს უწ(ვ)დიდა – ტოლს არ უდებდა. „სელიმ ფაშა სულთანს კლავს უწდიდა“ (ნ. ნიჟ.).

კოვზის გატეხვა – (ეთნ.) საქორწინო ზეიმის დასრულებისას დედოფლის მაყარი ქალებისათვის ჩამოატარებენ ფლავს და თაფლს (ან შაქარს), რომელზეც დევს კოვზი. ჩამომტარებელი ყურადღებით უნდა იყოს, რომ ვინმემ კოვზი არ „მიითვისოს“. თუ ეს მოხდა, წასვლისას ამ კოვზს გატეხენ და ისე დატოვებენ. ეს კი ოჯახისათვის დიდი სირცხვილია.

კოვზის დავარდნა – (გად.) ოჯახში კოვზის დავარდნას „იბრძნიან“ – სტუმარი მოვა, ვილაც გვეწვევაო. „შენ რა გითხრა, ცავ! რა დროს დიგივარდა კოვზი. სუფრის ადების დროს თუ გესტუმრა ვინცხა, ისეირე ახლა შენ! (მდრ. სახ. პური დაჯდა) .

კონდალში მოშლა – 1. გაავება, გაბრაზება. „კონდახიდან მოიშალა, მარა მემრენ თანდათან მოლბა“ (ნიჟ. ჯ. ნოდ.). 2. და-

უძლურება „ისე ვარ კონდალში მოშლილი, ლოგინამდეც ვერ მივალ“.

კოსმეტიკა გაუკეთდა – გაუმჯობესდა, შეკეთდა „კოსმეტიკა გაუკეთდა შემოტანილ რეფორმას“.

კპილს მთხოვს – გასალესია, დაბლაგვებულა. „ამ ნაჯახი კპილს მე მთხოვს“.

კრუზის პალო – ძალიან პატარა (შდრ. გლ., თითის სიგრძე).

კუდიტ ქვების სროლა – „ჭკუით იყოს, ისე არ ქნას, კუდიტ ქვების სროლა დავაწყებო“.

კუდი კუდზე აქვან გადასკნილი – (გად.) ერთმანეთს მხარს უჭერენ, ტყუილსა თუ მართალში ერთმანეთს ქომავობენ. „ერთმანებ სათოფეზე არ ეკარებოდენ, ხედავ, ახლა კუდი კუდზე აქვან გადასკნილი“ (ნ. ნიჟ. გლ., შარაშ. კუდის კუდზე გადასკვნა).

კუდის გამოსკნა – კუდის გამოკვანძვა (გად.) მოკურცხლვა, გაქუსლვა: „რომ გამეისკნა კუდი და მოწიწინდა, გაქრა იქაურობიდან“ (ნ. ნიჟ.).

კუდი სველი აქვს – დამნაშავეა: „დეანახე?! კუდი სველი რომ აქ, ხმაც ვერ ამეღო“.

კუდის მიწყვეტა – საქმის დაუბოლოებლობა.

კუდის მობმა – თამაშობებში წაგებულისთვის ქულების დაწერა (შდრ. კეხის დადგმა).

კუდი ღლიას, გზა ბარაქას – გადაკრული სიტყვა იმის მისანიშნებლად, მთქმელი ვისიმე დაყვედრების, დამუნათების ქვეშ არ ექცევა. „დალოცვა წასვლისას“. მშვიდობიანად იყავი... ვერ მოგართვეს... „მიბრძანდი, ვინ გაკავებს, კუდი ღლიას, გზა ბარაქას“ (შდრ. ქავთ. იმერ. ქუდი ღლიას, გზა ბარაქას) ნ. ნიჟ.).

კურცხლით ტორი აივსო – ძალიან ბევრი იტირა. „იტირა, იტირა, კურცხლით ტორი აივსო“.

კუჭით გასკდომა – გაბრაზება, გაბოროტება: „დედინაცვალი კუჭით სკტებოდა, რომ მისი შვილები არ იყვნენ ლამაზები“ (კუჭი-ბრაზი).

კუჭის მომხლევა – მოშიება, შიმშილის გამო „გამგელება“. „მოქცლია შენც, რას ეფერები. კუჭი რომ მიემხლევა ცივ ჭადსაც დაჯერდება“ (შდრ. გლ., შიმშილით კუჭი ეწვის).

კუჭის მოს(ვ)ლა – გაბრაზება, გაჯავრება, გაგულისება (ნ. გურ.).

ლ

ლავაშის გადაწიწვა – გაშლილი ხელისგულის მოქნევა. „გადაწიწა ლავაში და სტკლიცა ყურის ძირში“.

ლანგრით მირთმევა – იოლად საქმის მოგვარება, გამართლება.

ლარის დარტყმა – დაღარვა. ზომაზე დახაზვა გასახერხი მორისა. „ტოგონს (მორს) ლარი დავარტყათ, დავღაროთ და დავხერხოთ“ (ნ. ჯ. ნოდ.).

ლაყაფის თავის ქონა – გადამეტებული საუბარი, ყბედობა. „ამდენი ლაყაფის თავი რაფერ აქ მაგ ქალ, არ ვიცი“.

ლახვარის ჩაცემა – განადგურება, უხეშად მოქცევა: „ისე მწარე სიტყვები უთხრა, ლახვარი ჩაარტყა გულში“ (ნ. გლ.).

ლეკვები დაყრა – ყვირის, ბრაზობს: „მაი ლეკვებს დაყრის ახლა, რაფერ ჭყამჰალებს“.

ლეკვები ყეფენ მუცელში – ძალიან შია. „ისე მომემშია, რომ მუცელში ლეკვები ყეფენ“ (ნ. ძაღლის ყეფა არ მესმის; ნიჟ.).

ლექსების მოთლა – ბევრი ლექსის ზეპირად თქმა: „დაჟდებოდენ ქალები, მოთლიდენ ლექსებს“.

ლექსში გადგომა – შაირში შეჯიბრი. „თავს მეცყრიდით, ვითამაშებდით. ლექსში გადგომაც ვიცოდით“.

ლერაქის ყურში გამოჰკრა – კარგად დაიმახსოვრა, „შენი ნალაპარაკები ყველაფერი მაგან ლერაქის ყურში გამოჰკრა და დაგამღერებს ყველგან“.

ლეჩაქის წაძრობა – თუ ვაჟი რაიმე თავყრილობაში გოგონას ლეჩაქს გადააძრობდა, ის გოგონა მის რჩეულად ითვლებოდა და სხვა ვერ წაიყვანდა (შდრ. ონიანი, თავზე ლეჩაქის მოხდა).

ლობიოს შემთვარვა – კარგი მოსავლის მიღების იმედით, ახალგამოსული ლობიოს პარკების პირველად მოკრეფა ივლისის დასაწყისში ახალ მთვარეზე. „მერე რომ კაჲ მოსავალი იყოს, ჩურუგაჲს (ივლისი) პირველში, ახალ მთვარეზე ჩევალთ ბახჩაში და ლობიას შევმთვარავთ“.

ლოგინში შემწყრევა – აბრეშუმის ჭიის რომელიმე ასაკის დასრულება; მომენტი, როცა აბრეშუმის ჭია კანის გამოცვლას იწყებს. „ყაჭი (აბრეშუმის ჭია) ლოგინში შეემწყრევა... კანს გამოიცვლის“.

ლომის ხახიდან გამოღება – ძნელი, რთული საქმის გაკეთება.: „ფარა იმფერი რაცხაა, რომ ლომის ხახიდანა გამეიღო, არაა ადვილი სანახი“.

ლუკმის პირში ჩავარდება – გამართლება, ბედის მოულოდნელად გაღიმება. „ლუკმა რომ პირში ჩიგივარდება, შენც დაღეჭავ! შენ იგი მითხარი, მუშაობაში სული რომ აგძრება!“ (ნ. ლანგრით მირთმევა).

მ

მაგის დანადგამს ფეხს ვერ დაადგამ – ვერ შეძლებ, მასავით ვერ გააკეთებ. „ჭიაყელასავით რომ გეიწიწო, მაგის დანადგამს ფეხს მაინც ვერ დაადგამ“.

მაგი დედამიწაზე არაა – არაადეკვატურად იქცევა, საუბრობს: „ვერაა მაი კაცი, დედამიწაზე არაა“ (შდრ. ამ ქვეყნის არაა).

მაგისთვის წყალი აღმა მიდის – ურწმუნო, დაუჯერებელი, ჯიუტია. „რამდენიც გინდა, ელაპარაკე, მაინც არ გეგონებს – მაგისთვის წყალი აღმა მიდის“.

მაგის კაბის წვერ ვერ შეეხები – მიუკარებელი, მიუწვდომელია.

მაგის კრიმანჭული არ დეილევა – მიზეზი, გასამართლებელი ყოველთვის ექნება, თავის მართლებას შეეცდება: „ახლა რაღათ მინდა, რომ ჩამოვდეს. ჩამუა და მაგის კრიმანჭული აღარ დეილევა, თავს მომაკლიებს!“

მაგის ტაფა არა აქვს – უნარი, გამბედაობა არ შესწევს: „ენით ქვეყანას აქცევს, მარა საქმით მაგის ტაფა არ აქ, ხელიდან არაფერი არ გამშუვა“ (ნ. ნიჟ.).

მაგის ყისმი არ დარჩეს – მაგის სახსენებელიც გაქრეს, მოისპოს.

მადის გაქცევა – მადის დაკარგვა. „თუ დროზე არ ჭამე, გეგექცევა მადა“.

მადლია დანახვა (//შეხედვა) – ძალიან კარგია, შესანიშნავია. „შეიღებება. გამოვა ყვითელი, ყვითელი აბრეშუმში, მადლია შეხედვა!“ (შდრ. ონიანი, ავი თვალით არ ინახვება).

მადლს პირში აწურავდა – ამადლიდა. „რათ მინდა მაქფერი დახმარება, მადლს თუ პირში ჩამაწურავ!“

მამალი ქალი – ძლიერი, ყოჩაღი, გაბედული. „ბიბიაჲ ახალობაში დაქვრივდა, მარა მამალი ქალია, სამი შვილი მარტვამ გამოზარდა“.

მამალი წვენი – მთავარი, სუფთა ძირითადი წვენი. „პირველათ რომ გამოწურავ, იგია მამალი წვენი“.

მანიდში მიღება – (ეთნ.) ახალგაზრდა ვაჟის მამაკაცთა სიაში მიღება; „ვაჟი რომ 14-15 წლის გახდება, მას მანიდში მიიღებენ, ე. ი. ნადში დაპატიჟებენ“ (ნ. ჯ. ნოდ.).

მარაგის მიცემა – საფანლოს დამატება, წვნიან კერძში შესასქელებლად ფქვილის შერევა. „რძეს მუადულებთ, მივცემთ მარაგს ჟღთან ერთად, გუდჭრევთ დოში, გადავზილავთ და გაკეთდება ყურუთი“ (შდრ. საბა, მარაგი-საფანელი).

მაღალში გაქცევა (სიმღერისა) – სიმღერის ძირითადი ტონიდან – თავდაპირველი ტონიდან გადახვევა, მაღალ ტონალობაში გადასვლა (ნ. ნიჟ.).

მამღარი თვე– ოქტომბერი. „მამღარი თვის არისო, ბაბაჲ იმიფშვატებდა (ამიყვანდა) ხელში და მე მაფერხვებდა“.

მახარბლის მოსვლა – (ეთნ.) საქორწინო წესი. დედოფალი რომ მეფის სახლს მიუახლოვდებოდა, წინ გაგზავნიდნენ მახარობელს, რომელსაც თან პატარა ბალიში მიჰქონდა. „მახარობელს გამიეგებებოდა მეფე, რომელმაც ბალიში უნდა ჩამოართვას მახარობელს. მახარობელი ახლოს არ მიუშვებდა მეფეს და შორიდან ესროდა ბალიშს. მეფეს უნდა დაეჭირა ბალიში. თუ ვერ დაიჭერდა, დიდი სირცხვილი იყო. მახარობელს გაუმასპინძლდებოდნენ ტკბილეულით, შემწვარი ქათმით... გაისროდნენ თოფებს. მახარობელი დაბრუნდებოდა უკან, მაყრებთან. ამის შემდეგ დედოფალს მიიყვანდნენ ეზოსთან“ (ნ. ჯ. ნოდ.).

მახასის შეკვრა –სახლის სახურავის, ოთხი მთავარი კოჭის შეკვრა, შემტკიცება. მახასის შეკვრასთან დაკავშირებული ზეიმი და ოსტატებისთვის ძღვენის მირთმევა (ნ. ნიჟ.).

მახრაჲ ყავს მუცელში–გაუმამღარი ადამიანია, მომჰმე ადამიანია „რომ ვუყურებ, იმდენ ჭამს, უფრო მსუქანინა იყოს, მახრაჲ ყავს მუცელში“ (შდრ. გომბაქი ყავს მუცელში).

მეყველპურე კაცი – კაცი, რომელიც ოჯახს ძლივს არჩენს, თავს ძლივს ირჩენს. „რა ქნას, მეყველპურე კაცია, თავი ძვილაჲ გააქ“ (ნ. ჯ. ნოდ.).

მეშვიდე ცაზე ყოფნა – დიდი სიხარული. „მაი მეშვიდე ცაზეა ჯერ, კაია“.

მეშვიდე ცაზე ხტომა – (ნ. მეშვიდე ცაზე ყოფნა). „ისეა, რომ მეშვიდე ცაზე უხტის. ღმერთმა ახაროს“.

მეძიბნას წევდა – დაეძინა. „ისე დედალა, ქვაზე დაჟდა და წევდა მეძიბნას!“

მეწლეური ძროხა – ძროხა, რომელიც ორ წელში ერთხელ იგებს ხბოს. „ჩემი ძროხა მეორე-მეორე წელში იგებს ხბოს, მეწლეურია“ (ნ. ჯ. ნოდ.).

მზეზე მიცემა, მზის გულზე გაშრობა, გახმობა. „დაკაკლოლ ლობიას მზეზე მივცემთ, გავციცხავთ“.

მზეს მიგაკერებივ ცაზე – შეუძლებელს გაგაკეთებინებ.

მზე ჭიტს ვერ იზამს – მზის სხივი ვერ შეაღწევს. – მზე ჭიტს ვერ იზამს იმათების არეშარეში: ვერ შეიხედავს, ვერ შეაღწევს.

მზის ჩამოტანა ციდან – შეუძლებლის გაკეთება: „ვაი, ვერ გიცნივარ, დამჭირდეს, გიგიცინებ გგონია? მზეს ჩამოგატანებ ციდან“ (შდრ. მზეს მიგაკერებვ ცაზე).

მთა-ბარის გადაჯეკნა – სურვილისამებრ ყველაფრის კეთება, სურვილისამებრ ცხოვრება: „მთა და ბარი გადაჯეკვნე, გამეპარა ჩემი დროი“ (გადაჯეკნა–ფეხით მოთელვა).

მთვარეს აწპილებდა სილამაზით – „ზექიე ისე გადაქცეულიყო, მთვარეს აწპილებდა სილამაზით“ (შდრ. ამომ სულო და წად).

მთვარის შევახშმება – მთვარის ამოსვლის დაგვიანება: „ამაღამ მთვარე შეივახშმებს; სიბნელეში მოგვიწევს სიარული“ ნ. (ჯ. ნოდ.).

მიაშურეს მიწას – გარდაიცვალნენ: „ორივე ძმები რაფერ კად იყვენ და აღარ არიან... ადრე მიაშურენ მიწას“ (შდრ გლ., გულზე მიწა დაეყარა).

მიმიგორავს გული – გულით მინდა, ვესწრაფვი: „აქ რომ ჩემი ტოლები არ არიან, ბარში მიმიგორავს, მიმიტირის გული“.

მიმიტირის გული – ნ. მიმიგორავს გული.

მირასზე დამჯდარი – (ეთნ.) მირასი – მემკვიდრეობა, სამკვიდრო (აქ) ოჯახში მისული და დამკვიდრებული – „ოჯახს თუ ვაჟი არ ჰყავდა, სიძეს ოჯახზე მიიყვანდა და ჩაისიძებდა. ეს იყო მირასზე დაჯდომა“ (შდრ. ოჯახზე მისლა).

მისამშაბათება – საქმის ზედაპირულად, ზერელედ გაკეთება: „მაგანაც მისამშაბათა საქმე, რამე არ გამოვა“ (შდრ., მიფუჩეჩება საქმისა).

მის ვარესს ჯობია – სხვაზე უკეთესია, მოსაწონია. „კარგი რძალი გყოლია! – რა უშავს, მის ვარესს ჯობია!“ (მისი ვარესი<მისი უარესი<მისი უაღრესი. უაღრესი-უკეთესი. ნ. აბულ.; შდრ. სახოკია, – თავისზე უარესს ჯობია – ბევრი ვერაფერი შვილია. სახარბიელო თვისება არაფერი აქვს).

მისი დარი (არ) დადგა – (არ) გაუმართლა: „მთელი ცხოვრება წვალებაშია, მისი დარი არ დადგა“.

მისი ვახტი-ზამანი მოჭამა – დრო გაუვიდა (ნ. გლ., თავისი დრო მოჭამა).

მისლამდი გასცვინდება – მისვლამდე დაავიწყდება, ვერ დაიმახსოვრებს: „მაგას ნუ აგზანი, სწორად ვერ მიიტანს სიტყვას, მისლამდი გასცვინდება“ (ნ. ჯ. ნოდ.).

მის-მის იერზე მოყვანა – მოწესრიგება: „ისე არ დავწვებოდი – ყოლიფერს მის-მის იერზე მოვყვანდი“.

მის საყფს ყფს – თავის სათქმელს ამბობს.

მის ჭიას ახარებს – ნ. გლ., თავის ჭიას ახარებს. „მთელი დღე ასე დამჟდარი რაცხას ჩორკნის, ვითომ რამეს აკეთებს – მის ჭიას ახარებს“.

მიფუჩეჩება საქმისა – საქმის ზედაპირულად გაკეთება. „ცოტა მიფუჩეჩება იცის საქმის მაგ ქალმა“.

მიცვალებულის შენახვა – მიცვალებულის დამარხვა, დასაფლავება: „მიცვალებულის შენახვა დღეს უნდა მოხდეს, ხვალ არ ვარგა“ (ნ. ჯ. ნოდ.).

მიწა ავად გახდა – მიცვალებულთა ხშირი დაკრძალვით მიწა შეწუხდა, დაიღალა, გაფუჭდა. დატირებიდან: „იქით რას ეშურები, შენს ცოლ-შვილს ვის უტიფე, დედიო! ამდენი ახალგაზრდების შენახვით მიწა ავად გახდა დედიო!“ (შენახვა-დასაფლავება, დაკრძალვა).

მიწა გახდა–გარდაიცვალა: „სამი წელიწადია, მიწა გახდა!“ (შდრ. გლ., გულზე მიწა დაეყარა).

მიწაზე აღარ დადის – გაამაყებული, გაზვიადებულია. „გაბღინ-ძულა, მიწაზე აღარ დადის“

მიწაზე ფეხს არ აბიჯებს“. ნ. მიწაზე აღარ დადის.

მიწას არ ასცილებია – პატარაა, ჯერ არ გაზრდილა. „რა დროის შენი ცოლია, ჯერ მიწას არ ასცილებიხარ“ (ნ. ჯ. ნოლ.).

მიწას არ დავაღამებო – მიწას არ მოვაცდენთ: „იმ ფიჯი (ცუ-დი) კარტოფილისთვის მიწას კი არ დავაღამებო“.

მიწასთან გაასწორა – გამოლანძღა: „ისეთები უთხრა, ისეთები, მიწასთან გაასწორა“ (ნ. გლ.).

მიწის გაშვება – საყანე მიწის მოუხნავად დატოვება დასვენების მიზნით: „სამი წელიწადია გაშვებულია აჲ მიწა. გაისათ გაკვავოთ და დავთესოთ“ (ნ. ჯ. ნოლ.).

მიხვეული ავადმყოფი – ძალიან მძიმე, სიკვდილის პირას მყოფი ავადმყოფი: „კი უნდა ჩამოსვლა, მარა იმფერი მიხვეუ-ლი ავანტყოფი ყავს, ვერ ტიებს“ (შდრ. სახ., – გადადებული ავადმყოფი).

მკლავის გაშლა/ხელის გაშლა–გათავისუფლება, თავისუფლად ყოფნა: „გაწამაწიაშია მთელი მისი ცხოვრება, ახლა ძლივს გაშალა მკლავები. ესეც ხეირია“

მოაჭვარტლებს საქონელი – საქონლის მომავალ ჯოგს რომ დაინახავენ, იტყვიან, – „მოაჭვარტლებს საქონელიო“ (ჭვარტ-ლი – შავი ფერფლი).

მოზადრეს თავი – თავი მოკვეთეს. „მეფემ გაატანა და ვეზირებმაც მოზადრეს თავი“.

მოზრუნება იქიდან – სიკვდილიგან თავის დაღწევა, გადარჩენა. „ძვილი მოვზრუნდი იქიდან, გადავრჩი“.

მოგულაგება – დამალვა, საგულდაგულოდ შენახვა. „რომ მიხვდა, უნდა დამიჭირონო, ბეჭედი მუაგულავა ცხელ ლობიაში“.

მოვდა ენაზე (კალკი – თურქ. dile geldi)– ალაპარაკდა, ენა აიდგა: „ამ დროს ჩიტმა მოვდა ენაზე“ (ნ. ნიჟ.).

მოკვდებოდა (ჭამაში... ტირილში... ბრუნვაში...) – ზომავზე მეტს, ბევრს (შეჭამდა... იტირებდა... იტრიალებდა...).. „ბალანაჲ მოკტებოდა ტირილში და მაჲ ერთს არ წუხედავდა“... „მოკტებოდა წისქვილი ბრუნვაში და მისით არ გედეგდებოდა“ (გადაგდება-წყლისთვის მიმართულების შეცვლა, წყლის სხვა არხში მიშვება).

მოკტი-მორჩია – ადამიანი, რომელიც ხშირად ავადმყოფობს: „მაქვერი მოკტი-მორჩია რძლათ არ გამოგვადგება; მაჲ ქალობას ვერ იზამს“.

მომიათ შენახვა – გულმოდგინედ, საგულდაგულოდ შენახვა. (მომიათ-მუმიად) „მერიემი ერ თვეს ისე მომიათ შენახული მყავდა, რომ ვერვინ ვერ გეგო“ (შდ. შარაშ.; ნ. ნოღ.).

მონასტერი აირია –უწესრიგობა, ქაოსია. „ისე აირია მონასტერი, კაცი პატრონს ვედარ ცნობდა“.

მოსავალი მაინც მოვა – რაც უნდა მოხდეს, მაინც მოხდება (შდრ. ნაწერი არ წეიშლება).

მორის აწონვა – მორის დახაზვა ფიცრის ზომავზე, დაკიკილვა: „მორის აწონვა ასე ხთება: მორს ჯერ დაკიკილვენ... აწონილ მორს ისკელეზე (სახერხი დაზგა) დაამაგრებენ და დახევენ (დახერხავენ)“.

მოსახლობაში ჩაბმა – დაოჯახება: „რომ ჩიებმება მოსახლობაში, მერე მიხთება, რაა ოჯახი!“

მოუჭმელი მიწა – გამოუფიტავი, ნაყოფიერი მიწა: „სახარიაში მოუჭმელი მიწებია. ვორ წელიწადს კიდეც ივარგებს ყანად“.

მოჩქითა პურის კაკალივით – არ იცოდა, რა ექნა. დაიბნა: „დეიბნა, მოჩქითა პურის კაკალივით“.

მოწისქვილება – საქმის დასრულება: „ერთი ახლა მოვწისქვილეთ და სხვაზე მერე ვიფიქროთ“ (მოწისქვილება–წისქვილში საფქვავის ბოლომდე დაფქვა).

მოწიწული ლუკმა – მორიდებული, მოკრძალებული, მცირე ლუკმა:

„ორყურა ქვაბში ჩავყარე,
კაპჭანაში აღარ იყო.
ასი კაცი ვერ შეჭამდა,
მოწიწული ლუკმა იყო.“

მტერის ნაცარში აყენება – თავმოწონება: „რა ბიჭი ვარ, რა ბიჭი, მტერს ვაყენებ ნაცარში“.

მტრობაში მოყვრობის ჩამოგდება – უთანხმოებაში მყოფ ოჯახებს ან გვარებს შორის, მტრობის მოშლის მიზნით, ხდებოდა დანათესავება: ერთი ოჯახის ქალს უთანხმოებაში მყოფ მეორე ოჯახის ვაჟს მიათხოვებდნენ. ასე ხდებოდა მტრობის მოშლა, „მტრობაში მოყვრობის ჩამოგდება“.

მუშაობის დაწყალობება – შრომის დამადლება: „თუთუნს რავა მოვერიდები და დავაკლებ მუშაობას, რავარ დუუწყალობებ მუშაობას“.

მუცეთი ხე – ყოველწლიურად ნაყოფის მომცემი, მოუცდენელი. „ხე, სხალი, მუცეთია, არ მახსოვს ჯერ, მაგას რომ არ გამეხსხას“ (ნ. ჯ. ნოდ.).

მუცელი სტკივათ – მათაც უნდათ, სურვილი აქვთ. „ხინო მუხა-ჯირათ მია, ჭახათლებს სტკივათ მუცელი“ (შდრ. გლ., მუცლის ტკივილი).

მუცლით ხერხემალს იფხანს – ძალიან სუსტი, გამბდარი: „ისეთი გამბდარია, რომ მუცელის კანი აქვს ხერხემალზე მიკრული, მუცლით ხერხემალ იფხანს“. (შდრ. გლ., ფერდი ფერდზე აქვს მიკრული).

მუცლის გასკდომა – გამოძლომა. „იმდენი ჭამა, მუცლის გასკდომამდე, გადაძლომამდე“.

მუცლის დირეგი – საკვები საშუალება, საზრდო. „ლობიაჲ და ჭადი-ჩვენი მუცლის დირეგი რომ შამოგველევა, ჩემო ბიძია, ჰე, მაშინ თქვი – მომემშიავო!“ (ნ. ნიჟ.).

მუცლის თასმა – დიაფრაგმა: „ძალაჲნ გავძეხ, მუცლის თასმა მეტკინა“. (ნ. ჯ. ნოდ.).

მშრალზე დატევა – მოტყუება: „გუშინ დამპირდა და დღეს მშრალზე დამტია“ (ნ. ნოდ.).

მძივის აკინძვა – სიცოცხლის ბოლოს დადგომა: „ჩემი მძივი ეიკინძა, წლები გიმიფრინდა, გეიქცა“ (შდრ. ჩემი ქეტო დალეულია“).

მძიმე ჭაპანს ეწევა – მძიმე ცხოვრება აქვს: „მაი საცოდვაჲი ქალია, მძიმე ჭაპანს ეწევა“.

მწარე დედაბერი – ღრმად მოხუცებული ქალი: „ამფერი მწარე დედაბერი ჩვეელი იქ და, რათ გინდა! არც უკითხავს, რამე ხომ არ გინდაო“.

მწარე ობოლი – 1. უდედმამო. 2. მარტოსული, „ქმარი რომ აღარ გეყოლება, მერე მწარე ობოლი ხარ“.

მწუთხეა შენზე – შენთვის შეუფერებელია, მისი ღირსი არა ხარ: „იმ სილამაზე ქალი შენ რაფერ წამოგყვება, მწუთხეა შენზე! (ნ. ჯ. ნოდ.).

მხარის მიცემა – დახმარება: „გუგუნავას ქალი ვსთხუე, მოწყობილებს მიე მხარი“ (ნ. ონიანი).

მხრები აწყობილი აქვს – მომზადებულია, ეჩქარება: „ვეხვეწები, მომეხმარე-მეთქინ, მარა, შეასმენ? წასასლელათ მხრები აწყობილი აქ“.

მხრების არეკვა – წყენის დაფარვა, არშემჩნევა: „გოგო გაჩთება, ფაფას გავაკეთებთ. ციცაფს ფაფაა, მარა, ეარეკონა მხრები“ (შდრ. გლ., მხრების აწევა, მხრების აწურვა).

ნ

ნაბრიყვები სიმინდი – სიმინდის უნაყოფო მცენარე: „ზოგჯერ სიმინდი ჩალად წავა და ტაროს არ გაიკეთებს. ასეთ დროს იტყვიან – „იბრიყვა სიმინდმა, ნაბრიყვები სიმინდიაო“.

ნადზე გამოტება – ნადის დაპირებულ სამუშაოებზე გამოკლება. „ნადზე გამოტება დიდი სირცხვილი იყო. ერთი კაციც რომ გამჟღავნებოდა ნადს, ი ნადი დეიშლებოდა“.

ნადირის დაკოჭვა – (ეთნ.) საქონელი რომ გარეთ დარჩება, ნადირმა რომ არ შეჭამოს, ნადირი უნდა „დაკოჭონ“: აიღებენ მაკრატელს, სავარცხელს, დანას და კლიტეს, ყველაფერს სარტყლით შეკრავენ და შემდეგ შეულოცავენ. შელოცვის შემდეგ შეკრულებს კერასთან დადებენ და ზედ ქოთანს დაამხოვენ. ამას ინახავენ მანამ, სანამ საქონელი არ მოიძებნება“ (ნ. ჯ. ნოდ.).

ნადურს არ იტყვის – არაფერი აქვს დასაწუნი, ნაკლს ვერ მოუძებნი, ... ამას რას უწუნე არ ვიცი... „ნადურს“ არც ად იტყვის და არც იგი“.

ნაკვერცხალი დაღვა – მჭადის გამოცხოვისას საჯზე –კეცის სახურავ თუნუქზე – თუ ნაკვერცხალი ვერტიკალურად გაჩერდა, იბრძნიან, სტუმარი მოვა, ვიღაც გვეწვევაო (შდრ. კოვზი დავარდა; სახ., პური დაჯდა. ნ. ნიჟ.).

ნალები დაძრობა – დროის შერჩევა, მოულოდნელად ზიანის მიყენება. „მაგი დიდი მოხერხებულია, ნალების დაძრობა იცის“ (ნ. ჯ. ნოდ.).

ნალი ვჭედე– (გად.) ღამით ძლიერ სიცივეში, ყინვაში როცა მოხვდება ადამიანი, გასაჭირს გამოხატავს გამოთქმით: დილამდე ნალი ვჭედეო (ნ. ნიჟ.).

ნამბულით დათესილი – დანამულ, ნოტიო მიწაში, უფრო წვიმით გაჟღენთილ მიწაში დათესილი. „ნაწვიმარზე დათესილ ყანას ნამბულით დათესილს ეძახიან“.

ნამეტარი – ზედმეტი, ზომაზე მეტი. გოგონების შემდეგ, ბიჭის მოლოდინში გაჩენილი კიდეც ერთი გოგონა. „ორი გოგო ყავდა, მესამე გჴჩთა, ნამეტარი“. „ყველას რაცხა წამშლე, მარა ფეხსაცმელი დამავიწყდა ნამეტარის“.

ნამსობა სახლი – უპატრონო, გაუკაცრიელებული სახლი, რომლის პატრონებიც დაიხოცნენ: „თუ ნამსობაჲ სახლია, იმ ადგილას სახლს აღარ ააშენებენ, ბატონიანია, ავი სული დეიპატრონებსო!“

ნაპარტლათ დატოვება – უპატრონოდ, უყურადღებოდ დატოვება: „ნაპარტლათ რუმ დატიეფ, ძროხა შეიპარება შით“.

ნაპირის გატანა – 1. ყანის გათოხნის ან მოსავლის აღების დროს რიგის ერთი თავიდან მეორეში, ბოლოში, გასვლა: „ნაპირი ჩქარა გევტანოთო, თოხს ჩქარ-ჩქარა დავცხებდით“. 2. ვერტიკალურ საქსოვ დაზგაზე ერთი რიგის მოქსოვა. „ნაპირს ხელით გევტანდით და ფირფიტით მჴუჯებდით“.

ნაპირის ხელეპირათ წაღება – მარგვლის, გათოხნის დროს გასამარგლავი ადგილის, ნაპირის, თანაბრად, ერთნაირად მარგვლა: „ერთქვანებს მიყევით, ნაპირი ხელეპირათ წევლოთ“ (ნ. ჯ. ნოდ.).

ნაფუზარის განედლება – სახლ-კარის, კარმიდამოს განახლება.
„უფროსმა ბიჭმა ივარგა, ჩამოვდა, ცოლი მეიყვანა და ნა-
ფუზარი გაანედლა“.

ნაქსოვი ადგილს ნახავს – მოითელეობა: „მოქსოვილს მოთელავ.
ნაქსოვი ადგილს ნახავს და ლამაზი გახდება“.

ნადველას ჩაქცევა – მაგრად ცემა: „თუ არ გინდა, ნადველაჲ ჩა-
გიქციო, თავი დამანებე“ (ნ. ჯ. ნოდ).

ნაჩარ კინას ჯევერი არ ექნება – ცუდ რკინას ბრწყინვა არ ექნება.
„რაფერც ნაჩარ კინას ჯევერი არ ექნება, ისე გლახა საქმე-
საც კად ბოლო არ ექნება“.

ნაცარს ვერ დააგროვებს ერთ ადგილზე – ვერ დაბინავდება.
ფეხს ერთ ადგილზე ვერ მოიკიდებს. „სოფლიდან ხან ჰად
წევდენ, ხან ჰად, მარა მაგენი ნაცარს ვერ დააგროვებენ
ერთ ადგილზე“.

ნაწერი არ წეიშლება – ნ. ღმერთის დაწერილი არ წეიშლება.
„კაცს, რაც გაწერია, ის დეემართება, ნაწერი არ წეიშლება“.

ნახავ შენ სეირს – ნახე რაც დაგემართება, „თუ მოგისწარი, ნახავ
შენ სეირს“.

ნაჯდომი გოგო – ხანგასული, გაუთხოვარი, დედ-მამის სახლში
მყოფი შინაბერა: „ნაჯდომი გოგოა, მარა არც შენ ხარ პა-
წა“.

ნემსივით დაკარგვა – დავიწყება: „მავიწყაი გაეხდი, ნემსივით
დემეკარგა, ვეძებ ტვინში, არ მაგონდება“.

ნემსის ამოგდება – კერვა, კერვის დაწყება: „ამჟღადე ნემსი, ხომ
ხედავ, გასაკერი გაქ?!“ (ნ. ჯ. ნოდ.).

ნემსის ყუნწში გაძრომა – ყველაფრის მოხერხება, შეძლება: „იმ-
ფერია, რამე არ დუუკავდება, ნემსის ყუნწში გაძრება“ ნ.
გლ., ონიანი).

ნერწყვათ არ ეყოფათ – არასაკმარისია. „ამდენ კაცებს ეს საჭმელი რას უზამს, ნერწყვათ არ ეყოფათ!“

ნიზლავის დადება – სანადღოს განსაზღვრა: „თუ არ გჯერა, მოდი, ნიზლავი დავდვით“ (ნ.ჯ. ნოდ.).

ნიკორის დადება – სახელის გატეხა, შერცხვენა (ნიკორი, ჩვეულებრივ, საქონლის შუბლზე გამოსახული თანდაყოლილი ნიშანია. ასევე, შეჯიბრებითი ხასიათის თამაშის დროს წაგების შემთხვევაში მოწინააღმდეგეები ერთმანეთს მურით გათხუპნიან – შუბლზე ნიკორს დაადებენ): „ჭკვიანად იყავი. ერთი თუ დაგედვა ნიკორი, მერე, იცოდე, ველარ მოიშორებ“.

ნიორწყლად აქცია – აურ-დაურია, გაანადგურა. „წამოკრა ფეხი და ამ ჩემი დაწყობილი, ნიორწყლად აქცია“.

ნიღრის გადამბრუნება – დანაპირების ან ჩანაფიქრის, განზრახვის შეუსრულებლობა. „მე და სულიკომა ქორწილში ვაპირებდით, მარა გადამბრუნა ნიღრი და დამტია წუუსლელო“.

ნიშნის მიცემა – შდრ. თვალის მიცემა, თვალში შესვლა, შეთვალვა. „ჩემმა ბალმა წელს ნიშანი მისცა (||ნიშანი ქნა)“. ამბობენ აბრეშუმის ჭიაზეც, როცა ახალგაკეთებულ, ახალმოხვეულ აბრეშუმის პარკს დაინახავენ. „ცახზე პარკი დევნახე. ჭიას ნიშანი მწცია“.

ნიშნის წინდა – (ეთნ.) საპატარძლოს მიერ საქმროსთვის მოქსოვილი წინდა (შდრ. ბეჰის წინდა)

ჟ

აღის მოგდება – ჭურჭელში ჩასხმული რძის ზედაპირზე ნაღების მოდება, გამოყოფა. „რძეს გობზე დავასხამ და დავდგამ. რძე მაღს მოიგდება“ (მაღი-ცხიმი).

(I)

ოკო-ბოკო ლაპარაკი – უსამართლო, უთავბოლო საუბარი. „ოკო-ბოკო ლაპარაკი იცის. მაგის ოსტატია“.

ომების აყენება – ჩხუბის, დავი-დარაბის, ცხარე კამათის გამართვა.

ომრის დაღევა – სიკვდილის მოახლოება. „გეირბინა დღიებმა, ჩემ ომრმა დეილია“ (ომრი–სიცოცხლე. შდრ. მძივის აკინძვა).

ომრი დეიტირა – ბევრი იტირა: „ბაღვმა იმდენი იტირა, რამე არ ეშველა, ომრი დეიტირა“.

ორთალუღლის აყენება– ააყენა ორთალუღი.

ორი პარასკევი დარჩენია – სიკვდილი მოახლოება: „რაცხა ორი პარასკევი დარჩენია, მარა მაგის გაჩერება მაინც არაა“ (შდრ. გლ., წინ ორი პარასკევი აღარ უდევს).

ორი ღერი სიტყვა – აზრი, მოსაზრება. „მე გეტყვი კიდომ ორ ღერ სიტყვას“.

ორმოსავალა – ზოგიერთი მცენარე (მაგ. ლეღვი), წელიწადში ორჯერ ასწრებს ნაყოფის მოცემას. ასევე, არის აბრეშუმის ჭიის ჯიში, რომელიც წელიწადში ორჯერ ასწრებს პარკის მოხვევას (გადატ.) ეძახიან მოხუცებულ ქალებსაც, რომლებმაც ჯერ შვილები გაზარდეს და შვილიშვილებსაც ზრდიან. „ორმოსავალა არიან დედაბრები: ჯერ შვილებს ზრდიან, მერე – შვილიშვილებს“.

ორმოში ზის – არაფერი გაეგება: „მაგითვინ სულერთია, ორმოში ზის“ (შდრ. ჭურში ზის).

ოფოფები დაყარა – გაბრაზდა: „მაი რა მითხარიო, ოფოფები დაყარა“.

ოქროძს კერძის დადგმა – ყველაფრის კარად გაკეთება: „ოქროძს კერა რუმ დუღვა, ზოგ დედამთილს მაინც არ მოწონს“.

ოქროში გაყინვა – ოქროს ბევრი ნივთის და სამკაულის ტარება:
„მერე მუაწყო ეს ბიჭი ისეთათ, რომ ოქროში გაყინა
თლათ“ (ნ. ჯ. ნოლ.).

ოყადი სიტყვა – წონიანი, ღირსშესანიშნავი, ავტორიტეტული
სიტყვა, აზრი (შდრ. ოყა წონის ერთ.: 1 კგ 360 გრ. ოყიანი
სიტყვა თქვა, ოყიანი ლაპარაკი იცის– წონადი, მოსაწონი
სიტყვა, საუბარი იცის).

ოყიანი ქალი – დინჯი, გაწონასწორებული ქალი: „კაი ოყიანი,
წონიანი ქალია“.

ოჯალის დირეგი – (თურქ. ocak – ოჯახი, თურქ. Direk – ბოძი) –
ოჯახის ბოძი, დედაბოძი; ოჯახის ის წევრი, რომელსაც
ყველაზე მეტი ამაგი მიუძღვის, – ამაგდარი ან ოჯახის
მემკვიდრე ვაჟი, ოჯახის ბურჯი. „აწმისიქით რა მაჩივ-
ლებს, ტერ-მოყვარეს ჩემი ხასანაჲ გაცემს პასუხს – ჩემი
ოჯალის დირეგი“ (ნ. ნიჟ).

ოჯახი წინ წასწია–გაადლიერა ოჯახი (შდრ. ნაფუზარის განედ-
ლება).

ოჯახს სული მოათქმევია – ოჯახი მოაღონიერა (ნ. ოჯახი ფეხზე
დააყენა).

ოჯახი ფეხზე დააყენა – ოჯახი გაადლიერა: „მოხერხებული ქა-
ლი გამოდგა, ოჯახი ფეხზე დააყენა“.

ოჯახზე დაჯდომა – ნ. თავზე დაჩეჩება: „ჟუკამ გეგო, თამაზის
ცოლი მოყავსო. მაინც სირცხვილი მაქ ნაჭამიო, ადგა და
თამაზის ოჯახზე დაჟდა“.

ოჯახზე მისლა – (ეთნ.) ზედსიძედ შესვლა ოჯახში. ქმრის სამუ-
დამოდ მისვლა ცოლის ოჯახში. „თუ კაცს ერთის მეტი
შვილი არ ყავს და იგიც ციცაჲა, მაშინ სიძეს მეფეყანებენ
ოჯახზე“ (ნ. ჯ. ნოლ. შდრ. მირასზე დამჯდარი).

პაპუცების დაყრა – სწრაფად გაქცევა. „პაპუცებს ყრიდა გზაზე“ (პაპუცები – ფოსტლები).

პენციის დაბმა – (კალკი – თურქ. aylık bağlamak -ჯამაგირის დაბ-
მა) – ჯამაგირის, გასამრჯელოს დანიშვნა–პენსიის დანიშ-
ვნა. „ნურსათ იარებით, მე პენციას დაგიბამ და იყავით
ჩემთან“ (ნ. ნიჟ.).

პეპლები უფრინავს თავში – მსუბუქი ქცევა, საუბარი აქვს. „ხომ
იცი, ვერაა მაგი ქალი, პეპლები უფრინავს თავში ჯერ კი-
დევ“.

პერანგის გაძრობა – კანის გამოცვლა. აბრეშუმის ჭია 40 დღის
განმავლობაში ოთხჯერ იცვლის კანს – იძრობს პერანგს.
„ბობლები გეიძრობენ პერანგებს“ (შდრ. გველმა პერანგი
გაიძრო; კანიდან ამოსვლა; კანის გამოცვლა).

პილპილი აქ ნაჭამი – ენამწარეა: „დღეს იმფრა გლახა გუნებაზეა,
პილპილი აქ ნაჭამი“ (შდრ. ენა პილპილში აქვს ამოვლე-
ბული).

პირზე ლაგამის ამოდება – გაჩუმება. „მაგას პირზე ლაგამინა
ამოდო. ისე ვერ ხდება, რომ გაჩერდეს“ (შდრ. გლ., ენაზე
კბილს დაიდგამს; პირს დაიდუმებს).

პირზე ფეხის დადგმა – შერცხვენა. „სტუმრებს ვერ ხედავთ? რას
დასუნსულობთ, რამე არ გააფუჭოთ, პირზე ფეხი არ და-
მადგათ, გო!“

პირზე ცხრა კლიტე აქ დასადები – გასაჩუმებელია: „მაგი იმფე-
რებს ლაყბობს, პირზე ცხრა კლიტე აქ დასადები, ოჯახ-
ქორს“.

პირიდან გაქნევა – ნ. პირიდან წაგდება.

პირიდან წაგდება –პირიდან გადმოგდება. „შვიდი წლის ღვინო
ვასვათ და ბეჭედს წააგდებს პირიდან, გეიქნევს პირიდა-
ნო“.

პირის ამოზავა||ზახის ამოზავა – გაჩუმება. „მაგი ვერ ხდება, პირი აქ ამოსაზავი“.

პირის ახვევა – ხის ნასხევი შტოების შემოწყობა ჭიისათვის პარკის გასაკეთებლად. „ნიშანს რომ ნახავენ, ყაჭს პირს ჟხოვენ“ (ნ. ნიჟ.; ნოდ.).

პირის ამოღება – ფიცრის თავსა ან ბოლოში მეორე ფიცრის ჩასამაგრებელი ღარის ამოჭრა. „სიფთხილიზა სარტყელს პირს ამჟღებდენ და ჭერის თავი შედიოდა შით“ (ნ.ჯავახ., 46).

პირის ახდა – (ეთნ.) დედოფლისათვის პირსაბურავის, პირბადის ახდა. საქორწინო ვახშმის მიღების შემდეგ, დედოფლის ძმას ან ბიძაშვილს შეიყვანდნენ დედოფლის სამყოფო ოთახში, სადაც პირისამხდელი ყამის, ხანჯლის წვერით დედოფალს დუაღს – ქალის საქორწინო თავსაბურავს – ახდიდა.

პირის აწყობა – მოლესვა. „ქლიბი იქონიე თან, თოხს პირის აწყობა დასჭირდება“ (ნ. ჯ. ნოდ.).

პირის არ მიცემა – დაულაპარაკებლობა, უბრად ყოფნა, „ცხვირი შიმიბრუნა, რა უნდა არ ვიცი, მეც პირი არ მიმიცია“.

პირი აქეთ უკავია – სიცოცხლის ნიშან-წყალი ეტყობა, სასიცოცხლოა. „შევატყვე, გადარჩება, პირი აქეთაღ უკავია“.

პირიპირზე მივეყები – შეძლებისდაგვარად, მოხერხებულად მივეყები, ვაკეთებ. „რაცხას ვახერხებ, პირიპირზე მივეყები“.

პირის გადაქნა – ნაქსოვის ბოლო რიგის ისე მოქსოვა, რომ ნაქსოვი არ დაირღვეს, ქსოვის დასრულება. „წინდას მოქსოვ, ყელს გადაადგამ, პირს გადაჟქნი და დამთავრდება!“ (შდრ. თავის მოთიკვრა, თავის ამოხოვა).

პირის გამოღება – ფიცრის კიდეების სიგრძეზე ამოღარვა. მშენებლობისას იატაკი, კედლები პირგამოღებული ფიცრებით აიწყობა. ღარივით სიგრძივ ამოღებული ფიცრის კიდეები ერთმანეთში ჩაჯდება (ნ. პირის შესმა), ერთმანეთს მოერგება და ჭუჭრუტანებიც აღარ ექნება.

პირის გემოს გამადევარი – მსუნაგი, სუსნია, წუწკი, პირის გემოს მოყვარე (ნ. ნიჟ.).

პირი სირცხვილს გაჰმევს – საჰმლის შეთავაზებაზე უარი არ თქვა; მამლარიც რომ იყო, მაინც შეჰამ. „მამლარიც რომ იყო, სუფრასთან ჰამაზე უარი არ უნდა თქვა, თუარა პირი სირცხვილს გაჰმევს!“

პირის მიცემა – 1. პირობის, სიტყვის მიცემა. 2. აბრეშუმის ჭიისთვის ტოტების დაწყობა, რომ პარკი გააკეთოს. „გუშინ ყაჰს პირი მივეცი. დეჟყო პარკის კეთება“ (ნ. ჯ. ნოღ.). 3. თავზე ხელის გადასმა, გათამამება, წაქეზება, განებივრება, „ბაღანას რომ პირს მიცემ, თავზე წამოგაწუწდება“ (ნ. ნიჟ.).

პირის მოკვრა – 1. მოქსოვილი წინდის ყელის მოთავლა. „წინდის ყელს მოვქსოვთ და პირს მუჟკრავთ“. 2. ზრდადასრულებული ჭიის მიერ საკვების მიღების შეწყვეტა და პარკის ამოსახვევად მომზადება. „დიდი კანიდან რომ ამუა, ყაჰს პირს მუჟკრავდენ“.

პირის მოჭრა – დათესილი კულტურული მცენარის ამოსვლამდე დათესილი ნაკვეთის გამარგვლა. „დავთესდით ბრინჯს. ოთხ-ხუთ დღეში პირს მუაჭრიდით: ბალახი თუა, გაასუფთონა“.

პირის სანახავი – (ეთნ.) ქორწილში, დედოფლისათვის პირის ახდის (ნ.) შემდეგ სიძის-ნეფისა და სხვა მნახველების მიერ დედოფლისათვის მირთმეული საჩუქრები (შდრ. გლ. პირის სანახავი).

პირის შესმა – ნ. პირის გამოღება.

პირის წაწეობა – ძაფგატარებული სავარცხლის საქსოვ დაზგაში ჩასმა, ჩადგმა. „ძაფს ჩავდგამთ საფრეეოში (საფეიქრო დაზგა) და წუწუწოვით პირს საქსოვად“.

პირი ქვისკენ მიქნია – მოსაბოდიშებელი გამოთქმა. იტყვიან ცუდი, საშინელი შემთხვევის (სიკვდილი, ავადმყოფობა...) გადმოცემისას ან სალანძღავი თუ გასაკიცხი სიტყვების ხსენებისას, ვითომ ეშმაკეულმა ძალებმა არ ისმინონ და ეს შემთხვევა ჩვენზეც არ გავრცელდესო. „პირი ქვისკენ მიქნია, ჯანდაბაშიც წასულხარ-მეთქინ, მივამახე და მოვშორდი იქაჲრობას“ (შდრ. შარაშ. ქარს და ბორიას ველაპარაკები ნ. ნიჟ., ჯ. ნოდ.).

პირიც არ წამიმფქვილა – როცა რაიმე საჭმელი არ ყოფნით, იტყვიან, პირიც არ წამიმფქვილაო – არ მეყო! (შდრ. კიბილში გემეკეტა; კაიშ., პირის ქარადაც არ გამიარა ნ. ნიჟ.).

პირი ხისკენ მიქნია – ნ. პირი ქვისკენ მიქნია. პირი ხისკენ მიქნია და, ბიბილადს (მამიდა) უმცროს შვილიშვილს სისხლის გაწყალება ჰქონია“ (შდრ. ქვას ეყურებოდეს).

პირობის გამოსვლა – თანხმობის მიღება. „პირობა რომ გამოვიდოდა, ქორწილის დღეს დანიშნავდენ“.

პირსავსე ყანა – კარგად, ერთნაირად ამოსული ნათესი: „სქელი ყანა პირსავსე ყანაა, გაპიპინებული“.

პირში წყლის გამორება – (გადატ.) წესიერად დალაპარაკება, თქმა. „სანამ რამეს იტყოდე, პირში წყალი გამეღრე“.

პირში წყალჩაყენებული – გაყუჩებული, უთქმელი, გაჩუმებული: „გაკარნალებულია, რამეს აღარ ამბობს, პირში წყალი აქ ჩაყენებული“ (ნ. ონიანი, პირში წყლის ჩაყენება).

პირში ხეშის არ ჩასვლია – არაფერი უქამია (შდრ. გლ. პირში ნაწილი არ ჩასვლია).

პრასა ქუდს მოიხდის – სიმწიფეში შესული პრასის სათესლე თეთრაპკიანი პარკი სკდება და თესლებიანი ფუნჯი ქოჩორივით გადმოიშლება. ამაზე ამბობენ,–პრასამ ქუდი მოიხადაო!

პრასის კუდზე დამიწერა – მწარე სიტყვები მითხრა.

პურის გადამეტება – პურის ნათესის, ყანის გადამწიფება. „დროზე თუ არ ეძლე, კაკალი ჩეჩებას (ცვენა) დეაწყებს, გადამეტდება პური“.

პურის კაკლის გამოშუმება – სიმწიფის დასრულება, კარგად დამწიფება. „10-12 დღეს გავაჩერებთ ზვინს. გამოშუმდება პურის კაკალი“.

პურის დაორსულება – პურის თავთავში მარცვლის ჩასახვა. „როიზდება პური და ახალათ თავს იკეთებს, ვიტყვით, – პური დაორსულდა, თავინა გეჟკეთოსო“.

პურმარილი აქვთ გაშლილი – უხარიათ, ლაღობენ. „მე აქით კუჭით ვსკტები და მაგინს პურმარილი აქვან გაშლილი“.

პწყილის გადალოცვა – (ეთნ.) რწყილის გადალოცვა. ქობულეთის მხარეში იციან „პწყილის გადალოცვა“. „პირველ მარტს, დილას, ხმისამოუღებლად დაიჭერენ სამ რწყილს, ჩაყრიან ქილაში, ასტმით ნაცარს აიღებენ, გაიტანენ თავიანთი ეზოს მიჯნაზე, გადაყრიან და თან იტყვიან: „მარტი, მარტმეტი, ყოველი თვის მეტი. ჩემსას პწყილი არც ერთი, სხვისას – ნიჩბით სახვეტი“ (ნ. ჯ. ნოდ.).

პწყილის დაყვერვა – (ეთნ.) რწყილის დაყვერვა. ხულოს რაიონში იციან „პწყილის დაყვერვა“. რწყილმა რომ არ იმრავლოს, მარტის პირველ დღეს ერთი ადამიანი ადის სახლის ჭერში. ხელში ცოცხი უჭირავს. მეორე ოთახში რჩება და შესძახებს პირველს! მანდ რას იჯებო? ჭერში მყოფი უპასუხებს: – ია და ვარდსაო. ამას სამჯერ გაიმეორებენ.

როცა ძირში მყოფი მეოთხეჯერ შეეკითხება, – მანდ რას იჯებო, მაშინ ჭერში მყოფი გადმოსძახებს: –პწყილს ვყვე-რავო. ამასთან ერთად, ცოცხით გვის ჭერს და თან გაი-ძახის: მარტი, მარტმეტი, ჩემს სახში პწყილი არც ერთი, ღელიებში – სახვეტი!“ (შდრ. პწყილის გადალოცვა).

ჟ

ჟამიდედა – ძალიან ცუდი ხასიათის, ცუდი ბუნების, ავი ადა-მიანი. „მასან მეზობლობას ყველა ერიდებოდა, იმფერი ჟამიდედა იყო“.

ჟამმა მჟუნა თავი – მოისპოს, დაილუპოს: „მე მაგისტვინ ჩემ დღეში გონჯს (ცუდი) არ გევენურიეფ გულში. ვასტავლი და თუ არ დიმიჯერა, ჟამმა მჟუნა თავი“ (ნ. ნიჟ.).

რ

რადიოს გადაყლაპვა – ზედმეტად ლაპარაკი: „იმდენი იტაპტაპა, გეგონება, რადიო აქ გადაყლაპული“.

რავარც ღმერთი ერთია – ნამდვილია, ცხადია, აშკარაა, „რავარც ღმერთი ერთია, ის კაცი თვალთ არ მინახავს“ (ნ. ნიჟ.).

რამე არ ეყურება – არ ისმენს, არ ითვალისწინებს. „რამდენიც არ უნდა ასწავლო, რამე არ ეყურება“.

რა მოხელე ჩიქვანი ხარ – ვინ გეკითხება. „ვინ დაგავალა თქვიო? რა მოხელე ჩიქვანი ხარ?“ (ნ. ჯ. ნოდ.).

რახათი ვერ ვქენი – მოუსვენრად ვარ (რახათი–მოსვენება, სიმშ-ვიდე).

რედისკის საკრასკავად წავიდა – გარდაიცვალა.

რიონების წამოსვლა – მდინარეების, ნაკადულების ადიდება, წყალდიდობა. „იმხელა გაწვიმდა, რიონები წამოვდა ტყი-დან, ნიაღვრები მოდიოდა“.

რომელმა ქარმა გადმოგაგდო? – როგორ მოხვედი? (დიდი ხნის უნახავი სტუმრის მოსვლისას ამბობენ). „რამითი ხანია, აქეთ არ გამოგივლია, რომელმა ქარმა გადმოგაგდო?!

რუჯის სუნი უდის – ღარიბ-ღატაკია: „მაგასთან ვის რა უნდა, რა აქ... რუჯის სუნი უდის“ (შდრ. კატა უჭყავა თაროში).

რქიდან წვენს იღებს – ძალიან მოხერხებულია, ეშმაკი... „შენ გინდოდა მაგის მოტყუება?! მაჲ თვითონ რქიდან წვენს იღებს და შენ მოგატყუებივდა თავს?!“ (შდრ. ხარის რქიდან წვენის მიღება).

რძე და თაფლი გადმოდის პირიდან – ტკბილი, სასიამოვნო მოსაუბრეა: „დნება ლაპარაკში, იმფერია, რძე და თაფლი გადმოდის პირიდან“.

რძე თითზე გიკბენს – ზომიერად გაცხელებული რძე: „მოათბობ და რძე თითზე რომ გიკბენს, ჩაკვეთავ“.

რძეს სამსახური უნდა – რძის მოწველა-დამუშავება შრომატევადია და დიდ დროს მოითხოვს. რძისადმი პატივისცემის და თავაზიანი დამოკიდებულების გრძნობამ წარმოშვა ეს გამოთქმაც: რძეს სამსახური უნდა! „ბაღანაჲ კი წველის ძროხას, მარა რძეს სამსახური უნდა!“

რძის აწურვა – ძროხის მიერ რძის დამალვა (ნ.) „ჩემი ძროხა, ხფოჲ თუ არ მწყევანე, რძეს ეიწურავს, არ მეიწველის“.

რძის გაბუტვა – რძეს, თუ სათანადოდ და თავაზიანად არ „მოემსახურნენ“, დაღვარეს, ფეხი დაადგეს... „რძე გეგბუტვის“ და „ძროხას გიექცევა“. ამ წესს ხალხი ადამიანთან დაკავშირებითაც იცავს.

რძის გაქცევა – ნ. რძის გაბუტვა.

რძის დაბერება – რძე თუ ზედმეტად ამჟავდა, მისგან ჩლეჩილა ყველი აღარ გაკეთდება, აღარ დაიგრძელება. ამ შემთხვევაში ამბობენ, – „რძე დაბერდაო“.

რძის დამალვა –ნ. რძის აწურვა.

რძის შედგომა – რძის შედედება.

რძის ჩამორეკვა – ჯიქანში რძის ჩამოსვლა, ჯიქანის რძით ავსება. „ძროხა ხფოს დუწყებს სლაქვას (ლოკვა) და რძეს ჩამოყრის“.

რძის ჩამორეკვა – რძის ჩამორეკვა.

ს

სადილის მიტანა –(ეთნ.) ქალიშვილის გათხოვების ორი კვირის... ოცდამდე დღის შემდეგ დედ-მამის მიერ პატარბლისათვის ძღვენის – სადილის (ნამცხვრების... ტკბილეულის) მიტანა.

სათუოდან გამოსვლა – კრიტიკული მდგომარეობის (ასაკის, ავადმყოფობის...) გადალახვა.

საითკენ მიექანება ჩვენი გემი – საით მიდის ჩვენი ცხოვრება.

საკურცხლე მაჭამიებს – თვალეზი უმიზეზოდ მექავება და მეცრემლეობა. (გადატ.) ცუდის ნიშანია: შეიძლება ვინმე ახლოზელი გარდაიცვალოს და იტყვოს. „საკურცხლე მაჭამიებს... ვინცხა შინაური არ მოკტეს!“ (შდრ. წივის ძვალი მექავება).

სალამი მიმირთვი – პატივისცემით მოკითხვა გადაეცემა.

სალუკმედ არ ღირს – არაფრად ღირს. „მაგ საქმეზე თავსაც არ შევიწუხებ, სალუკმედ არ ღირს“.

სამუხლედ გახდომა – მშობიარობის დაწყება (ამ დროს მშობიარეს მუხლებზე აყენებდნენ). „ქალს ეხმარებოდა ებეა (მეანო): სამუხლედ თუ არ გახდებოდა, არ წეღებდა ხელს“.

სამძიმურის დაყრა – სიმძიმეების, ქვების დაწყობა. „უწინ სახლს ყავრით დახურავდენ და სამძიმურს დააყრიდენ“.

სანადე კეტივით დაყუდებულია – უმიზეზოდ, დიდხანს ერთ ადგილზეა გაჩერებული.

სანაყელაში მისვლა – საქმის ბოლო წუთზე, ბოლო მომენტში ნაჩქარევად დაწყება და დამთავრება, ან, პირიქით, საქმის დიდხანს კეთება და ძლივსძლივობით დამთავრება.

სანელელებამდე ჩაყოლა – დაწვრილმანება, დაკონკრეტება: „საკითხი მასე კარგად არ ვიცი. სანელელებამდე ნუ ჩამყვები“.

საპონ არ ველოდები – სიმწარეს, ცუდის გაგონებას, გაკეთებას არ მოველი. „იმდენი პატივი მაქ ნაცემი, მაგისგან საპონ არ ველოდები“.

საროსაგდები გახდა – გამოუსადეგარი: „საროსაგდები გამხდარა ის დედაბერი“.

სარტყელის შეკოჭვა – სახლის საძირკვლის ან სართულის თავზე შემკვერელი კონსტრუქციის გამართვა.

სასუქში ჩაგდება (ჩაყრა) – „ქათმებს 20-30 დღეს დავამწყვდევთ და კარგად ვაჭმევთ. ესაა სასუქში ჩაგდება, სასუქში ჩაყრა“.

საქმე გაჭრა – შეძლო, მოახერხა: „ისე გაჭრა საქმე, რომ ვერაფერ დაუწუნეფ“.

საქმე სანაყში მიეყვანა – საქმე დაასრულა (შდრ. სანაყელაში მისვლა).

საქმე ჯამში მიეყვანა – საქმე დააბოლოვა (ნ. საქმე სანაყში მიეყვანა).

საქმის გაღუნვა – გაუმართლებლობა: „მეგონა, დავაბოლავე საქმე, მარა გემელუნა და ვნერვიულობ“.

საქმის გაციება – არდაყოვნება. „ძმებმა საქმე არ გააცივეს და სასწრაფოდ მაზანას თხოვეს, მიწა ჩვენ მოგვყიდო“.

საქმის გაწყობა – შეძლება, მოხერხება:“ ჩაფიქრებულ საქმეს თუ გააწყობს, მაშინ აღარ წევა“.

საქმის დაუწყვა – საქმის არევ-დარევა, მოუგვარებლობა : „იმედი მქონდა, მარა მაინც დემეპუწკა საქმე“.

საქმის მოჭრა – საქმის საბოლოოდ გადაწყვეტა, დავის დასრულება. „ძმები, სამი-ოთხი წელია, ამ სახლის გაყიდვაზე იბრძვიან. ბიძანები რომ ხართ, მოსჭარით საქმე... ჩვენც დევსვენებთ და მაგინიც!“

საქმის წასხრიკება – საქმის, სამუშაოს წინ წაგდება, სამუშაოს ნაწილის ადრე შესრულება. „პირველში ვერაფერი ვერ გუგე, მარა ბოლოს ისე წევსხრიკე საქმე, რომ ზიჩასლიხან სახში ვიყავ“ (ნ.ნიჟ.)

საღერდელი აქ აშლილი – გაბრაზებულია, ყვირის: „მთელი დღეა ყვირის, საღერდელი აქ აშლილი“ (ნ. ონიანი).

საყელის დარეკვა – შეხედულების, წარმოდგენის შეცვლა: „შენ საყელო დამარეკე“

საყვეში (საყვირში) შესვლა –სიმინდის მცენარის დატაროიანება: „ენას რომ ამეღლებს (ნ.), ფოჩს წამეიღებს, საყვეში შევდა ჩემი ყანაო, –ამბობენ“ (საყვე-ტაროს ჩანასახი. შდრ. კატარკოტაში შესვლა).

საშველი არ დაადგა – აღარ დამთავრდა, აღარ გაკეთდა. „რაფერ არ ვუთხარი, ვთხუე, მარა საშველი არ დაადგა, პირი აქით ვერ ვაქნიე“.

საშვილოს ავარდნა – საშვილოს გადახრა. „საშვილო რომ ავარდეს, მის ადგილზე არ ჩეზბარგოს, ქალი დაავატყოფდება“.

საშვილოს გამოქცევა – საშვილოს გამოვარდნა.

საცერი კედელზე მიგვიდე– სიცოცხლის დასასრული მოახლოებულია. „ეფეიჯა ვიცოცხლე, მეყო და! საცერი კედელზე

მივკიდე!“ (შდრ. სახ. „ჩემი კალო გამილეწია“. „ჩემი წილი ერბო დაქცეულა“).

საცვეთი ბოხჩა – როცა ასაკით პატარა გოგონას დანიშნავდნენ, ნიშანთან ერთად ბოხჩას – ტანსაცმელს და სხვა პირად ნივთებს მოუტანდნენ, რომლებიც დანიშნულ ქალს გათხოვებამდე უნდა ეტარებინა და გამოეყენებინა. ასეთი ბოხჩა საცვეთი ბოხჩა იყო.

საცნაურის შეშლ – აზრის დაკარგვა, ცნობიერების დაზიანება: „მაგას რა ჭკვანა მოკითხო, საცნაური აქ შეშლილი (შდრ. გლ. ჭკუაზე თხლად არის).

საცრითაჲ შეხედნა – (ეთნ.) გასვენების პროცესის გავლის შემდეგ, ჭირისუფლის ან მეზობლის ოჯახის ფეხმძიმე ქალე-ბი 40 დღეს ერთმანეთს საცრებით შეხედავდნენ. ვინც ამ წესს არ დაიცავდა, სწამდათ, რომ მისი ახალდაბადებული ბავშვი ან დიდხანს არ იცოცხლებდა, ან მახინჯი იქნებო-და, ან რაიმე ფატერაკს წააწყდებოდა (ნ. ნიჟ.).

საჭმელი ალაპარაკდა – საჭმელი ამჟავდა. „საჭმელი, თუ ამჟავდა, ალაპარაკდება, აჭიჭინდება“.

საჭმელს თავი ატკივებია – ამჟავებულია. „ლობიას თავი ატკივე-ბია, გაფუჭებულია“. (შდრ. საჭმელი ალაპარაკდა).

სახელმწიფომ გააბნელა ყველაფერი – სახელმწიფომ შემოიტანა ბევრი: „წინწიდელ დროში მოგვყავდა ქერი, ღომი... ახლა რაღათ გვინდა, გააბნელა სახელმწიფომ ყველაფერი“.

სახლის გასასტიკება (ქობ.) – სახლის მშენებლობის სრულად დამთავრება და საცხოვრებლად საგულდაგულოდ დალა-გება – დასუფთავება (შდრ. გამოსარკვეება, გასასტიკება).

სახლის გაწყობა – მშენებლობის დამთავრების შემდეგ სახლში იატაკის დაგება და კარ-ფანჯრების ჩასმა.

სახლის სახურავში მოყვანა – სახლის აშენება და სახურავის ჩონჩხის გადასახურად გამზადება. „სახლ სახურავში რომ მოიყვანებენ, სახურავის შუა ბოძზე აღმართავენ ბაირაღს“ (ნ.).

სახლში ტილი არ უღოდავს – უქონელია, ღატაკია (შდრ. კატა არ გუძღებ; კატა უჭყავა თაროში).

სეფის ნახვა – მოსვენება, დამშვიდება. „მეუბნებოდენ, რძალს მეიყვან და ნახავ სეფასო. გაგიგონია?!“

სიბერის გარგანი – მოხუცებულის იმედი, დასაყრდენი. „გილოცავ, შვილიშვილი შეგძენია. მაჲ იქნება შენი სიბერის გარგანი“ (შდრ. აბულ., – არგანი – ჯოხი, კვერთხი. საბა, არგანი – კვერთხის უგრძესი, საბჯენელად და დასაყრდნობელად კაცთა უძღლურთათვის).

სიკვდილზე მიყენება – მაგრად ცემა: „გეჲგდო ბაღანაჲ წრიხებში. იმდენი სცემა, რომ სიკვდილზე მიაყენა“ (ნ. ჯ. ნოდ.; შდრ. შავი დღე აყარა).

სიკვდილის დამვირება – მომაბეზრებელი სიცოცხლე, სიკვდილის ნატვრა: „ჩემთვის სიკვდილიც დამვირდა“.

სიკვდილის თვალით დანახვა – დიდად შეშინება; გადარჩენის იმედის დაკარგვა: „წყალში რომ ჩავარდი, მეგონა, ვეღარ გადავრჩებოდი. გამოსლამდი იმდენი ვიწვალე, სიკტილი თვალით დევნახე“.

სიკვდილის კარზე დადგომა (დაჯდომა) – სიკვდილის, გარდაცვალების მოლოდინი: „სიკტილი კარზე მიჯდანა, დაყლებილი აქ თვალები“ „სიკტილი კარზე მიდგანა, გამომესვა ყელში დანა“.

სიკვდილის კარზე მისვლა – გამწარება, შერცხვენა, შეწუხება: „აღა და მისი ცოლიც სიკტილის კარზე მივდენ, რომ ოჯახი გიელანძღათ“.

სიკვდილის ნარჩენა – სუსტი, უსუსური, გალეული ან მძიმე ავადმყოფობაგამოვლილი ადამიანი. „ჯონდოს, სიკვდილის ნარჩენააო, უმახდენ, მარა ნელ-ნელა რაცხა მეიყარა თავი, კაცს დიემსგავსა“.

სიკვდილი საყიდელი გამიხდა – ძალიან გავწვალდი, თავი მომზეზრდა. „რა არ გადავიტანე ამ ცხოვრებაში და ახლა აჲ სიმწარე მინდოდა? ვერ ვდგები, ვერ ვჯდები... რა მოხდა, რომ სიკვდილიც საყიდელი გამიხდა!“ (შდრ. სიკვდილის დამპირება).

სიკვდილის პერანგიდან ამოსვლა – გაჭირვების, წვალებისაგან თავის დაღწევა. „სიკვდილის პერანგიდან ძლივ ამუედი“.

სიკვდილმა გზა ისწავლა – როცა ოჯახში ან სოფლის რომელიმე უბანში ზედიზედ ბევრი ადამიანი გარდაიცვლება, იტყვიან, – სიკვდილმა გზა ისწავლაო.

სიკვდილს თვალებში უყურა – გასაჭირში ჩავარდა: „იმფერ დღეში იყო, იმფერი ზორი ქონდა, რომ იტყვიან, სიკვდილს თვალებში უყურა“ (შდრ. სიკვდილის თვალით დანახვა).

სიკვდილს ხელ ვერ მუუფარებ – სიკვდილს ვერ დაიჭერ, ხელდახელ ვერ შეაჩერებ.

სიმინდის გაჭრა – მარგვლის დროს სიმინდის ნათესის გამეჩხრება: „დღეს უჩხამურში ვიყავი, ყანიებში სიმინდი გავშჭარი“ (ნ. ჯ. ნოდ.).

სიმინდში თოხის შეტანა – სიმინდის ყანის მარგვლა: „სანამ ოთხი ყური არ გახდება, სიმინდში თოხის შეტანა არ ვარგა“.

სიმღერის აყვანა – ნადში მღეროდნენ ნადურ სიმღერებს. სიმღერას იწყებდა ერთი ჯგუფი. ის რომ დაასრულებდა, მომღერალთა მეორე ჯგუფი სხვა სიმღერას აიყვანდა. შემდეგ – მესამე და ასე მიმდინარეობდა ყანაში ნადური სიმღერების შესრულება (ნ. ჯ. ნოდ., I).

სიმღერის გარიგება – სიმღერის ორ ნაწილად გაყოფა. სიმღერის ერთ ნაწილს ერთი ჯგუფი მღერის, მეორეს – მეორე, ან ერთი ჯგუფის ნამღერს იმეორებს მეორე ჯგუფი... ახ სიმღერა გარიგდება. მერე უფრო კაჲ იქნება“ (ნ. ჯ. ნოდ.).

სიმღერის ჩამორთმევა – ნ. გადამზეული სიმღერა.

სირეგნეში სიქარჩლეს ელოდე – ანდაზა. ახალგაზრდობაში გამოუცდელობით ბევრ ცუდს ელოდე (სირეგნე-სირეგნე. ნ. ჯ. ნოდ.).

სირცხვილის ადგომა – „სირცხვილის დაკარგვა“, უსირცხვილობა.

სისხლი გადვირე მაჯაზე – მოვკალი, მოვსპე. „მაგის სისხლი გადვირე მაჯაზე და აწი, თუ უნდათ, მეც მომკლან. ჯავრი არ წამყვება“.

სისხლში მიცემული ქალი – გადამტერებულ ოჯახებს ან გვარებს შორის მტრობის მოშლა ხდებოდა დანათესავებით (ნ. მტრობაში მოყვრობის ჩამოგდება): ადრე უთანხმოებაში მყოფი ერთი გვარის ქალს მეორე გვარის ვაჟს მიათხოვებდნენ. ასეთ ქალს სისხლში მიცემულ ქალს ეძახდნენ.

სისხლის მოყოვნება – სისხლის შესქელება, მაღალი წნევა. „სისხლი თუ მოყოვნებულია, მაჯაზე ძარღვს გუხსნიან და სისხლს გამწეზობენ“.

სისხლი ჩასდის გულში – დარდობს. „ვინ რა იცის, სხვას რა სისხლი ჩასდის გულში!“

სიტყვა თქვენთან იყოს – ნათქვამის გაუმჟღავნებლობაზე თხოვნა. „ჩემი ნათქვამი სხვასთან არ თქვათ, საიდუმლოდ შეინახეთ. „სიტყვა თქვენთან იყოს და, ამაღამ გოგონა მეგპარო“.

სიტყვა სიტყვაზე მოვდა – სიტყვას სიტყვა მოჰყვა. „სიტყვა სიტყვაზე მოვდა, თუარა მე რაფერ ვილაპარაკებ თქვენთან“.

სიტყვა სიტყვის მაკინარია – სიტყვა სიტყვის მშობელი, გამჩენია. მაკინარი „მაკე“ სიტყვიდან ნაწარმოები ლექსიკური ერთეულია. მაკე მუცლადღებული, ფეხძიმეა. „ნუგემის-მცემელ ექმნეს მაკეთა მათ დამძიმებულთა“ (ნ. აბულ.), მაცნება დამაკებას აღნიშნავს. ე. ი. მაკინარია ის, ვინაც უნდა შობოს. სიტყვა სიტყვის მაკინარი ანუ მშობელია.

სიტყვა უკვეთავს – კარგი მოსაუბრეა, კარგად თქმა, საუბარი შეუძლია. ნ. სიტყვა უჭრის.

სიტყვა უჭრის – ნ. სიტყვა უკვეთავს.

სიტყვა წიქცა – (კალკი *söl düzümek*) წამოცდა, დაუფიქრებლად წამოიძახა, წამოროშა (ნ. ნიჟ.).

სიტყვის დაკავება – (კალკი– თურქ. *söz. tutmak*) პირობის შესრულება. „ჩემ სიტყვას თუ დეიკავებ, მორჩები და ეწევი შენ დედ-მამასო“ (ნ. ნიჟ.).

სიტყვის დაკარგვა – დავიწყება: „სიტყვა დემეკარქა, ვერ მევგონეფ!“ (შდრ. გამეპარა ტვინი).

სიტყვის დაძვირება – საჭირო დროს ნუ გაჩუმდები; „სასამართლოზე ორი ღერი სიტყვა თქვი, სიტყვას ნუ დამიძვირებ“ (ნ. ჯ. ნოდ. შდრ. გლ., სიტყვის შეწვენა).

სიტყვის თავი – საუბრის დასაწყისი, საქმის დასაწყისი. „მე ნაჭამი, ნასვამი ვიყავი. ღვინო გამისინჯეო, მაინც მეხვეწა. ეს სიტყვის თავი იყო, თუარა“...

სიტყვის მოშლა – პირობის დარღვევა. „თუ სიტყვას მოშლიდა ბიჭის მხარე, გოგოს მიიყვანდენ და დუუჟდუმლებდენ“.

სიტყვის შემოკვრა – გაზაირება.

სიტყვის ყურის ძირში შენახვა – საიდუმლოს შენახვა. „ნუ გემინია, შენს ნათქვამს პირზეც არ მეიტანს, სიტყვას ყურის ძირში შეინახავს“.

სიხარული გითხრა და... – შდრ. პირი ქვისკენ მიქნია; ქვას (ხეს) უყურებოდეს. „ბევრი ბიძები მყავდა, მარა, სიხარული გითხრა და, მოკდენ“.

სიხარულიმგონე – გახარებული: „სიხარულიმგონე ჭედელი ცერი თითებზე იდგა“.

სიხარულში კდებოდა – ძალიან უხაროდა. „დედოფალი წაყვანიხან ტიროდა, მარა ისე სიხარულში კტებოდა“.

სორომგორომით ქცევა – მილეწ-მოლეწვა, დანგრევა, განადგურება: „ცხენებს ბოსტანში ყოლიმფერი სორომგორომით გჟეხადენ“ (სორომგორომო-სოდომ-გომორი).

სულდათქმული კაცი – აუჩქარებელი, დინჯი კაცი: „იმფერი სულდათქმული კაცია, რომ წადაუკურაჲ საქმეს არ გააფუჭებს“ (ნ.ჯ. ნოდ.).

სულზე აღება (სულის აღება): „რა აქ სულზე ასადები, რომ ასე გამწარდა?“, „ჩემი შვილები არ კავდებიან, სული აქვან აღებული“.

სულზე ხელის დადგმა – ფიცის სიტყვები, სულის წაწყმენდის, ცოდვის ჩადენის შიშით სიმართლის თქმა. „ღმერთი და შენი სული, სულზე ხელი დეიდგი, არ მომატყვილო“ (შდრ. სახ. სულზედ თქმა. ნ. ნიჟ.).

სული ამოვდა ყიაში – მოთმინების ძავი გაწყდა: „ამშჳდა სული ყიაში (ყელი) და მანაც მჴნაცვლა ხელი“.

სული გადადებული მაქ – თავი გაწირული მაქვს, ხელს ვიღებ სიცოცხლეზე: „როცხა ამისთანაჲ ბიჭი ჩვენი ძმა გახტა, მე სული გადადებული მაქ“.

სული ემწარა – ძალიან გაუჭირდა, ძალიან ეტკინა: „მჴჭირეს კისერზე მოკოჭვილი ყაიში. სული რომ ემწარა, ხელების ქნევით ანიშნა, – ვიტყვი, ვიტყვიო“ (ყაიში–ტყავის ზონარი).

სული იკრეს – იყნოსეს, მიხვდნენ. „დივებმა ხელათ სული იკრეს და დედას უთხრეს: – ადამიანის სული მოგვდისო“ (ნ.ჯ. ნოდ.).

სული კავით მიკავია – ნ. სული კბილით გიჭირავს.

სული კბილით მიკავია (||მიჭერია)– ძალიან მიჭირს, ვიტანჯები: „სული კბილით მიკავია, ძლივს ვარ და თენგოჲ მომადგა, წამომყევით“ (ნ. სახ. ონიანი; გლ., სული კბილით უჭირავს).

სული მისცა – მოკვდა: „ჩემ მობრუნებაში სული მისცა საწყალმა“ (ნ. ჯ. ნოდ.).

სული უკაწკაწებს – ძალიან უნდა (ნ. ნიჟ.).

სული უწიწინებს – სული მისდის, ესწრაფვის, ერთი სული აქვს: „ხალხში არ იმჩნევს, თუარა ისთე, მიზდათვინაჲ სული უწიწინებს“ (შდრ. სული უკაწკაწებს. იმერ. სული აუკოროტდება).

სული ყიაში აქ მიბჯენილი – ვერ ითმენს; ძალიან უნდა, რაიმე თქვას.

სული ყიაში მაქ მოწოლილი – მეტის მოთმენა არ ძალმიძს, მოთმინების ფიალა ამევსო, სიკვდილს მიახლებული ვარ (შდრ. სახ. სული ყელში მოსული მაქვს).

სული ცხვირში აქ – მოუთმენელია: „მაჲ ლაპარეკსაც არ გაცლის, ხედავ?! სული ცხვირში აქ“.

სული ძლივს – სული მისდის (რისამე ნდომისგან), ესწრაფვის, ეწაფება (შდრ. სული უწიწინებს. ნ. ნიჟ.).

სულის ავარდნა – ცუდი სუნის მიღება: „ყურუთს ზეში არ დავდებთ, სული უვარდება“.

სულის აწიწმარტება (||სწიწმარტება) – ძალიან შეწუხება, გამწვარება: „სიმართლე რომ გეჲგო, სული უწიწმარტდა, მარა

ვეფერი ვერ თქვა და გამეჰპარა“ (წიწმარიტა – მც. წიწ-
მატი).

სულის გამთქნარება – გარდაცვალება (შდრ. სული მისცა).

სულის გაშენა – „სულის გავარდნა“, სიკვდილი: „ხარს ააკანკა-
ლა, წეიქცა და უცფათ გაშპა სული“ (ნ.ჯ. ნოდ. შდრ. გლ.,
ონიანი, სულის დაღევა).

სულის დერდში ვარ – ძალიან მიჭირს, ცუდ მდგომარეობაში
ვარ: „მე შენ რა უნდა მოგეხმარო, თვითონ სულის დერდ-
ში ვარ“ (ნ. ჯ. ნოდ.).

სულის ეზიეთშია – უჭირს, მძიმე მდგომარეობაშია: „მისი სუ-
ლის ეზიეთშია ავატყოფი“ (ეზიეთი – ჯაფა, შრომა).

სულის ზორშია – შდრ. სული კბილით მიკავია: „სანამ უნდა ვი-
ყო ასე, სულის ზორში. მგონი, ღმერთსაც დავავიწყდი“
(ზორი-გასაჭირი).

სულის მიცემა – სიკვდილი: „თუ ცოდვიანი კაცია, სულის მიცე-
მას დიდი ხანი დაჭირდება“ (ნ. სულის ძღევა. მენთ. ნიჟ.).

სულის მოთქმაზე – მოულოდნელად, უცაბედად: „ისე სულის
მოთქმაზე მოხთა ყოლიფერი, რომ შეშმიში გავხტი“ (ნ. ჯ.
ნოდ.) (შეშმიში – სახტად, გაკვირვებული).

სულის რახათშია – ისვენებს (რახათი–მოსვენება. შდრ. სულის
ეზიეთშია).

სულის შეღება – სულის მოთქმა, მოსულიერება, გაჭირვებიდან
ამოსვლა: „ასე რაფერ დეიძვირა ღმერთმა ჩემთვინ სულის
შეღება, ჰა“ (ნ. ნიჟ.).

სულის ძღევაშია – კვდება, აგონიაშია: „დამირეკეს, გამოჲ, ჩქარა
გამოჲ, სულიკოჲ სულის ძღევაშიაო“.

სულის წაღება – დიდი მწუხარებით მიყენებული სულიერი
ტკივილი: „თვითონ დეჲსვენა, წევდა, მარა ჩემი სულიც
წეღლო“.

სულს აძლევს – კვდება (შდრ. სულის ძლევაშია).

სულში თოვლი თოვს – დამწუხრებულია: „რაღაა ჩემი ცხოვრება, მწარე დღიები ყველას აშოროს ღმერთმა, სულში თოვლი მითოვს“.

სურდოს დაბერება – რესპირატორული დაავადების, სურდოს შემსუბუქება: „ავადმყოფს ცხელ-ცხელ რძეს დააღვრიებენ... სურდო დაბერდება და ავადმყოფი მორჩება“.

სუფრის აწევა – ძველად მრგვალ მაგიდას, ფეშხუმს, ჭამის დროს დადგამდნენ და ჭამის შემდეგ სუფრას მთლიანად აიღებდნენ. „სუფრა ასწიეს და იქავრობა დახვეტეს“ (ნ. ჯ. ნოდ.).

სუფრის დადგმა – სუფრის გაშლა, დასუფრვა. შდრ. სუფრის აწევა.

სუფრის დაკავება– (ეთნ.) სუფრის დაჭერა, სუფრასთან დიდი ხნით ყოფნა. სუფრასთან მსხდომი დედოფლის მაყრები დიდი უფლებებით სარგებლობდნენ. შეეძლოთ, ახალი, მწელად მოსამზადებელი, ან მწელადსაშოვი კერძი, ან სხვა რამ მოეთხოვათ. სანამ მოთხოვნას არ შეასრულებდნენ, მაყრები სუფრიდან არ ადგებოდნენ. ამ წესს „სუფრის დაკავებას“ ეძახდნენ. სუფრა კი, რამდენიმე იდგა. მოწვეული სტუმრები რიგრიგობით უნდა დამსხდარიყვნენ სუფრასთან. ჩვეულებრივ, ერთ რომელიმე სუფრას „იკავებდნენ“.

სუფრის ჩუქება – ნ. სუფრის დაკავება.

სხვის დაკრულზე ცეკვა – სხვისი აზრით მოქმედება: „ელაპარაკე და იყავ, ტყვილაჲ ეიტკენ თავს, სხვის დაკრულზე ცეკვავს“.

სხვისი პური – სხვისი ლუკმა, სხვისი საკუთრება: „თუთხმეტი წლის შეთავდება, ჰემ გახთება სხვისი პური“ (შდრ. ნიჟ., სხვისი ნაცარი).

სხვისი კერძი – სხვისი საკუთრება: „ბიჭი სახში გჩება, შენი გოგო სხვისი კერძია“ (შდრ. სხვისი პური).

სხვისი ნაცარი – სხვისი საკუთრება, სხვისი კერძი: „უწინ გოგო გაჩენას ვაფთ და ვიშით ხდებოდენ, იმიტომ, რომ ქალი სხვისი ნაცარია“ (შდრ. სხვისი პური, სხვისი კერძი).

სხვისი ხელის შემხედვარე – სხვისი მოიმედე, სხვაზე დამოკიდებული: „კაცი სხვისი ხელის შემხედვარე არ უნდა იყო“ (ნ. ჯ. ნოდ.).

სხვის შორვას უბერავს – სხვისთვის ირჯება. „სხვას მიეხმარეო, სიხარულით გეიქცევა. სახში ჩხირს არ გადააბრუნებს, მარა სხვის შორვას უბერავს“.

ღ

ტამრების შეშინება – სახსრის ძარღვების, მყესების დაზიანება: „კაცმა თუ იღრძო ხელი, ფეხი... შეიძლება კიდევ გაუმეორდეს, რადგანაც ტამრები შეშინებულია“ (ტამარი – თურქ. dammar – ძარღვი, ნერვი).

ტამრის გამოწევა – (კალკი – თურქ. damari Gekmek) დამსგავსება წინაპრის ფიზიკური თუ ფსიქიკური თვისების (თავისებურების) გამოვლენა: „უფროსმა ძმამ დედემისის ტამარი გამოსწია, მასავენ გუშამდარი, ტამაქქარია“ (ნ. ნიჟ.).

ტანში აშვება – 1. დამშვიდება, დაშოშმინება: „ღმერთმა გაგახარა. მაჲ ამბავი რომ გეგგე, ტანში ევშვი პაწაჲ (ნ. ჯ. ნოდ.). 2. სიმაღლეში გაზრდა. „რაფერ ტანი უშვია, ჰამან შენი სიმაღლეა“.

ტანში დამჯინჭრა – გამაჟრიალა, გამაჟრჟოლა: „იმფერები მოყვა, რომ ტანში დამჯინჭრა“.

ტანში ვერ კვავდები – მოუსვენრად ვარ, ვშფოთავ. „აირია ხალხი ხალხში, ველარც მე კვავდები ტანში“.

ტანში სული აღარ ეტევა – ველარ ითმენს, აღფრთოვანებულია: „ისე მომწონს, ტანში სული აღარ მეტევა“ (შდრ. ტანში ვერ ვკავდები).

ტარაბუს დასხმა – თავბრუს დახვევა. „ხიდზე ტარაბუაჲ დემეს-ხა. ჩავჯექი, თუარა წყალში ჩევქრებოდი“ (ნ. ჯ. ნოდ. შდრ. გლ., თავბრუს დასხმა).

ტაფის ამოტრიალება – საჭმლის ბოლომდის გათავება: „სოკო შეეწვით, იმდენი ვჭამე, ტაფა ამოვატრიალე“.

ტვინების გაჩეჩება||ტვინების დაყრა – ზიანი, დასჯა.

ტვინის ადუღება – გადაღლა, თავის მობეზრება: „ამდენმა საქმი-ებმა ტვინი იმიდულა“ (ნ. ონიანი).

ტვინის გახურება – ნ. ტვინის ადუღება: „იმდენი ილაპარაკა, იქაქანა, ტვინი გიმიხურა“.

ტვინის მატლი მომიკლა – თავი მომაბეზრა, გადამდალა. „მაგან დღეს ტვინის მატლი მომიკლა“ (შდრ. ტვინის ადუღება; ტვინის გახურება).

ტვინს უზურღავს – ჩასჩიჩინებს: „იმდენი ელაპარაკა, რომ იტყვიან, ტვინი გუზურღა“.

ტირილი თვალებში უდგანა – ყველაფერზე უმიზეზოდ ტირის: „ვერაფერს ვერ შეკადრებ, ტირილი თვალებში უდგანა“.

ტოლის დადება – გაუწაფავი ხარის გვერდით უღელში გამოცდილი ხარის შებმა: „გასამართავი ხარი სუსტია. მაშინ აუცილებლად ხდება ტოლის დადება“ (ნ. შამ., 64).

ტოლს არ უდებს – არ ჩამოუვარდება. „იმფერი ჯამუკამ გოგოა, ბიჭებს ტოლს არ უდებს“.

ტურას ქორწილი ქონდა – იტყვიან ისეთ ადამიანზე, რომელიც საზოგადო შეშფოთების, არეულობისა თუ დამაბულობის დროს არასერიოზული საქმითაა დაკავებული, გული არ ერჩის საერთო საქმეზე: „რა თავლსალამეთაჲ კაცია ჩვენი

რეჯებაჲ ჭო, ქოყანა იქცეოდა და ტურას ქორწილი ქონდაო, რომ იტყვიან, სტორეთ მაგაზეა ზედგამოჭრილი“ (ნ. ნიჟ.).

ტურის ხმა აქ გაგონილი – (გად.) ასაკსრული, სქესობრივად მომწიფებული ყმაწვილი: „ტურის ხმა აქ გაგონილიო“ – იტყვიან (ნ. ნიჟ.).

ტყავს აგადროფ ზურგში– მუქარა (შდრ. გლ., ძვალსა და რბილს გაუერთიანებს).

ტყავში დაწოლა – ნ. კანში დაწოლა.

ტყვიის გათოვება – ხშირი, განუწყვეტელი სროლა: „ძლივს მოასწრენ, გადაცვინდენ იქით... გათოვდა ტყვია“.

ტყვილის გუდა–მატყუარა, ცრუ.

ტყვილის პუჭი– ნ. ტყუილის გუდა.

ტყუილად წყლის ნაყვა: ფუჭი, ამაო ქმედება: „რაც არ უნდა ეცადონ, ტყვილაჲ წყლის ნაყვაჲ“.

შ

უბეში ამორება – ქალს თუ შვილები არ რჩებოდა, ახალდაბადებულ ბავშვს პირობით გააშვილებდნენ: მრავალშვილიან, ბედნიერ ქალს ამ ბავშვს უბეში ამოუტარებდნენ – ამოურებდნენ. ბავშვი ამის შემდეგ მის „შვილად“ ითვლებოდა.

უბე-ყვავილი საგსე აქვს – ბევრი შვილი ჰყავს, ბედნიერი დედაა.

უბეში ამოდგრენა – ნ. უბეში ამორება.

უბის ამორეკვა – 1. გაკვირვების, გაოცების ნიშნად ტანსაცმლის საკისურზე ხელის მოვლება და ანიავება. „იმდენი ხანი ვიჯექი ავადმყოფთან და რძალი ერთი არ შემოსულა, არც შამუხედია. წამუედი, უბე ამევრეკე!“ (შდრ. იახა დამარეკიეს) 2. გულში ნადების, საყვედურის პირში მიხლა, თქმა. „აღარ მოვთმინე. რაც სათქმელი მქონდა. ვუთხარი, უბე ამევრეკე. აწი მაგასთან აფერი აღარ მესაქმება“.

უბის დარეკვა – ნ. საყელოს დარეკვა.

უკტავა დავრჩი – დიდხანს ვიცოცხლე, „უკვდავი“ ვარ. „ამდენი სიმწარის გამრე კიდო კარგათ ვარ. უკტავა დავრჩი“.

უკულმა გაწვართვა – ცუდად აღზრდა, გაწვართნა. „მეც უთხარ, – შენ დედას შენი თავი უკულმა გუუწვართიაო!“

უქმური კაცი – უხასიათო, შუბლშეკრული კაცი. „ერთი უხასიათო, უქმური კაცია“ (შდრ. ჟამიდედა).

უქმური, ამჟავებული ამინდი – ცუდი, წვიმიანი ამინდი: „გარეთ არ გეისლება, უქმური, ამჟავებული ამინდია“.

უსულით გამოზრდილი – სათუთად გაზრდილი: „რაფერ გინდა აჲ შენი უსულით გამოზრდილი ბაღანაჲ გაატანო ვინცხას!“.

უტკივარი (უტკენელი) თავის ატკივება – ძალით გასაჭირში ჩავარდნა, ტყუილუბრალოდ შეწუხება. „ასჯერ ბელაში გახვია და კიდეჲ ამას მუაკითხა, – წამყევო. არ წაყვა. ეყო, და! უტკივარი თავი კიდეჲ ეატკივოს?“ „რა ზორი ადგა, რომ უუტკენელი თავი ეიტკინა“.

უუხტა და აღარ დეეცა – გაბრაზდა: „რა დღეში ჩავარდა მაი დელი, უუხტა და აღარ დეეცა“.

ულლის გამოტება – გამოკლება, გამოცალკეება. „ოთხი დანები ვიყავით. არ გამოგვაკლდე, უღელი არ გამოგვიტეხო, დაო“... (დატირებიდან).

უძილოდ სიზმარს ნახულობს – იგონებს, ჰაიჰარად ლაპარაკობს: „მაგას რას უჯერებ. მაჲ უძილოთ ნახულობს სიზმარს“.

ფ

ფართოკალთიანი – ბევრი ბავშვის გამზრდელი, მზრუნველი. „ფართოკალთიანი იყო დიდნენეჲ: ექსი მისი გაზარდა, ორი – მაზლიშვილი“.

ფაშას სალამს არ მისცემს (ფაშას სალამს არ აძლევს) – გაყოყნებული, ამპარტავანია; თავისთავზე დიდი წარმოდგენა

აქვს: „დიდი კაცი გახდა, ძველი ყველაფერი დაივიწყა. მე კი არა, სალამს ფაშასაც არ მისცემს“.

ფაშას ხელს არ ართმევს – უკადრისობს (შდრ. ფაშას სალამს არ ამღლევს).

ფაჩხის კლდესავით იძახი – აფრთხილებ. ფაჩხის ეკლესია მომხდურებმა დააქციეს, ჯვარგამოსახული ლოდები დააგორეს, რათა გადაკარგულიყო და აქაურებს დაევიწყებინათ. ერთ-ერთი ლოდი ჯვრიანი მხრით მიწაზე იყო დაგდებული. ქალებმა ეს არ იცოდნენ და ლოდზე სარეცხს რეცხდნენ. ერთხელ შემოესმათ, – წადით, თორემ მთა დაგორდებაო, მაგრამ არ დაიჯერეს. მალე ისევ გაისმა ხმა. ქალები წავიდნენ. ერთი მაინც არ წავიდა, მთა მართლა მოსკდა და ისიც ჩაიყოლა. აქედან მოდის გამოთქმაც, – რას იძახი ფაჩხის კლდესავითო (ი. ბექურიშვილი, აჭარის ისტორია გვარსახელებში, ბათუმი, 1996. გვ. 66).

ფერდები ემხლევა – ძალიან შია: „ოი, რა ძალიან ემხლევა ფერდები“ (შდრ. მუცლით ხერხემაღლს იფხანს).

ფერდი ფერდზე აქვს მიკრული – ძალიან გამხდარია.

ფეშინში ჩადგომა – შეჯიბრება, ჯიბრში ჩადგომა: „ნუ ჩამდგომიხარ ფეშინში, ნუ აჰყოლიხარ გულსაო“ (ფეშინი-ჯიბრი).

ფეხათ გასწრება – მოვლენამდე ერთი წამით ადრე წასვლა: „ფეხათ გაგასტრა. მეგონა, გზაში შეგხტებოდა“ (ნ. ჯ. ნოდ.).

ფეხები გაფშოკა – გარდაიცვალა: „გაფშოკა დედემ ფეხები“ (ნ. ონიანი).

ფეხების გაჰყვნა – ფეხების გაშლა. „ფეხები გიჰჰყვნა და ისე იდგა“ (ნ. ჯ. ნოდ.).

ფეხზე დადგომა – საქმის, ცხოვრების გაუმჯობესება: „იმდენი ვიწვალე, ვიტანჯე, აგერ 2-3 წელია, ძლივ ცოტა დადგა ფეხზე ცხოვრება“.

ფეხზე ინა დეიდო – არ მოვიდა: „აღარ გამოჩნდა ზეჟიეი, ფეხზე ინა დეიდო“ (შდრ. ინის დადება ფეხზე).

ფეხი არ მომყვება – ცოცმანობ, ვჭოჭმანობ (შდრ.ონიანი, ფეხები უკან მრჩება).

ფეხის დახოცვა – სადმე ან ვინმესთან განზრახ მიუსვლელობა. „ჯერ ვითმენ, მარა, ერთი ფეხი თუ დავახოცე, მერე მაქ მიმსლელი აღარ ვარ“ (შდრ. სახ. ფეხის ამოკვეთა).

ფეხის თანგვა – მოქცევით სიარული: „ფეხებს ნუ თანგავ, სწორათ გეიარე“ (ნ. ნოდ.).

ფეხის თითებში გეძება – ნ. გეჟიტიანა ფეხის თითებში.

ფეხის თითების დათვლა – ნ. ფეხის თითებში გეიხედა.

ფეხის წაკრა – დაწყებული საქმის ვერშესრულება, დამარცხება: „ერთი კაჲ საქმე დევწყე. ამ ბოლოს ფეხი წეკვარი“ (ნ. ჯ. ნოდ.).

ფეხის წვერებზე ანურიებს – მის ნებაზე ატარებს: „ვენაცვალე მაგას, ხელი მომიწერია, ფეხის წვერებზე ანურიებს ყველას“.

ფეხმბილი ქალი – ცუდი ყოფაქცევის, უწესო ქალი: „ი ქალი იმფერი ფეხმბილი გამოდგა, რომ გვარი შეარცხვინა“ (ნ. ჯ.ნოდ.).

ფეხნაქცევათ მისლა – სიძის მეორედ მისვლა საცოლის ოჯახში: „სიძე ფეხნაქცევათ მისლის დროს ერთ ყოჩს წეყვანს, ერთ ქათამს, შვიდ ან ცხრა პურს და ერთ თავ შაქარს წეღებს“ (ნ. ჯ. ნოდ.).

ფეხში წყლის ჩადგომა– დიდხანს დაყოვნება, გაჩერება: „იმდენხანს გაგაჩერებს, დაგლის, ფეხში წყალი ჩაგიდგება“.

ფეხჩილი ქალი – უზნეო, მსუბუქი ყოფაქცევის ქალი. „იცოდა ალიკამ, რა ფეხჩილი ქალიც ყავდა, მარა ვერ მოშორდა“ (შდრ. სახ.; ფეხმსუბუქი ქალი; ნ. ფეხმბილი ქალი).

ფთის აწყობა – 1. ფრთის აწყობა, ბარტყების გასაფრენად მომზადება: „მერცხლის ბარტყები ფთას იწყობენ, მალე გაფრინდებიან“ (ნ. ჯ. ნოდ.). 2. წასასვლელად მომზადება. „ერთი უთხარი წაფო, მეტი არ უნდა, ფთაა აწყობილი აქ“.

ფისის მწურავი – ძუნწი: „მაგიდან კაცი ხეირს ვერ ნახავს, არ გამოგადგება, ფისის მწურავია“.

ფიქრის დაკარგვა – დავიწყება. – „აღარ მახსოვს, ნევ! ფიქრი დემეკარქა“.

ფიქრში დაკარგვა – ღრმად ჩაფიქრება: „გოგომ უსმინა, უსმინა და ფიქრში დეიკარგა“ (შდრ. გლ. ფიქრში ჩავარდნა).

ფუტი ამდის თავში – არ მცალია, ბევრი საქმე მაქვს. „კაცს ფუტი ამდის თავში, ად მომადგა, წამყევით“.

ფუხრის მაკარინაჲ – (სიტყვ.) ღარიბის მაკარონი: ღარიბის საზრდო, თავის გასატანი. „მჟავე ფხალი ფუხრის მაკარინაჲ. ფული არ უნდა და რამე. დარგე და ამუა“.

ფუხრის პერანგი გამოვდა – მზე ამოვიდა.

ფხარის ქვევა – ორიენტაციის დაკარგვა: „ნისლში ფხარი მექცა და სახლს ვეღარ მივაგენი“ (ნ. ჯ. ნოდ.).

ქ

ქათმის ფერხვა – (ეთნ.) ახალი წლის მეორე დღეს შესასრულებელი რიტუალი: ორ იანვარს ოჯახის ერთ-ერთი წევრი ქალი საკენკით ხელში მიდიოდა საქათმესთან, გააღებდა საქათმის კარს, ქათმებს საკენკს დაუყრიდა და დაილოცებოდა: ასი დედალ, ასი მამალ, ასი მისი მოჩხოროზი (ნამრავლი, ნაშიერი). ზეით მია ნეფერები, ქვეით დადიანე-ბიო, ღმერთო, ამას გეხვეწებით, შორს ნუ დაიარებითო. ტყეში – სურო, ზღვაში – ქვიშა... ღმერთო, იმდენი ამრავლეო... იმ დღეს მფერხავი სახლიდან ვერ წავიდოდა, ქათ-

მეზი შორს წასვლას მიეჩვევიანო; არც სკამს გამოიცვლიდა – ქათამი სხვის საბუდარში ჩაჯდებაო... (ჯ. ნოდ.).

ქალის ფუხარა – უქალო, უცოლო: „მამამ უთხრა: თუ ქალის ფუხარა არის ესაო, შენ წაყევი და გაამდიდრეო“.

ქალი ხელს არ მოიჭამს – არ შერცხვება. მუყაით, გამრჯე ოჯახის სტუმრის მისვლისა და გამასპინძლებისა არ ეშინია. სტუმრის გამასპინძლებაზე ოჯახის დიასახლისია პასუხისმგებელი. „სტუმარი უცბადაც რომ მიუვიდეს, ქალი ხელს არ მოიჭამს – არ შეშინდება და სირცხვილით ხელს არ დაიკბენს“.

ქარავანს მიდენის – თავისას აკეთებს. „მის ქარავანს მიდენის, რანა ქნა“.

ქარი გავიქროლე – გავინავარდე. „ცოტა ხნით ქარი გავიქროლე“.

ქარის ქოლვას მიდეგს – უნდო, არამყარი ადამიანია „რაფერ ენდობი, ჰაითკენაც ქარი დაუბერავს, იქითკენ მიდის, ქარის ქოლვას მიდეგს“.

ქეიფი არ მაქ/ქეიფზე ვერ ვარ – ჯანმრთელად არ ვარ, უხასიათოდ ვარ. „თქვენ წამო, არ დამიცადოთ, რაცხა ქეიფი არ მაქ“.

ქეიფით მოსვლა – გალადებული, გახარებული მოსვლა. „კაცს უყიდია ხარი და სიხარულა ქეიფით მოდის“.

ქეიფში გაშპობა – დიდი სიამოვნების მიღება. „იმფერი დრო ვატარე, რომ ქეიფში გაშპვი“ (ჯ. ნოდ.).

ქენერშია გასული – 1. მიხვდა. „რალას გამუაპარეფ, ქენერშია გასული“. 2. საქმე დააბოლოვა. „ქენერშია გასული. აწი მიიცლის ჩვენთვინაც“ (ქენერი – კიდე).

ქვამარილზე წვეიდა – გარდაიცვალა (შდრ. რედისკის საკრასკავად წვედა).

ქვამ მისი ადგილი იცნო – ქვა მდებარეობას, ადგილს მოერგო. მაღალმთიან აჭარაში სახლის სამირკვლის გაწყობა თავი-

სებურად ხდებოდა: სახლის სამირკველი რელიეფს უნდა მორგებოდა, ყოველი სასამირკველე ქვა მყარად უნდა „დამჯდარიყო“ მიწაზე, ე.ი. „ქვას თავისი ადგილი უნდა ეცნო“ (ნ. ჯავახ.).

ქვაჲ წამლათ აქცია – ყველა ღონე იხმარა, ყველა საშუალებას მიმართა, „გაუჩენელი გააჩინა“. „ქვაჲ წამლათ ვაქციე, მარა მაგას მაინც ვერაფერი ვუშველე“.

ქვას ეყურებოდეს! – იტყვიან ცუდი, სამწუხარო ამბის მოყოლი-სას. „ქვას ეყურებოდეს, ისე გიმიკავდა წელი, რომ სულ ვერ ვეპანები“ (ნ. პირი ქვისკენ მიქნია. შდრ. შარაშ. ქარს და ბორიას ველაპარაკები, ხეს ველაპარაკები. ნ.ნიჟ.).

ქვას ესმოდეს **|| ქვას ეყურებოდეს** **|| ქვას და კილდეს ეყურებოდეს.** „ისე ახალგაზდა დაქვრივდა, ქვას ესმოდეს, ქვას ეყურე-ბოდეს“.

ქვას ველაპარაკები – შდრ. პირი ქვისკენ მიქნია (ნ. ჯ. ნოდ.).

ქვას უკბინა – არ გადათქვა, თავისი გაიტანა: „ქვას უკბინა და ჩემდა ნათქვამად არ გააკეთა“.

ქვეყანა ასკდა – დიდძალი ხალხი მოვიდა, მოგროვდა. „ქვეყანა ასკდა; ფეხს ვერ მეიცლიდი, იმდენი ხალხი იყო“.

ქვეყანა გადატრიალდა – ბევრი რამ მოხდა. შდრ. ქვეყანა დეიქ-ცა.

ქვეყანა დეიქცა – არავითარ შემთხვევაში; რა არ მოხდა, ბევრი ურჩიეს, სთხოვეს... „რა არ გააკეთეს, ვინ არ შუუჩინეს, მა-რა, ქვეყანა დეიქცა და მაგან იმ ქალს თავი არ დაანება“.

ქვეყნის გასწორება – ბევრი შრომა, ზომაზე მეტი საქმის კეთება. „წაუსვლელი არ დავრჩეო, დილა-ბნელში ადგა. შუადღემ-დე ქვეყანა გაასწორა“.

ქვიდან წვეწს გამოადენს – მოხერხებულია, შეუძლებელს შეძ-ლებს. „შვილებიდან ერთი შუქრიმ ივარგა. დაგვეხმარება,

საქმესაც გააკეთებს... იმფერია, ქვიდან წვეწს გამოადენს“
(შდრ. რქიდან წვეწს იღბს“).

ქვრივ ქალზე ვირივ ყროყინებს – „ძველები ნათქვამია, – ქვრივ
ქალზე ვირივ ყროყინებსო!“

ქისიმში ჩაყოლა – ბოლომდე ჯიუტად მისვლა, საქმის ბოლომ-
დე მიყვანა, ამბის ბოლომდე გაგება. „ჯიუტია, უკან ვერ
დაახვეიებ. არ მეისვენებს, სანამ ქისიმში არ ჩაყვება“.

ქორობიდან გადარჩენა – დაბრმავებისაგან მორჩენა. „უთხრა,
რომ ქორობიდან შენი გადარჩენა შენ შვილს შეუძლიაო“.

ქოქვად ამოგდება – ძირფესვიანად მოსპობა (ქოქვი←ქოქი- ფეს-
ვი).

ქოჩორში შესვლა – ქოჩრის, სიმინდის უღვაშის გამოღება,
„აქოჩრება“ (ნ. ნიჟ.).

ქოჩრის გადმოყრა – „სიმინდი რო გეიზდება, ჯერ ქოჩორს გად-
მოყრის, მერე იზდება ტოლი“ (ტოლი-ტარო).

ღ

ღაწვის შეკვრა – 1. გაჩუმება. 2. ჭამაზე უარის თქმა.

ღელიხუხუნი – ღელის ხმაური (გადატ.) არაფრისმთქმელი,
უაზრო შეგონება. „რამდენიც გინდა ასწავლე; მაღ მაგიზა
ღელიხუხუნია“.

ღვარების ადგომა – წყალდიდობა. „შარშან ღვარები ადგა და ჩე-
მი ყანა წეღლო“.

ღვთის პირიდან გადარწიება – გასულებება, გაჩერჩეტება–„ასე
რამ გადაგარწია ღვთის პირიდან, რომ ყველაფერი დაგა-
ვიწყდა?!“

ღიმანის მოსვლა – გაცინება, გაღიმება: „მთელი დღეა ღიმანი
(არ) მოსლია“ (ღიმანი-ღიმილი).

ღმა ქართულით საუბარი – გამართული, ლიტერატურული ქართული ენით საუბარი. „ერთი დწყურე, ჭო, რაფერ ღმა ქართულით ლაპარაკობს!“ (ნ. ჯ. ნოდ.).

ღმერთზე მიპირება – ფიცის სიტყვები. ღმერთისთვის მინდობილი განსჯა... ღმერთმა გამოიტანოს განაჩენი. „ღმერთზე მიმიპირებია, ჩვენ ორ შუა, ვინც იყოს მტყუანი“ (შდრ. ღმერთი და შენი სული. ნ. ნიჟ.).

ღმერთი და შენ! – ძალიან გთხოვ, გაფიცებ. „ღმერთი და შენ! მაინც მიხვალ და მე ნულარ წამიყვან... ჩემი ძროხებიც გამოდენე“.

ღმერთი და შენი სული – ნ. ღმერთზე მიპირება; თუ ღმერთი გწამს! (შდრ. ჰყ., მენთ. სულქვეშ თქმა; ნ. შენ და შენი ღმერთი“ (ნ. ნიჟ.).

ღმერთის დაწერილი არ წეიშლება – შდრ. ნაწერი არ წეიშლება.

ღმერთმა ნუ ქნას ბებრის ბუქნა – საკვირველი რამ, მოულოდნელი, შეუძლებელი არ მოხდეს. „ბაღნიანი ქალი უნდა მეფე ვანოს? მაგი არ მოხდება. ღმერთმა ნუ ქნას ბებრის ბუქნა!“.

ღმერთმა წყალში გაპირპილა – ღმერთმა წყალში პიმიპირებით გატივტივა (გადატ.). ღმერთმა დაგახრჩოს.

ღობის ძირამდე არ მიყვება — მალე დაავიწყდება: „ტყვილაჲ ილი ენას. მაგას მაჲ ჰკვის სწავლება ღობის ძირამდე არ მიყვება“ (შდრ. მისლამდე გასცვინდება).

ღომის ამონათვლა – სველი, წყალში ამოვლებული ლაფერით (ხის ბრტყელი კოვზი) ღომის ქვაბიდან ამოღება. „ღომს, ღომილობიას გავაკეთებდით და სუფრაზე ამოვნათლავდით“.

ღონეზე მოშლა – დასუსტება (შდრ. კონდახში მოშლა).

ღორთელი ყავს მუცელში – ხარბია, გაუმაძღარი: „მაგის გაძღომა არ იქნა; ღორთელი ყავს, ნეტაჲ, მუცელში?“ (ღორთელი – საქონლის დაავადება. შდრ. გომბაქი ყავს მუცელში).

ღრუბლებში დაფრინავს – რეალობისგან შორსაა. „ჯერ კიდევ ღრუბლებში დაფრინავს ჩვენი გელინი“ (გელინი – რძალი).

ყ

ყბაღი სიტყვა – მძიმე, მარღვიანი სიტყვა (შდრ. ოყადი სიტყვა).

ყალაღზე გაყოლება – თანაბრად ჩამწკრივება: „სარები ყალაღზე გაყოლებული თუ არ არის, ღობე კაღ არ გამუა“ (ნ. ჯ.ნოდ.).

ყამირის ტყვილა ტეხვა – უშედეგო საქმიანობა. „რანა გამოვდეს მაქიდან, ტყვილაია ყამირის ტეხვა“.

ყანის გატეხვა – ყამირი მიწის საყანედ დამუშავება: „ბევრი შრომა დემეხარჯა, მარა, როგორც იქნა, გავტეხე ყანა და დავთესე“ (ნ.ჯ.ნოდ.).

ყანის გაფხეკა – ყანის თოხით გაწმენდა სარეველა ბალახებისაგან: „ხვალ მომეხმარე, ყანა მაქ გასაფხეკი: (ნ. ჯ.ნოდ.).

ყანის გაშვება – 1. ყანაში სარეველა ბალახების მომრავლება. 2. ყანის რამდენიმე წლით დასვენება, მომოდულება (ნ. ჯ.ნოდ.).

ყანის გაჭრა – ყანაში სქლად ამოსული სიმინდის გამეჩხრება, გაიშვიათება: „ნამეტარი სქელი სიმინდია, უნდა გეჭრას ყანა“ (ნ.ჯ.ნოდ.).

ყანის მოთხრა – ყანის მოთოხნა დასათესად (ნ. ჯ.ნოდ.).

ყანის მოჭმა – ყანის გამოფიტვა: „ყანა რომ მეიჭმება, მოსავალს აღარ მოგვცემს, უნდა გჷშვა“ (ნ.ნოდ.).

ყანულის (// ყანუხი/ყანოხი) გაღება (ეთნ.) – ახალდახნულ ყანაში თესვის დაწყების რიტუალი. „სანამ ყანულს არ გეიღებს – თავის მიწაზე თესლს არ ჩააგდებს კაცი, მეზობელს თესლს არ მიცემს“.

ყაპყაპად ყავს თავში – ბევრს უაზროდ ლაპარაკობს: „მთელი დღეა ენას არ აჩერებს, მაგას ყაპყაპი ყავს თავში“ (ყაპყაპად–ვასაკა).

ყაჭიპარკივით გაბერვა – გაძლომა, დანაყრება. „გევბერე ყაჭიპარკივით“ (ყაჭი–აბრეშუმის ჭია).

ყაჭის დაწოლა – ნ. კანში დაწოლა.

ყაჭის კანის გამოცლა //ყაჭის კანში წოლა //ყაჭის დაწოლა – ყაჭის – აბრეშუმის ჭიის რომელიმე ასაკში ყოფნა.

ყაჭის წასვლა – აბრეშუმის ჭიის ბოლო კანიდან ამოსვლა და პარკის საკეთებლად მომზადება (ნ. ჯ. ნოდ.).

ყბა ყბაში აქვს გავარდნილი – ძალიან დასუსტებულია, გამხდარია: „გუშინ ფიქრიე იყო ჩვენთან. ეტყობა, უჭირს, ისე აქ ყბა ყბაში გავარდნილი“ (შდრ. სახ. ყბა ყბაში გასდის).

ყბის მოქცევა – სხვის გასაჭირზე, უბედურებაზე ირონიულად შეხედვა, დაცინვა: „სად წამოვალ, ყბას მიქცევ? ამფერი ავადმყოფი მყავს სახში მოსარები!“

ყეზას თვალი არ უდგანა – ნ. ყეზას თვალი არ უჩანს. „ბაღნებს კარგათ მიმიხედეთ! ყეზას თვალი არ უდგანა“.

ყეზას თვალი არ უჩანს – სიფრთხილეა საჭირო: „დარიგება არ მეეწონება, არადა, მეშინია, ვასწავლი, ყეზას თვალი არ უჩანს“ (ყეზა – ხიფათი, მარცხი, ფათერაკი).

ყეიდაში ჩაგდება – აკვიატება, ამოჩემება. „მაგან საჭმელის ყეიდაში ჩაგდება იცის“ (ყეიდა – მელოდია, ხასიათი).

ყელემზე არ მუა // კალამზე არ მოვა – კალმით არ აღიწერება: „მევლუდა ყაჩაღის ნაქმარი საქმიები დასტურ რომ ყელემზე არ მუა“ (ნ. ნიჟ.).

ყელში გაჩხტრა – არ შერგება. „ზედმეტი პატივი ყელში გეეჩხტრა“.

ყვავის აპოხტი – გამხდარი, მჭლე, გაღეული, გამვალტყავებული: „სული არ უდგას მაგ უბედურს, რა გამხდარა მაგ ყვავის აპოხტი!“ (ნ. ნიჟ.).

ყვავს ჩამოაგდებს ხიდან – მოხერხებული, მოქნილი, შემძლეა.

ყველა დირკაზე მორგება – მედროვეობა: „ყველა დირკას მოერგება, იმფერია მაი“.

ყველის მუშტარი – მყიდველი, რომელიც სიცილით და მასხრობით ცდილობს, დააკლებინოს ვაჭარს ყველზე ფასი. „აგინი იცინიან ყველის მუშტარივით“.

ყიამეთი მჟსვარა – აგინა, შეარცხვინა: „იმფერები უთხრა, ყიამეთი მჟსვარა. მე ყურებზე ვიჭერდი ხელებს“ (ყიამეთი – საშინელი უკუნეთი, ჯოჯოხეთი) .

ყიამეთის პერანგი – ჯოჯოხეთის პერანგი. „მიცვალებულს ყიამეთის პერანგს ჩააცმენ. ისე არ შეიძლება“.

ყინვა ქვას სტკლევს – საშინლად ყინავს: „იანვრის ერთ ღამეში, ყინვა რუმ ქვას ტკლევდა, მაშინ წეიყვანა“.

ყინვის ჭამა/თოვლის ჭამა – დათოვლება; თოვლით დაფარვა. „ჩხავერმა ყინვა თუ არ ჭამა, თოვლი თუ არ ჭამა, ისე არ დაკრეფენ“.

ყიყვების გასიგება – გათამამება, გაკადნიერება, თავს გასვლა, ბაქიბუქობის დაწყება: „დიდკაცობით ყიყვები (კისრის ჯირკვლები) არ უნდა გეღსივო კაცმა, თანამდებობა, ხომ იცი, ზაფხულის ხილსავეთ, ადრე ილევა“ (ნ. ნიჟ.).

ყპას ნუ მიქცევ – ნუ მეხუმრები, ნუ მაქილიკებ. „ყპას (ყბა) ნუ მიქცევ. შენ თვითონ კარქათ იცი, რომ არ მაქ“ (ნ. ჯ. ნოდ.).

ყუაზე დაყენება, ყუაზე დაყვანა – საქმის დაბოლოება: „ბევრი ვიმუშავე, მარა საქმე მაინც დავაყენე ყუაზე“ (ჯ. ნოდ. შდრ. გლ. ყუაზე მიაყენებს).

ყუთში შენახვა – საგულდაგულოდ დამალვა: „დეიდაშვილებმა უთხრეს, – რახან ჩვენთან მოი, ნუ გეშინია, ყუთში შეგინახავთ“.

ყურას მოწევა – წილის ყრა: „მოჲ, ყურა მოვსწიოთ და ვისაც შეხტება, იმამ მეტანოს წყალი“ (ყურა-წილი) (ნ. ნოდ.).

ყურები აქ ჩამოყრილი – დაღონებულია. „რა სჭირს, თელი დღეა ასე ზის, ყურები აქ ჩამოყრილი“.

ყურებში ბამბა აქ გამოტკეპნილი – არაფერი ესმის: „აზრი არ აქ მაგასთან ლაპარაკს, ყურებში ბამბა აქ გამოტკეპნილი“.

ყურებში ლანდი გასდის – ნ. ყბა ყბაში აქვს გავარდნილი.

ყურზე გძინავს – არაფერი იცი, არაფერი გაგიგია, „მას მერე ქვეყანა გადატრიალდა, და შენ ყურზე გძინავს“ (ნ. ჯ. ნოდ. შედრ. სახ. ყურზე ძილი).

ყური ამოქოლილი აქვს – არ გაიგონებს, შეუსმენელია: „აზრი არ აქვს მაგასთან რაიმეს თქმას, ელაპარაკე და იყავ, ყური ამოქოლილი აქ“ (შდრ. ყურებში ბამბა აქ გამოტკეპნილი).

ყურის გამოფხზნა – სმენის გამახვილება, ყურის დაგდება, მოსმენა: „გუშინ კრებაზე ვეფერი ვერ გეგვე.– ყური გამოიფხზენი და გეგეფ“ (ნ. ჯ. ნოდ.).

ყურის გახვრეტა – მოსმენა, გაგება: „მოხერხებულინა იყო, ყურინა გქონდეს გახრეტილი“.

ყურის თხოვება – დაჯერება, მოსმენა: „ვაჟმა ყური არ ათხუა და წუუსწრო გოგოს“.

ყური მისცა// ყურაგდება მისცა – მოუსმინა, ყურადღება მიაქცია: „მოსაფირმა(სტუმარი)ამ ვარიას ყური მისცა“. „ეს თავრობა ფუხარა (ღარიბი) ხალხს ყურაგდებას აძლევს“ (ნ. ნიჟ.).

ყურის მიტანება – თვალყურის დევნება, მეთვალყურეობა: „ხოჯა გოგოს ძალიან ყურს ატანდა“.

ყურის ძირამდეა შეყვარებული – უსაზღვროდ შეყვარებულია.

ყურის ძირში – აქვე, ახლოს. „ძროხა ყურის ძირში ბალახობდა და ვერ ნახა“ (ნ. ნოდ.).

ყურის ძირში განთება – სილის გაწვნა, გარტყმა: „იმფერი გაანთო ყურის ძირში, რომ ბული გაადინა“ (შდრ. ონიანი, ალი-ყურის ჭმევა).

ყურის ძლევა – თვალყურის დევნება: „ჭუჭულებს ყური აძლიე, ქორმა არ წეღოს“.

ყურის წაგდება – გაუგონრობა, წაყრუება. „მაქფერი ყურის წაგდებით ფუჭდება საქმე“.

ყურს და ყურს შუა გამოგაყოფიებ თავს – მაგრად გცემ, თავს გაგიხეთქავ (შდრ. გლ. ყურს შუა გამოგაყოფიებ თავს).

ყურმოცლილი ნერგი – კარგად გახარებული, ფოთლებგამოღებული ნერგი: „ყურმოცლილი ნერგი უნდა იყოს, რომ გადარგა“.

ყურწამდი გაღება – (ყურწი–ყუნწი...): ბოლომდე გაღება: „არ გცივა, ჭო, ყურწამდი რომ გააღე კარები?!“ (ნ. ნიჟ.).

ყუსურზე დახედვა – დაძრაობა, ნაკლზე მითითება. „საჭმელი დადგმულია, მიირთვი, მარა ყუსურზე არ დიმიხედოთ“ (კალკი – თურქ. kusura bakmayniz) (ნ. ნიჟ.).

შ

შავი დედალივით გაკეთდა – ბედმა გაუღიმა, ბედი სწყალობს, ყველაფერში ხელი მოემართა.

შავი დღის გათენება – დაზიანება, სიკვდილის პირზე მისვლა: „ძაღლმა ეცა მგზავრს და შავი დღეა გჴეთენა“.

შავი სანთელი ვწირე – შევცოდე, ცუდი საქციელი ჩავიდინე, დავაშავე: „ნეტაჲ, რა შავი სანთელი ვწირე, რომ ასე დამაგდო ავადმყოფობამ?“

შავმა შავი იცის – დიდხანს რომ არ გაიხდიან სამგლოვიარო შავ ტანსაცმელს, მიაჩნიათ, რომ ოჯახში, შეიძლება, ისევ გარ-

დაიცვალოს ვინმე. ამიტომ შაოსან მგლოვიარეს- ეტყვიან ხოლმე, – „არ ვარგა, გეძრე, შავმა შავი იცისო!“

შალის გახალისება – ახალმოქსოვილი შალის შეთელვა. „შალს ვთელავთ, ვთელავთ.. გახალისებთ, დარბილდება...“.

შეაბა კბილი – გადაეკიდა : „ამდენი ხანია, აგინებს, აგინებს... რას შეაბა კბილი, საქმე გამოელია, ხომ?“

შეითანზე ადრე დაბადებული – ძალიან ეშმაკი, მოხერხებული.: „მაი ქალი, შეითანზე ადრე დაბადებულია“ (შდრ. ეშმაკზე წინ გამშპარი).

შეითანს თვალი არ უჩანს – სიფრთხილე, სიფხიზლეა საჭირო (შდრ. გლ., სიფრთხილეს თავი არ ტკივა).

შეითანს მოსტეხე ფეხი – ნ. კატას ჭლიკი მოსტეხე.

შეკრავ ბლიკვზე თავს – დაისჯები. „ბაღანას ნუ აწვალეფ, თუარა შენ შეკრავ ბლიკვზე თავს“ (ბლიკვი – მუშტი).

შენ არ გამოძითავდი – შენ იცოცხლე დიდხანს (ნ. შენ არ გამოწყდი).

შენ არ გამოწყდი – ალერსიანი წყრომის გამომხატველი გამოთქმა, ქების, აღტაცების გამოსახატავად; შენ გაიზარდე; შენ გაიზარე, აგრემც გაიზარე! (ნ. ნიჟ.).

შენდა ნათქვამად არა – ენა ვერ გამოთქვამს, ისეთი, ენით შენც ვერ იტყვი. „ნარგიზაჲ ახლა წახთა, თუარა დედოფლობა-ში იმფერი სანახავი იყო, შენდა ნათქვამად არა!“

შენ და შენი ღმერთი! – ნ. ღმერთი და შენ. თუ ღმერთი გწამს!“ „შენ და შენი ღმერთი! რაცხაფრა მაშონიე...“ (შდრ. ონიანი, მე და ჩემმა ღმერთმა).

შენი თავი ამართვა ღმერთმა! – ცოცხალი არ გადარჩენილიყო, სიკვდილი შენი! (წყევლა –ნ. ნიჟ.).

შენი თავი მომართვი! – შენ შემოგველე; შენ დაგენაცვლე! „პი-დამდი სული მიდგია, შენ რაფერ დიგივიწყევ, შენი თავი მომართვი, გეყურბანე! (ნ. ნიჟ.).“

შეპეჭილი ჭკვა – სხვისგან ნასწავლი, სხვისი გაწვრთნილი გონება: „შეპეჭილი ჭკვით მე რანა გავაკეთო, ჩემი ჭკვითნა ვიცხოვრო, – თქვა პაწა ძმამ“.

შენ ფეჭეში გამატარე – დამითანხმე.

შენი ხელის შემხედვარე – შენი მოიმედე, შენზე დამოკიდებული: „ახლა გინდა ვაშკაცობა. ორი ოჯახი შენი ხელის შემხედვარე“!

შვიდ სოფელს ერთ კარდაღს შეაკიდებინებს – მოხერხებულია (შდრ. – ერთ სოფელს ერთ ხიდზე გაატარებს).

შვილი ყურობს ჩემი – გამოთქმა გამოიყენება საუბარში ნაუბრის დასამტკიცებლად. ასე მიმართავენ ასაკით უმცროსს ან უხერხული საუბრისას უმცროსთან ბოდიშის მოსახდელად (ნ.ნოდ.).

შეთან გადღეფარა – ეშმაკი გადაეფარა; უკვალოდ დაიკარგა, ნახვა შეუძლებელია (შდრ. სახ. მიწამ პირი ჰქნას; ნ. ნიჟ.).

შეთანს თვალი არ უჩანს – არ იცის, რას აკეთებს (შდრ. ყეზას თვალი არ უჩანა).

შიში დიდი თვალებით გუგუნებს – შიშს დიდი თვალები აქვს (ნ. გლ.).

შორ ქვეყანას ნახსენები – ნ. პირი ქვისკენ მიქნია (ნ. ჯ. ნოდ.).

შუა ხიდზე დგომა – დაფიქრება, ყოყმანი: „შუა ხიდზე დგას, არ იცის როგორ გააკეთოს“.

შრატის წაგდება – შედედებული რძისგან წვენის გამოყოფა. „რძე რომ შედგება, შრატს წეიგდებს და ამევლებთ ყველს“.

შუახორცათ ყოფნა – ამბობენ, როცა ადამიანი არც გამხდარია და არც მსუქანი. „დიდ სიმსუქნეს შუახორცათ ყოფნა შჯობია“ (ნ. ჯ. ნოდ.).

შუბლზე ცხრა კამეჩის ტყავი აქ გადაკრული – უსირცხვილოა: „რას იზამ, მად ლირწია, შუბლზე ცხრა კამეჩის ტყავი რომ აქ გადაკრილი კაც, ის ყველაფერ იკადრებს“.

ჩაამღერებს ძუძუ (კარდალში) – შდრ. ძუძუები მღერიან. „კარდალს... დუდგამ, მოწველი. ჩაამღერებს ძუძუ კარდალში“.

ჩალაგამოვლებული დარჩა – მოტყუებული დარჩა: „ხედავ რა დეემართა, ჩალაგამოვლებული დარჩა“.

ჩალის ფასად გაყიდვა – იაფად, მცირე ფასად გაყიდვა. „ჩალის ფასად იყიდებოდა ყველაფერი“ (ნ. გლ.).

ჩამეითესპა ჩემი დღიები – სიცოცხლის დასასრული დამიდგა: „ჩამეითესპა ჩემი დღიები, რაღა დამჩა“.

ჩამდგომ წასვლა – დროებით, სამუშაოდ, რამდენიმე დღით დასახლება: როცა ყანა შორს ჰქონდათ, დათესვის დროს ოჯახიდან „გაიბარებოდნენ“. ყველაფერ საჭიროს თან წაიღებდნენ და თესვის დამთავრების შემდეგ დაბრუნდებოდნენ... „ხვალ დილიდან ჩამდგომ მივდივარ აფუშულში, ოთხ დღეში დავეთესავ“ (ნ. ჯ. ნოდ.).

ჩამოქცევა ცის – დიდი ხანგრძლივი წვიმა, თავსხმა. „ერთხანსულ ყურადღებმა (გვალვა) დეიჭირა, ახლა წვიმები დეიწყო და ცა უნდა ჩემიქცეს, გამოდრის პირი არ ცხია!“ (შდრ. ვაჟა, ცის ქცევა; ნ. ნიჟ.).

ჩარხის უკულმა ტრიალი – გაუმართლებლობა, მძიმე ცხოვრება: – „ჩემი ცხოვრება რამე არაა, ჩემი ცხოვრების ჩარხმა სულ უკულმა იტრიალა“ (შდრ. გლ. ბედის ჩარხი უკულმა დაუტრიალდა).

ჩასტაღში ჩაჯდომა – დადარაჯება, ჩასაფრება: „წუხელს ჩასტაღში გეჯექი, ვერ დაგინახე ბნელშია“ (ჩასტაღი–საფარი).

ჩახურებული მუშაობა – ჩქარი ტემპით მუშაობა: „ჩახურებული მუშაობენ. შუადღემდი გამარგლიან“.

ჩემი პური ხარ – გძლიე, გაჯობე, „ჩემი ლუკმა ხარ“: „ხომ ხედავ, მოგერიე, ჩემი პური ხარ“ (შდრ. სხვისი პური).

ჩემი ქეტო დალეულია? – ჩემი ცხოვრების დასასრული დამდგარა, მოახლოებულია. „ჩემი ქეტო თუ დალეულია, რაც უნდა, ის დამემართოს!“ (შდრ. საცერი კედელზე მიკვდი).

ჩემმა თავმა ქვა მესროლა – არ მეკუთვნის? მე არ მერგება? – „რატომ მიგაქ, მეც კარგათ მოვიხმარ. ჩემმა თავმა ქვაჲ მესროლა, თუ რა?“ (შდრ. სახ. – ჩემს თავს ქვა ვესროლე).

ჩემმა თავმა წრიხი მკრა? – შდრ. ჩემმა თავმა ქვა მესროლა? – „მაქფერი გოგო შენ უნდა გამოგიჩიო, ჩემმა თავმა წრიხი მკრა?“

ჩემს ზურგზე ცეკვავს ხორუმს – თავის სასარგებლოდ მიყენებს. „ძალით რომ გააგდო, არ წავა. რაზე წავა! ამდენი ხანია, ჩემს ზურგზე ცეკვავს ხორუმს“.

ჩემს კანში მოვიხრაკე – ჩუმად, სხვის შეუწუხებლად გადავიტანე ყველა გასაჭირი: „ჩემს კანში მოვიხრაკე და მე ქი მოვკტი, დავგლახთი“.

ჩემს კოჭზე – ჩემი შეძლების მიხედვით, ჩემი უნარით, „ჩემს კოჭზე ამდენი მჭახერზე. თუ არ დაგწონდებიან, თქვენ უკეთესი ააშენეთ!“ (ნ. ნიჟ.).

ჩემ ტაფაში მევხრაკე: „ცხოვრებაში იმდენი გაჭირვებები მინახია, მარა ჩემ ტაფაში ვიხრაკებოდი“.

ჩემ ცივ გულზე დაგებედოს – მკვდარი გენახო: „შენ წინააღმდეგ თუ რამე მეთქვას, ჩემ ცივ გულზე დაგებედოს!“

ჩინჩხლი კიბე – პატარა კიბე. „ნალიაზე ჩინჩხლი კიბე მიაყუდა და ევდა“.

ჩირფის დარტყმა – დასახერხი მორის ზომაზე დაღარვა ჩირფით (საღებავიანი წვრილი თოკი, ლარი), ლარის გავლება (შდრ. მენტ. ლარის დარტყმა; ნ. ნიჟ.).

ჩიტი გვინძღშია – ყველაფერი დამთავრებულია. „მისი გააკეთა და წევდა, დეჟკარქა – ეძებე აწი– ჩიტი გვინძღშია“ (გვინძღი–ბუჩქი).

ჩიტი კურკანტელს ვერ გეიტანს – გაუვალი ადგილია. „ტყეში იმფერი ადგილებიცაა, ჩიტი კურკანტელს ვერ გეიტანს“.

ჩიტიც ვერ შეფრინდება – ვერ შეაღწევს, ვერ მისწვდება (შდრ. ჩიტი კურკანტელს ვერ გეიტანს).

ჩიტს ვერ დეიჭერს – ვერაფერს შეძლებს; მიაღწევს. „მასე კაი ჩიტ ვერ დეიჭერ“.

ჩოფის მოწევა – (ჩოფი – თურქ. არჩევანი კენჭის ამოღებით) წილის ყრა: „მასე თუ ვერ მორიგდებით, მაშინ ჩოფი მოსწიეთ“ (ნ. ნიჟ. შდრ. ყურას მოწევა).

ჩუმის გაღება – ხმის ამოღება. ჩუმს არ გეიღებს – ხმას არ ამოიღებს, გაყუჩდება (ნ. ნიჟ.).

ჩუმის მოპარვა – გაჩუმება, გაყუჩება: „ვარესი არ თქვასო, ჩუმი მოვპარე და თან წამუელი“ (ჩუმი–ხმა).

ჩხირი კედელს – დიდი ხნის უნახავი სტუმრის მოსვლისას ამბობენ: ჩხირი კედელს ან კერიას ნახშირიო: (ნ), „ჩხირი კედელს! რომელმა ქარმა გადმოგადო ჩვენკენ?“ (ნ.ჯ. ნოდ.).

ჩხირის გვერდზე გადაბრუნება –უსაქმოდ ყოფნა: „მთელი ზამთარი უსაქმოდ იყო, ჩხირი გვერდზე არ გადაბრუნებია“ (ნ. ჯ. ნოდ.).

6

ცა და ქვეყანამ გეიგო – ყველამ გაიგო. ამბავი ძალიან გახმაურდა: „შენ გეგონა, არვინ არ იცისო მარა ცა და ქვეყანამ გეგო“ (ნ. ჯ. ნოდ.).

ცაზე უსვამს ხელს – აღფრთოვანებულია, უხარია: „ისე დახტის და უხარია, გეგონება, ცაზე უსვამს ხელს“.

ცალი თვალით საყურებელი – სათუთი, ნაზი, ზედმეტად მოსაფრთხილებელი. „დიდ ოჯახში მაი არ გეძებოვ. კად გოგოა, მარა ცალი თვალით საყურებელი“ (შდრ. თ. სახოკია, ცალი თვალთ ცქერა – ყურადღების ღირსად არცნობა; აღმაცერად, უნდობლად ცქერა“.

ცალი ფეხი მიწაში უდგია – სიკვდილს მიახლებულია (შდრ. გლ., ცალი ფეხი სამარეში უდგას).

ცალპირა სახლი – ოჯახის გაყოფის შემთხვევაში ზოგჯერ სახლს გახერხავდნენ. ერთ ნაწილს დაშლიდნენ, სხვა ადგილას გადაიტანდნენ და ააგებდნენ. ასეთ სახლს ცალპირა სახლი ერქვა (ნ. მიქელ., 33).

ცალუღელაი დარჩა – დაქვრივდა. „ცალუღელაი დარჩა, მარა ოჯახი არ მოშალა“.

ცამ ფეხათ ჩამოვდა–ნ. ზეცა ჩამოწვა (ნ. ნოლ. გლ.).

ცარიელაი დარჩენა – 1. მარტოდ დარჩენა. „სახში აღარავინ არ ყავს; ცარიელაი დარჩა“. 2. არ დამაკდა: „ჩემი ძროხა წელს ცარიელი დარჩა, არ დეძსავსა“ (შდრ. გლ., ცარიელზე დარჩენა).

ცას გამიეკვრება – ხანგრძლივად იცოცხლებს, დიდხანს არ მოკვდება: „ცას გამიეკვრება, ნეტად, ჩემი დედამთილი, სიკვდილს აღარ აპირეფს?!“ (შდრ. ქავთ. იმერ., ცას გამიეკვრება. ნ.ნიჟ.).

ცას დირეგი გამოშპა – უბედურება დატრიალდა, „ქვეყანა დაიქცა“ – „ქმარი რომ მომიკტა, მეგონა, ცას დირეგი გამოშპა“.

ცაში ფრენა–სიხარული: „ცაში ფრენს, რა კაია ახალგაზდობა. ღმერთმა კარგა ამყოფოს“.

ცაში ხელის მოსმა – გახარება: „შენც მწესვი ცაში ხელი და იძიბინე“.

ცა ჩამოექცა თავზე – გაუბედურდა (შდრ. ცას დირეგი გამოშპა).

ცეპის დარტყმა – ალყის შემორტყმა: „ფადიშაჰმა გურუნჯის სახლს ცეპი დაარტყა“ (ცეპი-ჯაჭვი, ალყა).

ცერი თითებზე დგომა – შდრ. თითის წვერებზე დგომა: „სიხარულიმგონე ჭედელი ცერი თითებზე იდგა“ (შდრ. ქართული ცეკვის ერთ-ერთი ილეთი-ცერული და ცეკვაც! (ნ. გლ.).

ცეცხლის გაქცევა – ხანძრის ცეცხლის სხვა ტერიტორიაზე, მეზობლად, გარშემო გადასვლა: „ცეცხლი არ გეიქცესო, გარშემო მოვითხრიდით“.

ცეცხლის დანთება – ემოციის გამძაფრება, აღფრთოვანება. „ისე იმღერეს, ცეცხლი დაანთეს“.

ცეცხლის მეზობელი – ახლო მეზობელი; მოკეთე მეზობელი (შდრ. შარაშ. მენთ., კარის მეზობელი; სახ., მეცეცხლე მეზობელი).

ცეცხლის პერანგით გავზარდე – ტანჯვა-ვაგბით, გაჭირვებით გავზარდე: „სხვამ რა იცის, რაფერ ცეცხლის პერანგით გავზარდე ჩემი ოთხი შვილი“.

ცეცხლის შეკიდება – გამწარება. „მაგას ცეცხლის შეკიდება კიდევ რათ უნდოდა, ისეც გამწარებულია“ (შდრ. გლ. ცეცხლზე ნავთის დასხმა).

ცეცხლი უკიდია – ეჩქარება, ჩქარობს. „იმხელას მირბოდა, გეგონებოდა, ცეცხლი უკიდაო“.

ცეცხლი წინწკალში იცინის – ასე ამბობენ, როცა კერაზე კარგად გაღვივებული ნაკვერჩხლები მოჩანს ან, როცა ხმელი შეშა ხმაურით, კარგად ინთება და თან ნაპერწკლებს ისვრის.

ცეცხლში ჩაგდება – გამწარება. „გოგო გულში ფიქრობდა, – ასეთ ცეცხლში რატომ ჩამაგდეთო“ (ნ. ონიანი; შდრ. გლ., ცეცხლის ალში გატარება).

ცეცხლის გაპარება – ცეცხლის ჩაქრობა: „ცეხლი კარქათ დახვე-
ტე, ღველფი დააყარე, თუარა გათენებამდი გეპარება“ (ნ.
ჯ. ნოდ.).

ცეცხლის გული – ნაკვერცხალზე დასხმული სამკურნალო წყა-
ლი. „მუცელატკივებულ ბავშვს ცეცხლის გულს დავალე-
ვიებთ“.

ცეცხლის დანელება – აბრიალებული ცეცხლის ჩაქრობა: „ცეხლი
დანელე ბონდოზე. ისე არ დატო“ (ჯ. ნოდ.).

ცეცხლის დაფსება – ცეცხლის ჩაქრობა: „ცეხლი კარქა შუწნთე,
თუარა ჩვენ მოსლამდე დეიფსება“ (ნ. ჯ. ნოდ. შედრ. ცეცხ-
ლის გაპარება).

ცეცხლის დახვეტა – ნ. ცეცხლის გაპარება.

ცეცხლის შენახვა – (ეთნ.) ღამით ცეცხლი რომ არ ჩამქრალიყო,
გაღვივებულ ნაკვერცხლებს ნაცარს, ღველფს დააყრიდნენ
და შეულოცავდნენ: „ცეცხლო, ელოდე, მელოდე, მე მელო-
დე, მთვარეს ეთაყვანებოდე; დილას ადრე ამდგარიყავ,
დონჩხაურად (გაღვივებული) დამხვედროდე“.

ციდან გუგუმით წყლის სხმა – ძლიერი, თქეში წვიმა: „გეგონება,
ციდან გუგუმებით ასხამენ წყალს, რაფერ წვიმს, ჰა“ (შდრ.
გლ., ცამ პირი მოიხსნა).

ციდან ვარსკვლავის მოწყვეტა – შეუძლებლის გაკეთება:
„ფრთხილად იყავ, თვარა თუ დამჭირდა, ციდან ვარსკვ-
ლავებ მოგაწყვეტიებ“ (ნ. გლ.).

ცივი დილა – ახალგათენებული, სისხამი დილა, ალიონი: „კარ-
გათ ხომ ხარ? ამ ცივ დილას რამ მოგიყვანა?“ (შდრ. გლ.,
ცინცხალი დილა).

ცივობის ჩამოვარდნა – ურთიერთობის გაფუჭება.

ცივ ქვაზე დაგამოსახლებს – აგაშენებს, კარგი ოჯახის პატრონს გაგზდის: „ჩემ მოკეთეს! იმფერი ძალი მეფყვანე, რომ ცივ ქვაზე დაგამოსახლებს“ (ნ. ნიჟ.; ონიანი).

ცივწყალნასვამი – ადგილობრივი, მკვიდრი: „აქაურია, ცივ-წყალნასვამი. აქ არ დეიკარგება“.

ცისარტყელას ვერ გადაახტები – შეუძლებელს ვერ შეძლებ. „რა-ფერც დროს კარებს ვერ მწხურავ, ისე ცისარტყელას ვერ გადაახტები“.

ცის გახსნა – (ძვ. მუს.: ნატვრის ღამე) მორწმუნეთა შეხედულებით, ყოველწლიურად რამაზანის თვის შუა რიცხვებში წამიერად გაიღება „ცის კარი“: ვინც მოასწრებს, თავისი ნატვრა შეავდროს ღმერთს, თითქოს აუსრულდება|| (გად.) უსაზღვრო ბედნიერების, წადილის, ნატვრის ასრულება.

ცის ფსკერის გამოშპენა – ძლიერი, თქეში, გადაუღებელი წვიმა: „ცუდი ამინდებია, წვიმს, ცის ფსკერი გამოშპა მგონია“ (შდრ. ციდან გუგუმით წყლის სხმა).

ცის ჩამოქცევა – 1. გაუბედურება: „მაგისტვინ დეიქცა ყველაფერი, მაგისტვინ ჩემიქცა და ჩამეიცალა ცამაც“ (შდრ. ონიანი, ცის თავზე დაქცევა). 2. ძლიერი წვიმა, ღვარცოფი (შდრ. ცაჲ ფეხათ ჩამოვდა).

ცის ჩამოშლა – გაუბედურება (ნ. ცის ჩამოქცევა).

ცოდვა გამხელილი ჯობია – გულღიაობა, სიმართლის აღიარება სჯობს. „ცოდვა გამხელილი ჯობია და... მაჲ გოგო ჩემთვინ მინდოდა“.

ცოდვა ძირში არ დავარდება – ჩადენილი ბოროტება, ავკაცობა არ დაიკარგება, ცოდვის ჩამდენს არ ეპატიება, პასუხი ღმერთისგან მოეთხოვება: „დედამთილი ისე გაამწარა, ქალს შიმშილით ამოხთა სული. ნახოს ახლა, მას ვარესი

რძალი ყავს, ცოდვა ძირში არ დავარდება“ (შდრ. გლ., ცოდვა დაედება; ცოდვა მოეკითხება).

ცოდვის მოგება – ბოროტების, დანაშაულის ჩადენა, შეცოდება: „გამწარებულ, ავადმყოფ ქალს აღარ მშარა. ცოდვა მეფგო, მეტი რა!“ (შდრ. გლ., ცოდვაში გახვევა; ცოდვაში ფეხს ჩაადგამს).

ცოცხალი დათვის ტყავს ნუ გაყიდი – წინდაწინ ნურაფერს გადაწყვეტ. „ცოცხალი დათვის ტყავს ნუ გაყიდი, თჳრა იმ დათვმა იქნება შენ შეგჭამოს“.

ცოცხლები იჭამდენ ხორცებს – ძალიან ემინოდათ: „შიშით ცოცხლები იჭამდენ ხორცებს, – რას გვიზამსო“ (შდრ. გლ., კბილით ხორცს იგლეჯს).

ცრემლები დაკაკლა – ცრემლები გადმოყარა, მწარედ იტირა: „უნცროსმა დამ იმფერი იტირა ძმაჲ, ისე დაკაკლა ცრემლები, ტირილს ვერ შეიმაგრებდი“ (შდრ. გლ., ცრემლები დააყარა).

ცხენი გვარზე გაჭენდება – შდრ. გლ., კვიცი გვარზე ხტის.

ცხენს/ვირს ბაგაზე გააცინებს – გააოცებს: „ებლაყუნება, ებადუნება, იმფერებს მიმოედება, ცხენს ბაგაზე გააცინებს“.

ცხვირზე არ იდებს – უმადური, დაუნახავი ადამიანია: „რაც არ უნდა გუუკეთო, ცხვირზე მაინც არ იდებს“.

ცხვირი აქ აზზეკილი – გაამაყებულია: „იმფერი გახდა, იმფერი, ცხვირიც აზზეკა“ (შდრ. გლ., ცხვირის აწევა).

ცხვირი განზე აქ გაზზეკილი – განაწყენებულია, გაბრაზებულია. „რა დჳშავეთ ამფერი, ვერ ვხთები, არც გვიყურებს, ცხვირი განზე აქ გაზზეკილი“.

ცხვირით ჩეერჭო – გაისარჯა, მოინდომა და გააკეთა.

ცხვირი დაასკვა – შდრ. ცხვირით ჩეერჭო.

ცხვირის გაშვება – გაბრაზება, ამრეზა, გაბუტვა, დამდურება:
„შენ ამას არ უკვირდები... რომ გეტყვი, ცხვირს გააშვერ“
(ნ. ნიჟ. შდრ. ცხვირი განზე აქ გაბზევილი).

ცხვირის მოხოცვა – 1. მცირე ასაკზე მითითება. „ჯერ ცხვირი არ მოგიხოცია, რა უნდა გამოარკვიო?!“ 2. სიმინდის გარჩეულ ტაროებზე წვეროების წატეხა. „სიმინდის კოტებს (ტარო) ცხვირს მოვხოცავთ და იმ სიმინდს ქათმებს ვაჭმევთ“.

ცხვირმა დიმიმოწმა – „ცხვირმაც დამიდასტურა“. როცა რაიმეზე ლაპარაკობენ და ვინმე დააცემინებს, იტყვიან, – მართალს ვლაპარაკობ, ცხვირმაც დიმიმოწმო“ (ნ. ჯ. ნოდ.).

ცხვირის შებრუნება – უბრადა ყოფნა. „ცხვირი შიმიბრუნა, რა უნდა, არ ვიცი, მეც პირი არ მიმიცია“.

ცხვირის წაბზეკა – გაბრაზება: „რას წიგიბზეკია ცხვირი, ვინმეს ემდური?“ (ნ.ჯ. ნოდ. შდრ. ცხვირი განზე აქ გაბზევილი).

ცხვირის წვერში უდგას სული – მოუთმენელი, სულსწრაფია:
„რა დროეს მაგის ცოლია, მარა ახლანდელ ბიჭებს ცხვირის წვერში უდგანან სული“.

ცხვირის წვერში აქსული – ნ. ცხვირის წვერში უდგას სული.

ცხვირპირიდან წასხმა – გაკეთებულის დამადლება. „რაცხას გაგიკეთებს და მერე მთელი დღე ლაპარაკობს, გაგიკეთეო, რათ მიინდა ამფერი გაკეთება, თუ ცხვირ-პირიდან წამასხმევიე?“

ცხვირ-პირი ჩამოსტირის – დამწუხრებულია, დანაღვლიანებულია: „ისე იყო აბლა-ხანუმი, ცხვირ-პირი ჩამოტიროდა“.

ცხვირ-პირის წასკნა – გაბრაზების ან უკმაყოფილების გამო იერის შეცვლა, გამკაცრება: „ცხვირ-პირის წასკნა რატომ იცი, რა გეწყინა ? (ნ. ჯ. ნოდ. შდრ. გლ., ცხვირის ჩამოშვება).

ცხოვრების გამოსინათლება//ცხოვრების გამოდარება – ცხოვრების გაუმჯობესება: „მთელი ცხოვრება წვალობაშია, მისმა ცხოვრებამ არ გამეისინათლა, მისი დარი არ დადგა, არ გამოიდარა“.

ცხოვრების კიბის ჩატეხვა – გარდაცვალება: „რა იყო მისი სიცოცხლე, სულ ახალგაზდა წევდა ამ ქვეყნიდან, მისი ცხოვრების კიბე უდროოდ ჩატყდა“.

ცხრა მთავრობის აფერისტი – პირმოთნე. „მაგას არ ენდო, ცხრა მთავრობის აფერისტია, მოგატყუებს“.

ცხრა მთას იქით! – ცუდი, საშინელი, სამწუხარო ამბის მოყოლისას იტყვიან, თითქოს ეშმაკეულმა ძალებმა არ ისმინონ და ეს შემთხვევა ჩვენზეც არ გავრცელდესო. „ამბობენ, ახლო ხანში დიდი სელგაჰი (წყალდიდობა) იქნებაო... ცხრა მთას იქით, ეს რა გაიგონა ჩემმა ყურმა!“ (ნ. ნიჟ.).

ცხრა მთას იქით ნახსენები – ამბობენ ცუდი ამბის თქმის დროს: „გველმა მეგემ ბაღანას უკპინა და, ცხრა მთას იქით ნახსენები, ორ დღეში მოკტა“ (ნ. ჯ. ნოლ.შდრ. ქვას ეყურებოდეს...).

ცხრა სოფლის ადვოკატი – მოხერხებული, გაქნილი: „მაგი ცხრა სოფელს ადვოკატად გამოადგება“ (შდრ. ცხრა მთავრობის აფერისტი).

ცხრაიანი აკლია – ჭკუათხელი, ჭკუნაკლულია, მოისულელეებს, ჭკუას შემოსწყრომია (ნ. ნიჟ. შდრ. გლ. თავში უქრის).

ძ

ძარღვის გაკავება – ნ. ძარღვის გაშტერება.

ძარღვის გაშლა – დაზიანებული კუნთის მოძრაობის აღდგენა.

ძარღვის გაშტერება – კუნთის გაციების ან დაზიანების გამო კუნთის მოძრაობის შეზღუდვა.

მარღვის შესკნა – კუნთის მარღვის დაზიანება. მარღვი თუ შეესკნა კაცს, უცებ თავს მუუბრუნებენ და მარღვიც გეემლობა“.

მაფის დაღევა – გარდაცვალება: „მისი ძაფი დეილია, ადრიანაჲ დეილია“ (შდრ. ცხოვრების კიბის ჩატეხვა).

მაღლაჲ (გოგო...) – ძლიერი, ყველაფრის ამტანი (გოგო...) „იმფერი მაღლაჲ, რომც გუჭირდეს არ იტყვის, მარა მისას გემტანს“ (შდრ. ჯორა ბაღანა).

მაღლის ყეფა არ მესმის – ნ. მუცელში ლეკვები ყეფენ. (ნ. ნიჟ.).

მაღლი ქალი – ანჩხლი ქალი: „კაცს თუ მაღლი ქალი ყავს, მის სიცოცხლეს სიკტილი ჯობია“ (ნ.ჯ. ნოდ.).

მაღლმა დაგიმადლა – ამბობენ, როცა დაგვიანებით ასრულებენ რაიმე საქმეს: „როცა ფული მჭიროდა, მაშინ არ გადამიხადე ვალი, ახლა რაღათ მინდა, მაღლმა დაგიმადლა“ (ნ.ჯ. ნოდ.).

ძვალის დაგდება – ერთ ადგილას დიდხანს ჯდომა, ყოფნა: „დააგდო ძვალი; მის წასლას არ დაადგა საშველი“ (ნ. ნოდ. შდრ. გლ., ძვალის გაგდება).

ძველ დავლს უკრავს // ძველ დავლს ერაზუნება – ძველი ყაიდი-საა: „რას იზამ, ვერ გააგნებიებ, ძველ დავლს ერაზუნება, ძველ დავლს უკრავს“.

ძვალს მზილათ მოგიქცევ – მაგრად გცემ, დაგთელავ: „ისე გაგლახავ, ისე, რომ ძვალს მზილათ მოგიქცევ“ (ნ.ჯ. ნოდ. შდრ. ტყავს აგაძროფ ზრუგში. შდრ. გლ., ძვალსა და რბილს გაუერთიანებს).

ძილს უძახის – უნდა, დაიძინოს; ცდილობს, დაიძინოს: „ბაღვი რომ ძუძუს წოვს და ღიღინებს, ძილს უძახის“.

ძილს უძმობს – ნ. ძილს უძახის.

ძუძუები მღერია – წველისას რძის სასიამოვნო შხრიალის ხმას სიმღერასთან აიგივებენ და ამბობენ – „ძუძუები მღერია-ნო“ ან „ჩაამღერებს ძუძუ კარდალაში“ (ნ.).

ძუძუ მიტირის – როცა მეძუძურ ქალს ძუძუში რძე მოაწვება და დენას დაიწყებს, ამბობს: „ძუძუ მიტირის, ახლა ბაღანასაც შია და ვაჭუმ“ (ნ.ჯ. ნოდ.).

ძუძუმოკითხული – ნ. თვეში ფეხჩადგმული.

ძუძუმოწყებული – ნ. ძუძუმოკითხული.

ძუძუს თავზე კბილის დადგმა – შვილობილად გახდომა, დანათესავება (ნ. ნიჟ. შდრ. გლ. ძუძუზე კბილის დადგმა).

ნ

წაკრა-წაკრა მუშაობა – ხანდახან, დროგამოშვებით მუშაობა. „წაკრა-წაკრა მუშაობით რა გამოგივა. თავს ატყუებ და მეტი არაფერი“ (ნ.ჯ. ნოდ.).

წაკურდღვლა – თვლემა (შდრ. გლ., თვალის წატყუება; კურდღლის ძილი).

წამდიდრება – პურის წამდიდრება – პურის ცომის საფუარით გაღვივება, გაფუება (ნ. ნიჟ.).

წამლათ რომ გინდოდეს – აუცილებლად გჭირდებოდეს: „უწინ ბევრი იყო, მარა ახლა წამლათ რომ გინდოდეს, ვერ იშოვნო“.

წამწამზე დაკიდებული – ყოველთვის ახსოვს, სულ მის გამოტირის. „ჩემი შვილი 31 წელია, წამწამზე დაკიდებული“ (შდრ. გლ., თვალში უზის. სახ., ონიანი, – წამწამზე უზის).

წამწამების დაქვიმსვა – შუბლის შეკვრა, გაბრაზება (შდრ. ცხვირ-პირის წასკნა. გლ., წარბების შეყრა).

წარბის გადაღებვა—აბრეშუმის ჭიის მესამე ასაკში ყოფნა. „წარბის კანში ყაჭი (აბრეშუმის ჭია) გადიღებავს წარბებს – შავი წარბები დააჩნდება“.

წარბის გასწორება/წარბის გახსნა – მოღუშულობა: „წარბი გაისწორე, წაბი გახსენი, ნუ ხარ მოღუშული“.

წარბის კანიდან ამოსლა –აბრეშუმის ჭიის მიერ მესამეჯერ კანის გამოცვლა.

წარბის კანში წოლა – ნ. წარბის გადაღებვა.

წელზე მოძრობა— საჭიროების მოთავება: „შენ გაყევი, მე წელზე მოვიძრობ და დეგეწევი“ (ნ.ჯ. ნოდ.).

წელის ამორეკვა – აბორტის საშიშროების წინაშე მყოფი ორსულისათვის განსაზღვრული წესით მუცლის შეკვრა: „შეწყენილს დააწვენდენ საგებზე. ქალი გეიწვართებოდა. ორივე ხელს ამოსდებდენ წელქვეშ და წელს ამუურეკავდენ. მერე საგებზე გადააგორ-გადმოაგორებდენ და წელს შეუკრავდენ“.

წელის გაკავება – წელის არეში მოძრაობის შეზღუდვა.

წელის თრევა – ყოყმანი, ჭოჭმანი. „რაცხა ისე ითრევს წელს მაიკაცი, რომ, მე მგონია, უარი უნდა თქვას“ (ნ. ნიჟ.).

წელში გატეხვა – განადგურება: „მაგ ახიშერმა ამბავმა წელში გამტეხა“.

წელში გადგომა – წელის არეში მოძრაობის შეზღუდვა.

წელში დაბძნა – ნ. წელის გაკავება.

წერას ყავს ატანილი – საშიშროების წინაშე დგას. „მაი წერას ყავს ატანილი, ვეღარ ხდება, რომ გაჩერდეს“.

წერტილზე ყოფნა – სიკვდილთან მიახლოება, ღრმად მოხუცება: „მე რაღანა გითხრა და გასწავლო, წერტილზე ვარ“.

წვეთივით ახალგაზრდა – ტანადი, კოხტა, მოხდენილი ტანის ახალგაზრდა (ნ. ნიჟ.).

წვერის გამოშენება – წვერის გაშვება. „როცა ვინმე გადაწყვეტდა წვერის გაზრდას, ხოჯას გაუცხადებდა. ხოჯა პარასკევს საჯაროდ დაულოცავდა წვერს. ამის შემდეგ მას უფლება არ ჰქონდა, წვერი მოეპარსა. თუ ვინმე წვერს შეუგინებდა, იმას მოიპარსავდა და შემდეგ ისევ გაუშვებდა“ . (ნ.ჯ.ნოლ. შდრ. გლ., წვერის დაყენება).

წვერი ჩეიდვა პირში – ჩაფიქრდა (შდრ. თითის პირში ჩადება).

წივის ძვალი მეფხანება – მოსალოდნელია გასვენებაში წასვლა. „წივის ძვალი მეფხანება, საცხა ტირილში მომიწევს წასლა“ (წივი-წივი).

წინდიჩხირზე დახატვა – ქსოვის დაწყებისას წინდის ჩხირებით თვლების ამოყვანა (შდრ. თვალის დახატვა).

წინწკლებს ყრის თვალებიდან – ეშმაკი, მოხერხებული, მიხვედრილია.

წიპწიპზე მიმდგარი – ბოლოზე, კენწეროზეა მისული. წიწიპო, წიწიბო, წიფლის ნაყოფია, რომელსაც წიფელი ტოტების წვეროებზე, ძნელად მისადგომ ადგილებზე ისხამს. ამიტომ ამბობენ, წიპწიპზე (წიწიპზე) მიმდგარაო. „წიპწიპზე მისულიყო ბაღანაჲ. ხელი რომ არ მიმეშველებია, გადავარდებოდა“ (ნ.ჯ. ნოლ.).

წისქვილის ქვის დატრიალება – გაუბედურება, მძიმე მდგომარეობაში ყოფნა: „ჩემ თავზე წისქვილის ქვა არ დატრიალებულა, სხვა ყველაფერი დემემართა“.

წიწვივით მოდის – ძალიან ბევრი მოდის: „შეხედა, რომ წიწვივით მოდის ხალხი“.

წკიპზე დაყენება – ერთრიგად დადგომა: „რაც კი იყვნენ იქ კაცები, დაგვიყენეს ყველა წკიპზე“.

წკიპზე მისული – დასრულებისაკენ წასული (საქმე...).

წკიპზე ჰკიდია – ბეწვზე კიდია, საშიშია: „ომში წასული კაცი მუდამ შიშსა და განსაცდელშია, წკიპზე ჰკიდია მისი სიცოცხლე ყოველთვის“ (ნ.ჯ. ნოღ. შდრ. წიპწიპზე მიმდგარი).

წკიპურტებს მიქნეს – შხეფებს მიქნეს (გად. – ავადმყოფობა თავს მახსენებს, მეორდება ავადმყოფობა).

წლების გაფრენა/წლების გაქცევა – დროის გასვლა: „წლები გიმიფრინდა, გეიქცა“.

წლების დათაკვრა – წლების მოგროვება, ასაკში შესვლა.

წლების დაკეცვა, წლების წლებზე მიკვრა, – სიცოცხლის დღეების გასვლა. „დავჩაჩანაკდი, წლები დავკეცე, წლები წლებზე მივაკარი, დავთაკრე“.

წრიბში გაგდება – წიხლებით ცემა.

წყავზე და ბალს ჭამს – არაფერი გაეგება: „მაგაზე არ ინდობა, წყავზე და ბალს ჭამს“.

წყავის მუგუზალი – ძალიან შავგრემანი, შავი, შავტუხა: „კააია, კააიო, – იძახიან ნუნუკაჲს რძალზე. რა კაჲა? ერთი წყავის მუგუზალია“.

წყავს რომ გასცივა ფურცელი – არასოდეს:

„ხინო მუხაჯირათ მია,
ჭახათლებს სტკივათ მუცელი.
აჭყვისთვლებიც აპირებენ,
წყავს რომ გასცივა ფურცელი“.

წყალი არ გაუვა – უეჭველია: „მაგ საქმეს წყალი არ გაუვა“.

წყალი აღარ მწყურია – აღარ მინდა, სურვილი აღარ მაქვს: „წყალი აღარ მწყურია, ტყულაჲ მაპირებ, ნურიავ“ (დაპირება – საცოლედ შერჩევა).

წყილისთვის (წყილი) ტყავის გაძრობა – ბუნწი, ქვაწვია; ადამიანის უკიდურესი მომჭირნეობის გამომხატველი გამოთქმა: „ამხელაზე თუ შემწვარი იყო ჩვენი ზეჲერ ემოჲ (ბიძა), არ

მეგონა. რაფერ ვთქვათ და, მაღ კაცი წყილს ტყავს გაამ-
რობს“ (ნ. ნიჟ.).

წყლის გადაგდება – წყლის კალაპოტის შეცვლა: „ჯერ წყალი
გადავაგდოთ და თებზი მერე დეჟჳიროთ“ (ნ. ჯ. ნოდ.).

წყლის დაყურვა – ბევრი წყლის ერთიანად შესმა. „საქონელი,
როცა მოწყურებულია, მთლიანად სვამს. ამ დროს ჩამოყ-
რის ყურებს, დაყურავს. „დიდი მოწყურებული იყო,
დიემფხო და მაგრათ დაყურა წყალი“ (ნ. ჯ. ნოდ.).

წყლის დაწურვა – ნ. წყლის გადაგდება.

წყლის მოწურვა // წყლის მოწრეტა – მცირე ხნის სიცოცხლე, სი-
ცოცხლის დასასრულთან მიახლოება – „რამდენს იცოცხ-
ლებ, მთავრდება, ჩემი წყალი მეიწურა, იწრიტება“.

ჭ

ჭადიგამჩენმა – იტყვიან, როცა ვისიმე დარწმუნება უნდათ თა-
ვის სიმართლეში: „ჭადიგამჩენმა, მაღ ბაღანაჲ ორი დღეჲა
თვალით არ დიმიწახავს“ (ნ. ნიჟ.).

ჭალის გაჭრა – თიბვა, ჭალაში თიბვის დაწყება: „ღორჯომის ღე-
ლეში ჭალის გაჭრას სამშაფათ დღეს დეიწყებენ“ (ნ. ნიჟ.).

ჭამაკუთილა – მოგონილი ავადმყოფობა, თავის მოავადმყოფება.
„რა სჭირს და ჭამაკუთილაჲ. აბა, უთხარი, კინოში წამო-
დიო, თუ არ გამეჲეცეს!“

ჭვავივით აქ – ბევრი აქვს. „სტუმრის მისვლის არ შეგცხვება,
ყველაფერი ჭვავივით აქ“.

ჭვანის გათათრება მახსოვს – დიდი ასაკის, წლოვანების: „ეჰ,
გუშინდელმა ბაღნებმა რა უნდა მასწავლოთ თქვენ, ჩემი
ხნის ქვაც არ მეიძებნება, ჭვანის გათათრება მახსოვს“ (ნ.
ნიჟ.).

ჭვარტლივით აქ – ბევრი აქვს. ჭვარტლი-მური (შდრ. ჭვავივით აქ).

ჭიაყელასავით გაწიწვა – „ჭიაყელასავით გაწიწვა არ უნდა, გაწყტები, რაც შიგიძლია, ისნა ქნა“.

ჭიპი აქ მიჭრილი – ძალიან კარგად იცის, დახელოვნებულია. აქარაში ბავშვი რომ დაიბადებოდა, ამყვანი, ბეზიქალი, ბავშვს ჭიპს მიაჭრიდა: თუ გოგო დაიბადებოდა, – ხერთალზე (თითისტარი), ან სხვა საოჯახო ნივთზე, – ეს საქმე ეყვარებაო; თუ ბიჭი გაჩნდებოდა, – რომელიმე სამეურნეო იარაღზე და ა.შ. ეს გამოთქმაც სწორედ ამ ჩვეულებიდან მოდის“. „აჲ, ერიცაზე ბაღანაჲ ისე კარქათ ქსოვს, გეგონება ჭიპი აქ ზეთ მიჭრილიო“ (შდრ. სახოკია, ჭიპი აქ მომიჭრია – აქ დავბადებულვარ... ბევრი რამ მინახავს).

ჭირის მოჭმა – ვედრებით მიმართვა, შევედრება, შეხვეწება, ფეხქვეშ გაგება – „თელი დღე ვეხვეწე, ჭირი მოვჭამე, მარა მაინც არ დაადგა შაშტელი“ (ნ. ნიჟ., გლ., ონიანი).

ჭიტი ქნეს – გამოიხედეს... „დღეს ზოვლი წვიმაა. ბაღნებმა ეზოში ჭიტი ვერ ქნეს“.

ჭიჭვი ვერ ვქენი – ვერ გავიხარე, ვერ გავმრავლდი, საქმე წინ ვერ წავწიე, ყველაფერში ხელი მომეცარა. „რაც სახლიდან წამუედი, ყველაფერი უკულმა წევიდა, ჭიჭვი ველარ ვქენი“ (ჭიჭვი – გადაჭრილი მხლის ძირზე გაზაფხულზე ამოყრილი ახალი ყლორტები და ყვავილები).

ჭკვაში არ მომივდა – 1. ვერ გავიხსენე. 2. არ მომეწონა. „მაგან იმფერი რამიები თქვა, მე ჭკვაში არ მომივდა (ჭკვა-ჭკუა)“.

ჭკვა არ უჭრის – ვერ ხვდება (შდრ. გლ.).

ჭკვაში დაჯდომა – მოწონება: „ჭკვაში დუუჯდა მაი საქმე, რაცხას გააფერებს“ (ნ.გლ., ონიანი. გააფერებს-მოახერხებს).

ჭკვაში ჩავარდნა – 1. დაჭკვიანება. 2. ჭკუა-გონების მოკრება.
„რომ ჩავარდები ჭკვაში, მაშინ მომაგონდება და დუკრავ“
(ნ. გლ.).

ჭკვაში ჩაჟდომა – დაჭკვიანება (ნ. ჭკვაში ჩავარდნა).

ჭკვაში ჩახტომა – მოუგონებლობა, გაუხსენებლობა: „ემედენი
ვერ ჩავხტი ჭკვაში.

ჭკვის კურკუტი – გონიერი, ჭკვიანი. „ამ ჭკვის კურკუტს გუბ-
რაზდა“ (შდრ. ონიანი, ჭკუის კოლოფი).

ჭკვის კუჭეჭი – ძალიან ჭკვიანი, განათლებული. „ნეტაჲ რა არ
იცის, ძალიან ჭკვის კუჭეჭია“ (შდრ. ჭკვის კურკუტი).

ჭკვის ფუხარა – (ფუხარა-არაზ. ღარიბი) ჭკუით ღარიბი, ჭკუა-
ნაკლები, ბრიყვი (ნ. ნიჟ. შდრ. გლ. ჭკუაზე მწყრაღადაა).

ჭკვაზე დაბნეულობა – დაუმახსოვრებლობა, გონებაგაფანტუ-
ლობა: „დაბნეული ვარ ჭკვაზე, არ მახსოვს“.

ჭკუაზე შექანება – ჭკუის შეშლა, გაგიჟება: „გევიღვიძე, ცრუ და-
მირჩა, ჭკუაზე ვარ შექანებული (ჯ. ნოდ. შდრ. გლ., ჭკუაზე
შეშლა).

ჭკუაზე ხელის მოკვრა – გამორკვევა, გამოფხიზლება (შდრ. ჭკუ-
ის დახმობა).

ჭკუას თვალი არ ეცემა – ჭკუას, გონიერებას ბოროტი თვალით
შეხედვა ვერაფერს დააკლებს.

ჭკუიდან გადარება – გაგიჟება (შდრ. გლ., ჭკუაზე შექანება).

ჭკუის დახმობა – გონების მოკრება, დაფიქრება. „მაჲ საქმე შენდა
სახეჲრო არაა, ჭკუას დუხმე“ (შდრ. შარაშ.).

ჭურში ყოფნა – უცოდინარობა, არაფრის გაგება: „ჭურში იყავი
თუ? დღეს კივილი არ გაგიგონია?!“ (შდრ. გლ. ჭურში
ზის).

ჭურში ჯდომა: უცოდინარობა; „არ ვიცი ამბავი, მე ჭურში ვი-
ჯექი“ (ნ. ონიანი).

ჭუჭრუტუნაში გაძრომა – ყველაფრის შეძლება, მოხერხება:
„ჭუჭრუტუნაში გაძრება და მაინც იზამს მის გასაკეთებელს“ (შდრ. გვირაბში ცხვირის გაყოფა).

ჭუჭულივით წააწყვიტა თავი – შეუბრალებლად მოკლა. „მოკიდა მამალს ხელი და ჭუჭულივით წააწყვიტა თავი“.

ხ

ხათრი დამჩა – მეწყინა (ნ. ჯავრი დამრჩა. „მე შენიდან ხათრი დამჩა“).

ხალიჩაა გაგებული – აყვავებულია. „გაზაფხულდა, თბილა. ლამაზია, იშტა, გაზაფხული, ხალიჩაა გაგებული მიწაზე“.

ხალხის გადარეცხვა – ხალხის ცუდისკენ შეცვლა, ჩვეულებების დავიწყება. „გედედრეცხა ხალხი, ძველი აფერი აღარ უნდანან“.

ხარბათ გაზრდა – სწრაფად ზრდა, სწრაფად ამალღება. „მაღ ბიჭი ათი წლისაა და უფრო დიდი გეგონება, ხარბათ გაზდილა ბაღანაჲ“ (ნ. ჯ. ნოდ.).

ხარის რქიდან ფულს იღებს – მოხერხებულია (შდრ. ხარის რქიდან წვეწის გამოღება).

ხარის რქიდან წვეწის გამოღება – (ნ. ხარის რქიდან ფულს იღებს).

ხარის ცოდვა – (ეთნ.) ხალხის გადმოცემით, კაცი სიცოცხლეში თუ ხარს აწვალავდა, სცემდა, სიკვდილისას გაწვალდებოდა: „ხარის ცოდვა იმფერია, სული არ გიეყრება კაცს, უღელი თუ არ დაადგენ კისერზე“.

ხარჯი ნაქნარია – საქმე უკვე გაკეთებულია.

ხასიათის გაქცევა – გუნება-განწყობის შეცვლა. „პაწას კიდევ სიცხე აქ. ხასიათი ისე გეექცა, ძუძუც არ თქვა“.

ხატისტეხელი – შეუპოვარი, დაუდეგარი. „მაგას ვერაფერს გააგებიებ, იმფერი ხატისტეხელია“.

ხახა ნახერხით აქ ამოტეხილი – ხმამაღლა მოსაუბრეა.

ხაჯალური დამაბი კისერზე – (ჯახალური – ხის ბორკილი) „მველი დედაბრები... გულმოსლის დროზე იტყოდენ, – ხაჯალური დამაბი კისერზე, ვითამ – დამარჩევით.“

ხებერი არ აქ – არაფერი იცის. „ხებერი არ აქ, თუარა ხელათ მოვდოდა“ (ხებერი – ამბავი, ცნობა).

ხებერის დადენა – ჭორის გავრცელება. „რამე არ მოხთეს, თუარა ხებერი ხელათ დადინდება“.

ხელები დეიკაპიწა – 1. უსაქმურადაა: „დეიკაპიწა ხელები და დაყიალობს მთელი დღე“. 2. მოსახმარებლად მოემზადა. „რძალმაც დეიკაპიწა ხელები და ქალებთან დადგა“.

ხელების ამოშლა – ნ. ამოიშვა არტახებიდან ხელი.

ხელების ჩამოკრეფა – ხელების ჩამოშვება. „ჩამოკვრიფე ხელები და დევწყე ტირილი“

ხელები შეეკრა – ვერ აკეთებს, ვერ ახერხებს: „რამე ვერ გავაკეთე, ხელები შეკრული მაქ, რა ვქნა, აღარ ვიცი“ (ნ. ონიანი; შდრ. გლ.).

ხელზე მოკითხვა – ხელზე მთხვევა, ამბორი. „თუ მნახველთა შორის მოხუცი ურევია, პატარძალი ვალდებულია, იგი ხელზე მოიკითხოს“ (ნ.ჯ.ნოლ.).

ხელიდან გამოტკლევვა – წართმევა, გამოგლეჯა: „მიეპარა და ჭყინტი ხელიდან გამოტკლიცა“ (ნ.ჯ. ნოლ., შდრ. ონიანი, ხელიდან გამოცლა).

ხელიდან გამოტკლევვა – ნ. ხელიდან გამოტკლევვა.

ხელიდან ვერ დასვამ – სათუთად მოსაპყრობია (შდრ. ხელიდან ხელში არ მიიციემა).

ხელიდან კაპიკს ვერ გააგდები – ხელმომჭირნე, ფისის მწურავი, კუპეწი.

ხელიდან ხელში არ მიიცემა – იმდენად კარგია, რომ ძალიან უნდა გაუფრთხილდნენ, სათუთად უნდა მოეპყრონ. „იმფერი ლამაზი ბაღანაჲ ყავს ეთერას, ხელიდან ხელში არ მიიცემა“ (შდრ. სახოკია. ხელიდან ხელში გადასვლა – როცა ბევრნი სარგებლობენ ერთი და იმავე საგნით; როცა საქონელი, გინდა ნივთი ერთი პატრონისაგან მეორე პატრონის ხელში გადავა).

ხელი მომიწერია – ვეთანხმები: „ფეხის წვერებზე ანურიებს, ვენაცვალე მაგას, ხელი მომიწერია“.

ხელის ამოშვება – 1. აკვნის არტახებიდან ხელების ამოხსნა. „ბაღანას აკვნიდან ხელები მისით ამიეშვა“. 2. (გადატ.) თავისუფალი მოქმედება: „რაც უნდა, იმას აკეთებს, მგონი, რაცხა ამეაშვა ხელები“ (შდრ. ამოიშვა არტახებიდან ხელი).

ხელის გადაყოლება – კვირის ზოგიერთ დღეს, მაგ., ორშაბათს და ოთხშაბათს, სახლიდან არაფერს გასცემენ. იბრძნიან, ხელი გადაყვებაო, ე.ი. ოჯახის სიუხვე თან გაყვებაო. „კვერცხი ხელში არ მისცე, ხელს გადაყვება. ძირში დაღევი და ისე ეიღოს“ (ჯ. ნ.).

ხელის გამოზრუნება – ოჯახიდან რაიმეს (ფქვილის, რძის ნაწარმის...) გაცემისას გაცემულიდან, „ბარაქის შენარჩუნების მიზნით“, პატარა ნაწილის, ნამცეცის დატოვება.

ხელის (// ხელიდან) გარეკვა – ხელის გაცლა, გათავისუფლება (გადატ.), დახოცვა, განადგურება. „შვილებიდან აჲ ერთი დარჩა აიშეს; იგიც საცხა რუსეთში წვევიდა და დეიკარგა. საცოდავი... შვილებიდან ხელი გეარეკა“. „ამ ტურამ წელს

არ გამახარა, ჭუჭულები ხელიდან გამარეკვია“ (შდრ. გლ. ცარიელზე დარჩენა).

ხელის გაფანჩხალება – ხელების გასავსავება: „იმფერი ჯინიანია, ხელათ ხელებს შაფანჩხალებს“ (ნ.ჯ. ნოდ.).

ხელის დაბანა – 1. დამდურება, ურთიერთობის გაწყვეტა, არაფრად ჩაგდება. „აწე მაგასთან ჩემ სიცოცხლეში არ მივალ და რამეს არ ვთხოვ, ხელი დევბანე!“ 2. რაღაცის დაკლება, დაცარიელება: „ამდენი ჭუჭული მყავდა და სადაა?! ერთ დღეში დევბანე ხელი, ყველაღ დემეხოცა!“ (ნ. ონიანი).

ხელის დაშვენება – ხელის დამშვენება, დაბანა: „სტუმრებს ხელი დააშვენებიეთ, ისედაც დაგვიანდა ვახშამი“ (შდრ. გლ.).

ხელის დაცლა – ნ. ხელის გარეკვა: „ყველაღ შვილებიდან ხელი დეცალა“.

ხელის მიცემა – კარგად მოვლა, ხელის შეწყობა: „კაღ ხელის მიცემით ორმოც დღეში გეიზდება ყაჭი“ – (ყაჭი –აბრეშუმის ჭია. შდრ. გლ., ონიანი, ხელის მომართვა).

ხელის მონაცვლება – 1. ნ. ხელის შენაცვლება 2. ხელის შეწყობა, დახმარება (შდრ. გლ.).

ხელის მოფშ(ვ)ნა – ხელის მოცარვა, ხელის შემლა, ხელის გაცუდება (ნ. ნიჟ. შდრ. გლ. ხელების ფშვნეტა).

ხელის მოცლა – 1. ხელის შენაცვლება მუშაობისას: „თოხზე ისე მუშაობს, ხელის მოცლა არ იცის“. 2. ხელის გამართვა ვინმესთვის: „ხელი მწცვალა, ორი დღით ფული ასესხა“ (ნ. ჯ. ნოდ.).

ხელის მოჭმა – ხელის შემლა, დაბრკოლების შექმნა – შეფერხება: „სამჯერ წამეიწყო, სამნავეჯელ ხელი მეიჭამია“ (ნ. ნიჟ.).

ხელის მოხირკვლა – ხელის შემლა, ხელის გაცუდება, ხელის მოცარვა: „ამტონი რომ შიაგვიანდა, ჰელბეთ, რაცხა ხელი მიეხირკლა“ (ნ. ნიჟ.).

ხელის შენაცვლება – 1. სამაგიეროდ გარტყმა. 2. ტვირთის ერთი ხელიდან მეორეში გადატანა.

ხელის წაკვრა – მიხმარება (შდრ. ხელის მიცემა; გლ., ხელს გაუმართავს).

ხელს გადაყოლა – (ეთნ.) ოჯახიდან რისამე (ფეკილის, მარცვლის...) გაცემისას, გაყიდვა-გასესხებისას, გამყიდველი ან გამსესხებელი გაცემულის პაწაწინა ნაწილს, ნაფცქვენს უკან გამოიბრუნებს. თუ საქონელს გაყიდის, ორიოდ ღერ ბალანს წააცლის, გამოახვევს ქსოვილში და ოჯახში სადმე საგულდაგულოდ შეინახავს, რითიც თითქოს ოჯახს შეუნარჩუნებს დოვლათიანობას (შეად. შარაშ. ხელის გამობრუნება. ალავ. ლეჩხ. ხელის ქცევა).

ხეს და ქვას ველაპარაკები – შდრ. პირი ხისკენ მიქნია.

ხეს და მიწას ედება – ბევრი რამის კეთებას იწყებს, მაგრამ არაფერი გამოსდის: „ვითომ ყველაფერს აკეთებს, ხეს და მიწას ედება, მარა მის დროზე სადილსაც ვერ დადგამს“.

ხეს ველაპარაკები – შდრ. ქვას ველაპარაკები (შდრ. შარაშიძე).

ხელში განურება – ხელში ჩაგდება, დახელთება (შდრ. შარაშ., ხელში გარონიება. ნ. ნიჟ.).

ხვალაც ამ თვისაა – არ ეგვიანება, არ გვიანდება. „სა გეჩქარება. პაწახან კიდევ იყავ. ხვალაც ამ თვისაა“.

ხველამ დეიკავა – ძალიან ახველებს. „ბაღანაჲ ხველამ თუ დეიკავა, თფილ-თფილი ძეჲ უნდა ასვა“.

ხის ფოთოლი იტყვის – მაინც გაიგებენ, გაუგებარი არაფერია! „მე რომ არ ვთქვა, ხის ფოთოლი მაინც იტყვის და ცუდი რამ დაგემართება“.

ხლაფორთის შოვა – შარში, ხათაბალაში გაბმა: „შენ უნდა მიერიდო, თჳარა ხლაფორთს ხელათ იშოვ კაცი“ (შდრ. ბელაში გაბმა).

ხმელი სული – უქონელი, ღარიბი, მარტოსული. „რა გინდებიან ჩემიდან, ჭო, ხმელი სულის მეტი არაფერი მაქ, და, ისიც უნდა ამართვათ?!“ (შდრ. სახ. სულის აქეთ არაფერი აზადია. ნ. ნიჟ.).

ხმელ ტოტზე დაჯდომა – წინდაუხედაობა: „მაი იმფერია, რომ ხმელ ტოტზე არ დაჯდება“.

ხოშორი სიტყვა – წონადი, აზრიანი საუბარი (შდრ. ოყადი სიტყვა).

ხოხოლას აშენება – აურზაურის ატეხა. „არ იცოდა, რა მოხთა და ჩხუბი დეიწყო, ტყულად ხოხოლას ააშენა“.

ხრუკი სული უდის – ღარიბ-ღატაკია, უპოვარი, გაფხეკილია... ტრუსის სუნი ასდის (შდრ. სახ., ნატისუსალი ასდის).

ხოჯის ვახშამი – მუსლიმანურ დღესასწაულზე რამაზანში (მარხვისას) დადგენილი წესით ხოჯისათვის მირთმეული ვახშამი.

ხურდა კაცი – წვრილმანი, არასერიოზული კაცი. „ხასანად ხურდა კაცი არაა. შეიძლება ყველაფერში ენდო“ (ნ. ნოღ.).

ბ

ჯავრი დამრჩა – გულნაკლული ვარ, მეწყინა (ნ. ხათრი დამრჩა. შდრ. გლ. ჯავრი სჭირს).

ჯამაგირის დაბმა –// ჯამაგირის ქნა – ხელფასის დანიშვნა (შდრ. პენსიის დაბმა).

ჯამყელზე დაყვანა – საქმის ბოლომდე მიყვანა.

ჯართი-ჯურთი ლაპარაკი – უსაგნო, აბდაუბდა საუბარი. „მაგისას ვეფერს გეგეფე, იმფერი ჯართი-ჯურთი ლაპარაკი იცის“.

ჯერნების (ჯეკუნების) პერანგი – ჯოჯოხეთის პერანგი. ნ. ყიამეთის პერანგი.

ჯემტის გამოკრა პირში – „ისე ცხელი ყავა დალია, ჯემტი აქ პირში გამოკრული“ (ჯემტი – თუნუქის ფურცელი).

ჯიგრის გახრეტა – 1. მწუხარების მიყენება. 2. თავის მობეზრება.

ჯინის მოჭმა – ჟინის, დასახული მიზნის აუცილებლად შესრულება. „მაგას მაღ წესათ აქ – იტირებს, იტირებს, ჯინს მეიჭამს და გაჩერდება“.

ჯინჭვლის ბუდე – ჩხუბის, კამათის, აურზაურის ადგილი. „დღეში ათჯერ ჩხუბობენ; ოჯახი კი არა, ჯინჭვლის ბუდეა“.

ჯორა ბაღანა – ჯიუტი ბავშვი: „ნეტად რა არ იცის, ძალიან ჭკვის კუჭეჭია, მარა ჯორად ბაღანადა: თუ თქვა, არ გადათქვამს“.

ჯორზე შეყდენა – გამოლანძღვა: „ყოლიფერი უთხარი, შევაჟდინე ჯორზე და გჴშვი“.

ჯორზე შეყდომა – გაჯიუტება, გაკერპება. „თუ თქვა, ვეღარ გადათქმევებ, შეყდება ჯორზე“ (ნ. ჯ. ნოდ.; ონიანი, გლ., ჯორზე შეჯდება).

ჯორის დაბმა – მცირე საკვების მიღებით შიმშილის გრძნობის გაქრობა. ჯორი ჯიუტი, მომთმენი, ღონიერი და შიმშილის ამტანი ცხოველია. დიდი ხნის მოშიებული ადამიანი რომ ცოტა საჭმელს შეჭამს და შიმშილის გრძნობას დაიოკებს, იტყვის, – ჯორი დავაბიო!

ჯოხის გატეხვა – (ეთნ.) თუ ოჯახს არ სურდა ქალიშვილი დასახელებული პირისათვის მიეთხოვებინა, შუამავლად მისული პირის სტუმრობისას ოჯახის უფროსი ჯოხს გატეხდა და დადებდა სუფრაზე. ეს მის საბოლოო გადაწყვეტილებაზე მიუთითებდა. „ჯოხის გატეხვის შემდეგ მურავი აღარ იკადრებდა მისლას“ (შდრ. გლ., ჩხირის გატეხვა).

ჯოხს არ შეიტებს – არ გამოტყდება: „მაი ისეთი ჯიუტია, რომ ჯოხს მაინც არ შეიტეხავს“.

ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდა – ამბობენ იმ შემთხვევაში, როცა შეკრებილ ხალხს ვინმე არასასურველი შეემატება. „ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდა და, ჰა, ისიც მოვიდა“ (მუგუზალი – დანაკვერცხლებული შეშა. შდრ. გლ., ჯოჯოხეთს მუგუზალს დაურთავს).

ჯუღაბის მიცემა – თანხმობა, დათანხმება. „ბაბამ ჯუღაბი მისცა. მანაც ადგა და წევდა“.

3

ჰულიეში ყანაეთი არნა თქვა – ოცნებაში, ფიქრში მომჭირნეობაზე, დაზოგვაზე არ უნდა იფიქრო.

Figurative Words and Expressions in Adjarian Dialect

Summary

The Georgian word is really inexhaustible, rich, colorful and expressive. That is not coincidental. The abode of the Georgian word originates from the distant past of the Georgian nation, the people, and together with the Georgian nation it has become the witness of many glories, sorrow and pain of fall or excitement for revival-strength, the deliberator of joy. The Georgian word is the garment of the thoughts and feelings of a Georgian man.

Georgian language, its dialects are extremely rich with figurative vocabulary, splendid expressions. The lexical material of Adjarian sub-dialect is inexhaustible in this regard. There are a lot of characteristic pictorial words scattered in the people and it is the key to the morals, habits, lifestyle, tradition, and culture of the same people. The verbal material of the people, the words and expressions embedded in the people is inexhaustible. There is an inexhaustible supply of poetic thinking, creativity of the people and pictorial representation of thoughts, aesthetic imagination of the word and bringing it in a beautiful, impressive, emotional, thoughtful form.

The study of Georgian pictorial words and expressions attracted the special attention of researchers from the very beginning and is one of the interesting objects of linguistics. It is true that Georgian phraseologies have been studied, various aspects of research have been highlighted, but we cannot say this in terms of the relationship with the Georgian language dialects. The aim of our research is to

describe the pictorial expressions taking into account the data of Adjarian dialect and give them the form of lexical material. Figurative words were given particular attention in Adjara, but the issue has not been studied scientifically. The research in this regard is a timely and urgent matter.

The first is that it is difficult to study folk words, as this kind of vocabulary requires a systematic, long-term observation over the live speech of the people. To find or collect the material often manifests itself in direct contact with people. At the same time, such vocabulary is abundant in the daily activities of economic or social life, which is manifested spontaneously, unbearably, and, consequently, it is not so easy to reveal them.

In addition to the above, many words or expressions are gradually forgotten and gradually they have become part of history. This variability of vocabulary is accompanied by the forgetting of pictorial expressions and their gradual disappearance. That is why it is necessary to mark such statements as soon as possible. At the same time, forgetting such words leads to language impoverishment. At the same time, in line with the changes that have taken place in society, new figurative words are emerging. Naturally, it is also urgent and necessary to study them and find a proper way to preserve.

Thus, when collecting lexical material, due attention should be paid to the collection of the material of this series and it should be reflected in the dictionaries of Georgian dialects. In linguistics, however, less attention is paid to the study of dialectal figurative expressions. Such dialectal expressions are an integral and inseparable part of common Kartvelian phraseology.

Even more important and significant will be the separate edition of the Dictionary of Pictorial Expressions. This is a more complete

representation of the figurative expressions commonly used in the social life of the people. These kinds of dialectical data are of great importance for identifying the processes that take place in the language and especially for the correct understanding of the ethno-cultural aspects.

We notice that there are many figurative words related to agriculture, cattle breeding, marriage and various economic or living aspects in the Adjarian dialect. Of course, collecting of these words and phrases together will give us a concrete idea about the expressions and phrases used in the dialects and give us a deeper insight into the spiritual world of the people. Our modest attempt is to present more depth of the folk sayings in Adjarian dialect.

Naturally, the presented material will not necessarily introduce the pictorial expressions spread among the people. This object of study is inexhaustible. There is much more that can be traced back to the pattern spoken with wisdom and delicacy. We think that the presented material clearly shows us in the inner world of Adjarian life and thought and once again proves how vivid, capacious, flexible and colorful the Georgian word is.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
2. ალავიძე მ. ლექსუმის თავისებურებანი, ქუთაისის პედაგ. ინსტ. შრომები, ტ. II, 1941
3. ბერიძე ვ., სიტყვის კონა იმერულ-რაჭულ თქმათა, 1912.
4. ბიბილეიშვილი ც., დარაშვილი ლ., გაჩავარ., ფრანგულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2010.
5. გამრეკელი ნ., ჰოფმანი თ., ქადაგიძე ნ., გერმანულ-ქართულ-რუსული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1973.
6. გამრეკელი ნ., მგალობლიშვილი ე., რუსულ-ქართული იდიომატика, თბ., 1956.
7. თაყაიშვილი არ., ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, თბ., 1961.
8. კანდელაკი ქ., ინგლისური მეტაფორული იდიომები და მათი ქართული ეკვივალენტები, თბ., 1955.
9. კაიშაური ლ., მთიულურის დარგობრივი ლექსიკა თბ., 1967.
10. მირიანაშვილი ალ., ქართული ფრთოვანი სიტყვები, „მომამბე“, N 4, 1903.
11. მენთეშაშვილი სტ., ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943.
12. ნებიერიძე გ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1991.
13. ნეიმანი ა., ქართული იდიომები „კაცია-ადამიანის“ მიხედვით და მათი რუსული შესიტყვებები, პუშკინის პედ. ინსტიტუტის შრომები, I, 1941.
14. ნიჟარაძე შ., ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, 1971.
15. ნოღაიდელი ნ., მასალები აჭარულის დარგობრივი ლექსიკონისათვის, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, I, თბ., 1976.
16. ნოღაიდელი ნ., ქორწინების ლექსიკა, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, I I, თბ., 1978.
17. ნოღაიდელი ნ., რთვა-ქსოვის ლექსიკიდან, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, IV, თბ., 1983.

18. ნოღაიდელი ნ., მშენებლობის ლექსიკა აჭარულში, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, V, თბ., 1978.

19. ნოღაიდელი ნ., ხატოვანი გამოთქმები და დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, III, ბათუმი, 1999.

20. ნოღაიდელი ნ., სიტყვა სიტყვის მაკინარია (ხატოვან სიტყვა-თქმათა ნიმუშები აჭარულ დიალექტში), აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, IX, ბათუმი, 2007.

21. ნოღაიდელი ნ., ლექსიკური ძიებანი, ბათუმი, 2013.

22. ნოღაიდელი ჯ., აჭარის ზეპირსიტყვიერება, ბათუმი, 1940.

23. ნოღაიდელი ჯ., აჭარული კილოს სალექსიკონო მასალა, ბათუმი, 2015.

24. ონიანი ა., ქართული იდიომები, თბ., 1966.

25. ორბელიანი სულხან-საბა, ქართული ლექსიკონი, თბ., 1928.

26. ჟღენტი ს., გურული კილო, თბ., 1936.

27. სახოკია თ., ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბ., 1979.

28. ფუტყარაძე ე. ხატოვანი სიტყვა-თქმები აჭარულში, XXIX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2009.

29. ფუტყარაძე ე., ხატოვანი სიტყვა-თქმანი (აჭარული მასალა), „აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, XI, ბათუმი, 2009.

30. ფუტყარაძე ე., მემინდვრობის ლექსიკასთან დაკავშირებული ხატოვანი სიტყვა-თქმანი აჭარულში, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, VII, ბათუმი, 2008.

31. სურმავა ნ., ფრაზეოლოგიზმების შესწავლის აქტუალობა და ქდვ, როგორც ქართული ფრაზეოლოგიის შესწავლის ბაზა, II საერთაშორისო სიმპოზიუმში ლექსიკოგრაფიაში, თეზისები, თბ., 20

32. ფრანგიშვილი ა., „გულ“ სიტყვისა და მისგან ნაწარმოებ სიტყვათა სემანტიკასთან დაკავშირებით ფრაზეოლოგიის ზოგიერთი საკითხის შესახებ, ფრაზეოლოგია, III, თბ., 1944.

33. ქავთარაძე ივ., მასალები იმერული ლექსიკონისათვის, ქართული ენის სტრუქტურის საკითხები, III, თბ., 1963.

34. ქართული დიალექტოლოგია, I, შედგენილი ი. გიგინეიშვილის, ვ. თოფურას, ივ. ქავთარაძის მიერ, თბ., 1961.
35. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII, თბ., 1950-1964.
36. ღლონტი ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, I,II, თბ., 1974, 1975.
37. შავიშვილი თ., ფრაზეოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1957.
38. შალამბერიძე გ., ილია ჭავჭავაძის ენა, თბ., 1966.
39. შალამბერიძე გ., ფრაზეოლოგიზმები ილია ჭავჭავაძის „კაცია - ადამიანში“, ივე, ტ. VIII, თბ., 1956
40. შამილაძე ვ., ალჰური მესაქონლეობა საქართველოში. თბ., 1969.
41. შარაშიძე გ., გურული ლექსიკონი – ქართველურ ენათა ლექსიკა. I, თბ., 1938
42. ჯავახიშვილი ივ. მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის I, მშენებლობის ხელოვნება თბ., 1946.
43. ჩუბინაშვილი ნ., ქართული ლექსიკონი, თბ., 1961.
44. ჩუხუა მ., ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2000.
45. ძიმიგური შ., რედაქტორისაგან, შესავალი წერილი, ერთვის თ. სახოკიას წიგნს „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმან“-ის, ტ. I, თბ., 1950.
46. ძოწენიძე ქ., ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974.
47. ცეცხლაძე ნ., ფრაზეოლოგიზმთა კვლევის ასპექტები, თბ., 2018.
48. ხუბუა მ., ზემოაჭარულის თავისებურებანი, თბ., 1932.

შემოკლებათა განმარტება

აბულ. – ი. აბულაძე

ალავ. – მ. ალავიძე

ბერ. – ვ. ბერიძე

გლ. – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

კაიშ. – ლ. კაიშაური.

მენტეშ. – სტ. მენტეშაშვილი.

ნიჟ. – შ. ნიჟარაძე.

ნოდ. – ნ. ნოღაიდელი.

ჯ. ნოდ. – ჯ. ნოღაიდელი.

საბა – ს.ს. ორბელიანი.

სახ. – თ. სახოკია.

ფუტ. – ე. ფუტკარაძე.

ქავთ. – ი. ქავთარაძე.

შამ. – ვ. შამილაძე.

შარაშ. – გ. შარაშიძე.

ჯავახ. – ივ. ჯავახიშვილი.

სარჩევი

წინასიტყვაობა	3
ხატოვანი სიტყვა-თქმების შესწავლის ისტორიისათვის	7
რეზიუმე ინგ. ენაზე	156
გამოყენებული ლიტერატურა	159
შემოკლებათა განმარტება	162

გამომცემლობის დირექტორი – ნანა ხახუტაიშვილი

გამომცემლობის რედაქტორი – გუნა სამნიძე

ტექნიკური რედაქტორი – ედუარდ ანანიძე